ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

21 მაისიდან!
„ახალი თაობა“
+
პატრიარქები
8 ლარი

ორშაბათი, 27 მაისი, 2013 | №123 (6124) | ფასი: 30 თეთრი

„რესპუბლიკელები ივანიშვილს მალულად ებრძვიან“

გვ.5

ალექსანდრე ანქვაბი: „მოსკოვის საპატრიარქომ აფხაზეთის ეკლესია თავის შემადგენლობაში უნდა მიიღოს“

გვ.3

რას გადაწყვეტს რუსეთი

ილია II: „ძნელად მივდივართ პროგრესისაკენ, მაგრამ ჩვენი წინსვლა გარდაუვალია“

გვ.2

ანზორ აბრალავა: „მერაბიშვილს საქართველო თავის კანტორად მიაჩნდა“

გვ.4

რამაზ საყვარელიძე: „20 ათასი ადამიანი პროკურატურისგან პასუხს ელოდება“

გვ.2

მიხეილ სააკაშვილს დამოუკიდებლობის დღე ილჰამ ალიევმა და ალექსანდრ ლუკაშენკომ მიულოცეს

გვ.5

მერაბ კოსტავას 74 წელი შეუსრულდებოდა

გვ.6

ვიქტორ დომუხოვსკი გარდაიცვალა

გვ.4

გვ.2

თავისუფლების მოედანზე სამხედროების ფიცის მიღების ცერემონიალი გაიმართა

ბადრი ბიწაძე: „ისეთი სისასტიკე, რაც მერაბიშვილმა 26 მაისს ჩაიდინა, საქართველოს ისტორიაში არავის გაუკეთებია“

გვ.5

ISSN 1987-9385

4 თამაზაშვილის საქმეში ბრალდებულ პოლიციელებს 5-დან 8 წლამდე პატიმრობა ემუქრებათ

6 „ჩვენ გვინდა ევროპა, მაგრამ არ გვსურს ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა!“ კიევის ცენტრში გეიაღლუმი არ შედგა

4 შს მერაბიშვილის ყოფილი მოადგილის დაკავებას არ აღასტურებს

11 რუსეთის დუმის შენობასთან „ლგბტ“-ს აქციის ჩატარების საშუალება არ მისცეს

რამაზ საყვარელიძე: „20 ათასი ადამიანი პროკურატურისგან პასუხს ელოდება“

ნათია ხურცილავა

ინტერვიუ პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძესთან



– ბატონო რამაზ, რას იტყვით ბოლო დროს განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით? „ნაციონალური მოძრაობა“ პოლიტიკურ დაპატიმრებას უწოდებს ვანო მერაბიშვილის დაკავების ფაქტს?

– მე არ მესმის რატომ უწოდებენ ამას პოლიტიკურ პროცესს, რადგან ეს არ არის პოლიტიკური პროცესები. ეს არის სამართლებრივი პროცესი, რომელშიც ბრალდებულებიც პოლიტიკური ფიგურები აღმოჩნდნენ. როდესაც ისრაელში ან ეგვიპტეში ასამართლებენ ყოფილ პრეზიდენტს ან პრემიერს ეს პოლიტიკური პროცესია თუ სამართლებრივი? მე ამ კითხვას ვსვამ, მაგრამ ვფიქრობ, რომ სამართლებრივი პროცესია. „ნაციონალურ მოძრაობას“ სწორედაც უნდათ, რომ ამ ყველაფერს პოლიტიკური კვალიფიკაცია მისცენ. თუკი, ეს პოლიტიკური პროცესია, გამოდის, რომ პოლიტიკურ დევნასთან გვქონია საქმე.

– რაც მათ აწყობთ?

– რასაკვირველია. „ნაციონალურ მოძრაობას“ აწყობს თქვას, რომ მერაბიშვილი დაკავებულია იმიტომ, რომ ის პოლიტიკური ოპონენტია დღევანდელი ხელისუფლების. სასმართლოს წინაშე ყველა თანაბარია და, რა თქმა უნდა, სულ ერთია ვინ შეიძლება აღმოჩნდეს ამ პროცესში ჩართული პრეზიდენტი თუ ყოფილი პრემიერი.

– პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ დიდი ალბათობით პრეზიდენტი დაიკითხება, რას იტყვით?

– პრეზიდენტი თუ ყოფილი პრემიერი ყველა ვალდებულია, თუ სიმართლე მათ მხარეს არ იქნა, წარდგნენ მართლმსაჯულების წინაშე და როგორც მოწმეებმა ჩვენება მისცენ. როგორც რიგითი ადამიანი კანონის წინაშე თანასწორია, ასევე ვალდებულია პრეზიდენტიც, რომ ჩვენება მისცეს, თუ რასაკვირველია, მისით გამოძიება დაინტერესდა.

– ბატონო რამაზ, როგორ ფიქრობთ დანაშაულებრივი სქემა თუ გამოიკვეთა დაკავების პროცესი გაგრძელდება? ხომ არ ფიქრობთ, რომ ახალ ხელისუფლებაზე ერთგვარი ზეწოლა მოახდინეს ყოფილმა პოლიტპატიმრებმა?

– ზოგადად მოსახლეობის მხრიდანაა ზეწოლა, რომლის ერთ-ერთი ნაწილიც არიან პოლიტპატიმრები. ამ ქვეყნის მოქალაქეებისთვის სამართლიანობის აღდგენა ერთ-ერთ წამყვანი თემა იყო არჩევნებამდე და რჩება კიდევაც. თავისთავად პოლიტპატიმრების არსებობის ფაქტი უკვე დანაშაულია. ამ დანაშაულისთვის კი არავინ არ გასამართლებულა. ხომ ვართ მოწმენი ქონების ჩამორთმევის ფაქტების? ეს ხომ არის დანაშაული? ამ დანაშაულისთვის კი არავინ არ გასამართლებულა. ციხის კადრები, რომელიც ვნახეთ და რომელიც შოკი იყო საზოგადოებისთვის, ეს იმ კონკრეტული სამართალდამცავების ავადმყოფური ახირება იყო, რომელსაც მაღალი თანამდებობის პირები ხელმძღვანელობდნენ, ეს გასარკვევია. მე იმ დანაშაულობების კვალდაკვალ მივდივარ, რომელიც ცნობილია საზოგადოებისთვის, მაგარამ ვინ დგას ამის უკან, არ ვიცით. 26 მაისის დარბევა ჩვენი უცხოელი პარტნიორების შეფასებითაც, ძალის გადამეტება იყო. ხომ უნდა გაირკვეს რამდენიმე მიცვალებული, რომელიც ნაპოვნი იქნა, რისგან გარდაიცვალა? ვის მიერ იყო ძალის გადამეტება ინიცირებული, ვინ გასცა ბრძანება ხომ უნდა ვიცოდეთ? ასევე არ ვიცით 7 ნოემბრის აქციის დარბევის დანაშაულებრივი ბრძანება ვინ გასცა? დანაშაულობები არის, რომლებიც გამოძიებას საჭიროებს და რომლებზეც პასუხები უნდა არსებობდეს. აღარ ვამბობ იმაზე, რომ პროკურატურაში 20 ათასი საჩივარი რომაა შესული და ადამიანები პასუხს ელოდებიან.

– უკრაინიზაცია – ასეთი ტერმინი იქნა გამოყენებული. რას იტყვით?

– სწორედ ასეთი პოლიტიკური ელემენტია იმ დამოკიდებულებაში, რაც უცხოეთს აქვს უკრაინის ყოფილ პრემიერ-მინისტრთან, იულია ტიმოშენკოსთან დაკავშირებით. მათ რეაქცია აქვთ იმაზე, რომ ხომ არ გადააჭარბა თავის უფლება-მოსილებას იანუკოვიჩმა. ეს დამოკიდებულება, რა თქმა უნდა, გამოიყურება, როგორც დემოკარტიისთვის ბრძოლა, მაგრამ ევროპა და ამერიკა ჩუმად იყო, როდესაც ძალაუფლებას აჭრაბებდნენ არაბი დიქტატორები, რომელთა დიქტატურამაც გააჩინა არაბული რევოლუციების მთელი ტალღა. ასე რომ იკვეთება, შერჩევით დამოკიდებულებასთან გვაქვს საქმე. ისევ უკარინას რომ დავუბრუნდეთ, ევროპელების დამოკიდებულება იანუკოვიჩისადმი სწორედაც რომ პოლიტიკური კონიუქტურით არის ნაკარნახევი, რადგან იანუკოვიჩი რუსეთის მიმართ ლოიალურადაა განწყობილი, რუსული ორინერტაცია აქვს, მისი მოქმედებების მიმართ კრიტიკულები არიან უფრო, ვიდრე იმ ლიდერების მიმართ, ვისაც დასავლური ორიენტაცია ჰქონდათ. დასავლეთს ჰქონდა ილუზია, რომ მიხეილ სააკაშვილი დასავლეთზე ორიენტირებული ლიდერია.

– და ამიტომაც იცავდნენ?

– დიახ. ამით ხელმძღვანელობენ და არა რეალური სურათით, მაგრამ მთელი უბედურება ის არის, რომ ჩვენს დასავლელ კოლეგებს ისიც ვერ გაურკვევიათ, რეალური იყო სააკაშვილის დასავლური ორინტაცია თუ მოჩვენებითი. სააკაშვილმა პრაქტიკულად ყველა რუსული ამოცანის გადაწყვეტას ხელი შეუწყო. მხოლოდ რიტორიკის დონეზე იძახდა, რომ ის რუსეთის წინააღმდეგია.

ილია II: „ძნელად მივდივართ პროგრესისაკენ, მაგრამ ჩვენი წინსვლა გარდაუვალია“

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის თქმით, დღეს არის ბედნიერი დღე მთელი საქართველოსთვის, რადგან ვდღესასწაულობთ ეროვნულ დღესასწაულს – სახელმწიფოებრიობას.

როგორც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ გუშინ სამების საპატრიარქო ტაძარში ქადაგებისას ბრძანა, მართალია, ძნელად მივდივართ პროგრესისაკენ, მაგრამ ჩვენი წინსვლა გარდაუვალია.

„მთელ საქართველოს, ხელისუფლებას, პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს, ყველას გილოცავთ ამ დიდ ეროვნულ დღესასწაულს“, – ბრძანა უწმინდესმა.

მისივე თქმით, დღეს ბედნიერი დღეა იმის გამო, რომ საქართველოში ჩამოაბრძანეს წმინდა სპირიდონ ტრიმიფუნტელის წმინდა ნაწილი, როგორც ნიშანი ჩვენი წინსვლისა და როგორც ნიშანი მისი დიდი დახმარებისა.

როგორც უწმინდესმა აღნიშნა, მისი ინტრონიზაცია დაემთხვა სწორედ იმ დღეს, როდესაც აღინიშნება წმინდა სპირიდონ ტრიმიფუნტელის ხსენების დღე. ეს არის 25 დეკემბერი.

„ეს იყო ნიშანი იმისა, რომ წმინდა სპირიდონ ტრიმიფუნტელი იქნებოდა საქართველოსა და საქართველოს ეკლესიის მფარველი და წინამძღვარი“, – ბრძანა უწმინდესმა და მადლობა გადაუხადა იმ ბერძენ სასულიერო პირებს, რომლებმაც წმინდა სპირიდონ ტრიმიფუნტელის წმინდა ნაწილი საქართველოში ჩამოაბრძანეს.

მან მართმადიდებლობისთვის დავდადებული მოღვაწეობისათვის ბერძენი სასულიერო პირები დიმიტრიოსი და ნექტარიოსი საპატრიარქოს უმაღლესი ჯილდოთი წმინდა ნინო ოქროს ორდენით დააჯილდოვა. თავის მხრივ ბერძნულმა მხარემ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს მადლობა გადაუხადა და საჩუქრად გადასცა წმინდა სპირიდონ ტრიმიფუნტელის მედალიონი. ასევე წიგნი, რომელიც მის ცხოვრებას აღწერს და წმინდა სპირიდონ ტრიმიფუნტელის ხატი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში იცავდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს.

ქადაგების დასრულების შემდეგ უწმინდესმა 21 გვარი დალოცა.

მედიანიუსი

თავისუფლების მოედანზე სამხედროების ფიცის მიღების ცერემონიალი გაიმართა

გუშინ, საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებს ახალი წევრები შეემატნენ. წვრთნისა და განათლების სარდლობის ძირითადი საბრძოლო მომზადების 72-მა კურსდამთავრებულმა საზეიმოდ დადო ფიცი. საზეიმო ცერემონიალი თბილისში, თავისუფლების მოედანზე გაიმართა. დღეიდან, დამოუკიდებლობის დღეს ფიცის მიღება ტრადიციად დამკვიდრდება.

მომავალ სამხედროებს ქართულ არმიაში განევრიანება თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ მიულოცა: „ჯარისკაცებო, გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს! თქვენ დღეიდან უდიდესი მისია გაკისრიათ – დაიცვათ საქართველოს დამოუკიდებლობა. შეიარაღებული ძალების დევიზია – სამშობლო – ღირსება – ერთგულება. მე დარწმუნებული ვარ, რომ ღირსეულად და ერთგულად დაიცავთ ჩვენს სამშობლოს. შეიარაღებული ძალები დიდი და მტკიცე ოჯახია, სადაც საერთოა ლხინიც და ჭირიც. ერთად, ჩვენ შევძლებთ დავიცვათ ჩვენი წინაპრების მონაპოვარი – სახელმწიფოს დამოუკიდებლობა. საქართველოს მთავრობის სახელით, გისურვებთ სულიერ სიმტკიცეს, რაც ჯარისკაცს ყველაზე მეტად სჭირდება. ღმერთი იყოს შეიარაღებული ძალების და სრულიად საქართველოს მფარველი!“

კურსდამთავრებულებს გუშინდელი დღე საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსმა, პოლკოვნიკმა ირაკლი ძნელაძემ და საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარმა სერჟანტმა ალუდა კოპალიანმა მიულოცეს.

„შეიარაღებულ ძალებში განსაკუთრებული დღეა. სამხედრო მოსამსახურეები ფიცს დებენ სამშობლოს წინაშე. ჯარისკაცებო, თქვენ ხდებით შეიარაღებული ძალების სრულფასოვანი წევრები. მე მინდა მოგილოცოთ დღევანდელი დღე. თქვენ საინტერესო გზა გაქვთ გასავლელი. დარწმუნებული ვარ, ამ გზაზე შეიძენთ იმ აუცილებელ უნარ-ჩვევებს და პროფესიას, რომელიც ასე სჭირდება ჩვენს სამშობლოს. რაც მთავარია, შეიძენთ ახალ მეგობრებს და ისწავლით ერთმანეთის გატანას. კიდევ ერთხელ გილოცავთ. გისურვებთ წარმატებას“ – მიმართა სამხედროებს პოლკოვნიკმა ირაკლი ძნელაძემ.

მათ წარმატება უსურვა არმიის მთავარმა სერჟანტმა ალუდა კოპალიანმაც: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩვენს დიდ და ღირსეულ ოჯახში. არ არსებობს იმაზე დიდი პატივი და პასუხისმგებლობა – იყო შენი ქვეყნის ჯარისკაცი. ბატონო ჯარისკაცებო, მინდა მადლობა გითხრათ, რომ ეს არჩევანი გააკეთეთ. დარწმუნებული ვარ, ღირსეულად გააგრძელებთ ჩვენი წინაპრების რთულ და საამაყო გზას. როდესაც სამხედროები ბრძოლის ველზე შორდებიან, ერთმანეთს არ ემშვიდობებიან. ისინი ერთმანეთს ეუბნებიან – მომავალ შეხვედრამდე. რადგან სჯერათ, რომ ისევ შეხვდებიან ერთმანეთს. მომავალ შეხვედრამდე ჯარისკაცებო!“

პირადმა შემადგენლობამ და მოწვეულმა სტუმრებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის და საერთაშორისო მისიებში დაღუპულ ქართველ სამხედრო მოსამსახურეების ხსოვნას.

ფიცის მიღების დასასრულს, ეროვნული გვარდიის სამხედრო საჩვენებელმა ორკესტრმა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი შეასრულა. მოეწყო საპატიო ყარაულის საჩვენებელი გამოსვლა.

ღონისძიებას დაესწრნენ – კადეტთა სამხედრო ლიცეუმის 100 მსმენელი, ეროვნული თავდაცვის აკადემიის 100 კურსანტი, ეროვნული გვარდიის დეპარტამენტის სარიტუალო ასეული, აისაფის მისიაში დაჭრილი სამხედრო მოსამსახურეები, აგვისტოს ომში და ავღანეთის საერთაშორისო მისიის დროს დაღუპული და დაჭრილი სამხედრო მოსამსახურეების შვილები, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და რიგითი მოქალაქეები.

ცერემონიალის დასრულების შემდეგ, საპატიო ყარაულის მედროშეთა და საჩვენებელმა კოლოფებმა და სამხედრო საჩვენებელმა ორკესტრმა საზეიმო მარშით რუსთაველის გამზირი ჩაიარა. საზეიმო სვლა ვარდების მოედანზე დასრულდა.

მედიანიუსი

სამების ტაძარში 2011 წლის 26 მაისს დაღუპულთა სულის მოსახსენებელი პარაკლისი შესრულდა

სამების საპატრიარქო ტაძარში 2011 წლის 26 მაისს დაღუპულთა სულის მოსახსენებელი პარაკლისი შესრულდა. სამების საპატრიარქო ტაძარში იმყოფებოდა „დემოკრატიული მოძრაობის ლიდერი ნინო ბურჯანაძე, რომელმაც ქართველ ხალხს დამოუკიდებლობის დღე მიულოცა და განაცხადა, რომ საქართველოს ისტორიაში ბევრი მძიმე დღე ყოფილა, რომელთაგანაც ერთ-ერთი მძიმე დღე არის 2011 წლის 26 მაისი.

„2011 წლის 26 მაისი არის დადასტურება იმისა, რომ ქართველები წასულან ხშირად აღმატებული ძალის წინააღმდეგ, რომ დაეცვათ სამშობლო და ის პრინციპები, რაც მათ გააჩნიათ. დღეს მოვიხსენიებთ 26 მაისს დაღუპულებს ორივე მხრიდან და ვლოცულობთ იმისთვის, რომ გავაძლიეროთ ისინი, ვინც მომავალში სამშობლოსთვის იბრძოლებენ“, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

მედიანიუსი

ირაკლი ალასანია: „ჯარისკაც მამუკა გეგეჭკორის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ახალი დეტალები ჯერჯერობით უცნობია“

საქართველოს თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიას განცხადებით, ჯარისკაც მამუკა გეგეჭკორის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ახალი დეტალები ჯერჯერობით უცნობია. როგორც ჟურნალისტებთან საუბარში ალასანიამ აღნიშნა, საქმის შესწავლა მიმდინარეობს, რის შემდეგაც მომხდართან დაკავშირებით ოფიციალურ ინფორმაციას საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი გაავრცელებს.

ჯარისკაც მამუკა გეგეჭკორის გარდაცვალებასთან დაკავშირებით საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ განცხადება გუშინ გაავრცელა. უწყების ინფორმაციით, საქმეს საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტი იძიებს. საქმე აღძრულია თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით.

მედიანიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ალექსანდრე ანქვაბი: „მოსკოვის საპატრიარქომ აფხაზეთის ეკლესია თავის შემადგენლობაში უნდა მიიღოს“

რას ვადაწყვეტს რუსეთი

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს პატრიარქი ილია II ცოტა ხნის წინ კონსტანტინოპოლს სტუმრობდა, სადაც მსოფლიო პატრიარქს შეხვდა. ვიზიტის დასრულების შემდეგ ქართული ეკლესიის წინამძღოლმა მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა. ილია II-მ განაცხადა, რომ მალე ის მსოფლიო პატრიარქთან ერთად სოხუმში ჩავა, სადაც ქორეპისკოპოსს წარადგენს. აფხაზეთის ეკლესია კვლავ საქართველოს დაქვემდებარებაშია.

ჩვენი პატრიარქის განცხადებას აფხაზები რამდენიმედღიანი დუმილით შეხვდნენ. რამდენიმედღიანი დუმილი აფხაზეთის პრეზიდენტმა ალექსანდრე ანქვაბმა დაარღვია. მან მოსკოვის საპატრიარქოს სთხოვა, აფხაზური ეკლესია თავის შემადგენლობაში მიიღოს.

ანქვაბის აზრით, აფხაზეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში ამჟამად კრიზისული სიტუაციაა შექმნილი და, როგორც მოსალოდნელი იყო, ეს კრიზისი ქართულ მხარეს დაუბრალა.

– ამ კრიზისის ხასიათი საქართველოსა და აფხაზეთის კონფლიქტიდან მოდის. მაშინ საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ სამხედრო აგრესიას მხარი დაუჭირა და მას შემდეგ აფხაზი მართლმადიდებლები და მათი სულიერი მოძღვრები – აფხაზი და რუსი მღვდელმსახურები – საეკლესიო ცხოვრებას დამოუკიდებლად ეწევიან. საგარეო დახმარებას მათ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია უწევდა. იმის გათვალისწინებით, რომ მორწმუნეების სულიერი საზრდოს გარეშე დატოვება არ შეიძლება, აფხაზური და რუსული მართლმადიდებლობის ისტორიული კავშირებიდან გამომდინარე, ეს მაღალი მისია მოსკოვის საპატრიარქომ უნდა აიღოს. საკითხის განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, ნათელია, რომ აფხაზეთის ეპისკოპოსის ხელდასმის აუცილებლობა მომწიფდა. აღნიშნული პრობლემა რაც შეიძლება მალე უნდა გადაწყდეს, რათა ძირძველ მართლმადიდებელ ქვეყანაში სამოციქულო მემკვიდრეობა შევინარჩუნოთ და ყველაზე არასასურველი შედეგები ავიცილოთ. ეს არის აფხაზეთის ხელისუფლების მტკიცე რწმენა, – განაცხადა ანქვაბმა.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა აფხაზები რუსული ეკლესიის შემადგენლობაში შესვლას ითხოვენ. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ აქამდე ამ მოთხოვნით სასულიერო პირები გამოდიოდნენ. პირველად ეს საკითხი დღის წესრიგში აფხაზური ეკლესიის წინამძღოლმა ბესარიონ აპლიამ დააყენა.

2009 წლის 15 სექტემბერს აფხაზეთის ეკლესიამ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიისგან გამოყოფის გადაწყვეტილება მიიღო. აღნიშნული გადაწყვეტილება სოხუმის საკათედრო ტაძარში აფხაზეთში მოღვაწე სასულიერო პირების შეხვედრაზე ერთხმად მიიღეს. აფხაზური ეკლესიის წარმომადგენლები ქართული მართლმადიდებელი ეკლესიისგან გამოყოფას ისტორიული სამართლიანობის აღდგენად აფასებენ.

აფხაზების მტკიცებით, ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია 1943 წლიდან საქართველოს საპატრიარქოს ექვემდებარებოდა და აფხაზეთის ტერიტორია ქართულ ეკლესიას ძალადობრივად ჰქონდა მიტაცებული.

აპლია აცხადებდა, რომ აფხაზურმა ეკლესიამ საქართველოს ეკლესიისგან გამოყოფით ისტორიული სამართლიანობა აღადგინა. მისი თქმით, ეპარქიამ სახელიც გადაირქვა და იმ ჟამიდან მას აფხაზური მართლმადიდებელი ეკლესია ეწოდება.

აფხაზური ეპარქიის ხელმძღვანელმა ბესარიონ აპლიამ ამ გადაწყვეტილების მიღებისთანავე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-სა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდს წერილი მისწერა.

წერილში აღნიშნულია, რომ მიმდინარე წლის 15 სექტემბერს აფხაზეთის ე.წ. ეპარქიის წმინდა სინოდმა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დაქვემდებარებიდან გამოსვლისა და დამოუკიდებელი აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესიის შექმნის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. აპლია ასევე აღნიშნავს, რომ ახლად აღმოცენებულ ეპარქიას ბიჭვინთა-სოხუმის ეპარქია ეწოდება.

– ჩვენ მიერ ღვთისა და ერის წინაშე მიღებულ ამგვარ სერიოზულ გადაწყვეტილებას არანაკლებ სერიოზული საფუძველი გააჩნია. 1993 წლიდან მოყოლებული, უფრო კონკრეტულად კი სექტემბრიდან, აფხაზეთის რესპუბლიკის სამწყსოს სულიერი გამოკვება შეწყდა. ხალხი და ქვეყნის ტერიტორია, რომელიც გაჯერებული იყო ქრისტეს სიყვარულით, ბედის ანაბარად იქნა დაგდებული. პრაქტიკაში არ ყოფილა მსგავსი პრეცედენტი, რომ 16 წლის განმავლობაში უპატრონოდ დაგდებული სამწყსო არ განადგურებულიყო, მაგრამ ეს არ მოხდა. აქ ქრისტეს სიყვარული და რწმენა კიდევ უფრო მყარდებოდა, – ნათქვამია აპლიას წერილში.

საკმაოდ ვრცელ გზავნილში ბასარიონ აპლიას მიმოხილული ჰქონდა ე.წ. აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისგან დამოუკიდებლად განვლილი გზა, ჩამოთვლილი ჰყავს „აფხაზეთის, ბიჭვინთის საკათოლიკოსოს კათალიკოს-პატრიარქები, დასაბუთებული აქვს აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისგან ცალკე ყოფნა და არსებობა საუკუნეების განმავლობაში.

– აღვნიშნავთ რა საერთო და ძმურ ეკლესიის ისტორიას, მივიღეთ გადაწყვეტილება, გაუწყოთ თქვენ სასიხარულო ამბავი. რა უნდა იყოს მცხეთის კათოლიკოსისათვის იმაზე სასიხარულო, რომ მან კვლავ შეიძინა მომძე ეკლესია – ბიჭვინთის საკათოლიკოსოს, აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესია. განსაკუთრებით აღვნიშნავთ, რომ ჩვენ არც ერთი მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციაში არ შევდივართ. ჩვენ ჩვენს სამშობლოში ვცხოვრობთ და გთხოვთ, აღმოგვიჩინოთ დახმარება და მხარდაჭერა აფხაზეთში ჩვენი ეკლესიის მოწყობისათვის. ვევედრებით თქვენს უწმინდესობასა და წმინდა სინოდს, არ დატოვოს ყურადღების გარეშე აფხაზეთის მართლმადიდებელთა თხოვნა და აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესიის, ბიჭვინთის საკათოლიკოსოს აღდგენაში დაგვეხმაროს, – ეწერა წერილში.

აპლიამ წერილი მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ კირილესა და რუსეთის წმინდა სინოდსაც გაუგზავნა.

– გვინდა გაუწყოთ, რომ 15 წლის განმავლობაში ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის ხელმძღვანელი, მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი), აფხაზეთის მართლმადიდებელ ეკლესიასა და მის სამწყსოს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. ღვთისა და ერის წინაშე ვადასტურებთ, რომ არც მისგან და არც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისგან არავითარი ეპისტოლეები, მილოცვები და სულიერი საზრდო ჩვენ არ მიგვიღია, – ნათქვამია წერილში.

აპლია რუსეთის პატრიარქსა და წმინდა სინოდს სთხოვს, დაეხმაროს დაკარგული აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკური სტატუსის აღდგენაში.

მის განცხადებას ძალიან მალე გამოეხმაურა რუსეთის საპატრიარქო. საგანგებო განცხადებაში ნათქვამია, რომ მოსკოვის საპატრიარქოში აფხაზეთის ეპარქიის საქართველოს ეკლესიიდან გამოყოფას არ მიესალმებიან. რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ საქართველოს საპატრიარქოს საზღვრების კანონიკურობისადმი პატივისცემა კიდევ ერთხელ გამოამჟღავნა.

– აფხაზეთის სასულიერო პირებმა მსგავსი განცხადებები ადრეც გააკეთეს, მოსკოვის საპატრიარქოს პოზიცია კი ამ მხრივ კვლავ უცვლელი რჩება, – აცხადებდა რუსეთის საპატრიარქოს წარმომადგენელი, აპლია კი ირწმუნებოდა, რომ აფხაზეთის ეკლესია საქართველოსთან კავშირში არასოდეს ყოფილა.

„ქართული და რუსული ეკლესიები მოკავშირეები არიან“

ანქვაბი აღნიშნავს, რომ აფხაზური ეკლესია კრიზისშია. ეს მართლაც ასეა. ეკლესია ორად არის გახლეჩილი. 2011 წლის მაისში ახალი ათონის მონასტრის ბერებმა აფხაზეთის წმინდა სამიტროპოლიო შექმნეს. ამ სამიტროპოლიოს ახალგაზრდა მღვდლები დოროთეი დბარი და ანდრეი ამპარი ჩაუდგნენ სათავეში. მათ, ადიღეისა და მაიკოპის ეპისკოპოს ტიხონის ბრძანებით, მღვდელმსახურება სამი წლით აეკრძალათ.

ეს განაჩენი მათ არად ჩააგდეს და გასული წლის იანვარში მსოფლიო პატრიარქს ესტუმრნენ. მსოფლიო პატრიარქს აფხაზური ეკლესიის აღიარება სთხოვეს. იქიდან დაბრუნებულებმა რუსეთის საწინააღმდეგო რამდენიმე განცხადება გააკეთეს. საინტერესო ინტერვიუ მისცა დოროთეი დბარმა რუსულ პორტალ „რეგნუმსაც“, სადაც ქართულ და რუსულ ეკლესიებს აკრიტიკებდა. მისი თქმით, საქართველოსა და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიები ყველაზე დიდი მოკავშირეები არიან.

– რუსეთის ეკლესია 20 წელია გვატყუებს. საქართველოსა და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიები ყველაზე დიდი მოკავშირეები არიან. ისინი ერთად მოქმედებენ დღეს ჩვენ წინააღმდეგ ყველა მიმართულებით. ისინი ფარულ მოლაპარაკებებს აწარმოებენ, რომლებზეც არასოდეს ეპატიჟებიან აფხაზეთის წარმომადგენლებს, – აცხადებდა „რეგნუმისათვის“ მიცემულ ინტერვიუში საბერძნეთის ეკლესიაში მოღვაწე დოროთეი დბარი.

დოროთეი დბარი აფხაზურ ე.წ. ეკლესიის მომავალს საბერძნეთის ეკლესიის წიაღში ხედავს, ხოლო ბესარიონ აპლია – რუსეთის ეკლესიის წიაღში.

დბარის ინფორმაციით, როდესაც მათ მსოფლიო პატრიარქს აფხაზეთის საეკლესიო საკითხის გადაწყვეტაში დახმარება სთხოვეს და ამ მიმართულებით აფხაზეთის შიგნით მუშაობა დაიწყეს, თავის მხრივ, მსოფლიო საპატრიარქომაც დაიწყო მუშაობა ე.წ. აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პრობლემების შესწავლის საკითხზე.

მისივე ინფორმაციით, კონსტანტინოპოლის ეკლესიის წარმომადგენლები დადიოდნენ თბილისში და იქ არკვევდნენ, თუ რა სიტუაცია იყო, იმიტომ რომ აფხაზური ეკლესიის პრობლემა მათთვის უცნობი იყო და ყველა ეკლესია, მათ შორის რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია აფხაზეთის ტერიტორიაზე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კუთვნილებად აღიარებს.

– მსოფლიოს საპატრიარქო თავიდან არ ელოდა იმას, რომ აფხაზურ საეკლესიო საკითხში ამდენი ინტერესი იქნებოდა. შექმნილი სიტუაციიდან ნაპოვნი ყველაზე დიდი გამოსავალი საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლების სტამბოლში ჩამოსვლა იყო. აღვნიშნავ, რომ საქართველოს ეკლესია კატეგორიული წინააღმდეგია მსოფლიოს საპატრიარქოს მონაწილეობით ჩვენთან შეხვედრებისა. ის მხოლოდ დიალოგს აღიარებს ანუ ის მიიჩნევს, რომ აფხაზური საეკლესიო საკითხი მისი საშინაო საქმეა. ჩვენ, მართალია, იმთავითვე გვესმოდა, რომ ქართული ეკლესიის წარმომადგენლებთან პირდაპირი მოლაპარაკებების გამართვას არავითარი აზრი არ ჰქონდა, იმიტომ რომ ისინი თავიანთ პოზიციას არ შეიცვლიდნენ, ჩვენ კი – ჩვენსას. შესაბამისად, რა აზრი აქვს შეხვედრას? ამიტომაც სურდათ აფხაზებს, მათსა და საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლების შეხვედრას მსოფლიო საპატრიარქოს წარმომადგენლები დასწრებოდნენ, იმისათვის, რათა მათ შემდეგ უკვე საკუთარი დასკვნები გამოეტანათ. ვინაიდან ქართულმა მხარემ იცის, რომ მათი პოზიცია ძალიან მყიფეა, იგი ყოველთვის უარს აცხადებს შეხვედრებზე და რაღაც გამამართლებელ მიზეზებს ეძებს იმისათვის, რომ ამგვარი შეხვედრა არ შედგეს, – აცხადებს დბარი.

„რეგნუმთან“ საუბარში მან განაცხადა, რომ ამ საკითხის რუსეთის საპატრიარქოს მეშვეობით გადაწყვეტის იმედი, რომელიც ბესარიონ აპლიას აქვს, ფუჭია.

– უკვე 20 წელიწადია გვესმის, რომ ამ საკითხის გადაჭრა რუსეთის საპატრიარქოს მეშვეობითაა შესაძლებელი. ვიცი, რომ მოსკოვის საპატრიარქოს გავლით ეს საკითხი არასოდეს გადაწყდება. ჩვენ არ გვყავს ეპისკოპოსი, ამ დროს კი არსებობენ ადამიანები, რომლებიც მზად არიან, მღვდლად ეკურთხონ და სასულიერო მოღვაწეობა განაგრძონ, მაგრამ ჩვენ ამას ვერ ვაკეთებთ, არც ერთი ჩვენგანი ეპისკოპოსი არ არის. აი, მაგალითად, რამდენიმე ხნის წინ ლიხნის ტაძრის მღვდელი გარდაიცვალა და აღარავინ დარჩა, ვინც იქ ღვთისმსახურებას ჩაატარებს. აფხაზი ეპისკოპოსის არსებობა მსოფლიო საპატრიარქოსთანაა დაკავშირებული. ჩვენ ეს გზა ავირჩიეთ, ვინაიდან 20 წელი მოსკოვის საპატრიარქოს ვუყურებდით, იქ სულ გვიმტკიცებდნენ, რომ ეს საკითხი წყდება, თუმცა შემდეგ ჩვენ უკვე მივხვდით, რომ, უბრალოდ, გვატყუებდნენ. მე, პირადად, საბერძნეთში იქაური ერთ-ერთი მიტროპოლიის ტერიტორიაზე ვიმყოფები და იმ მიტროპოლიტის მისამართით, მსოფლიო პატრიარქის მისამართით მოდის წერილები, სადაც საუბარია იმაზე, თუ როგორი ცუდი ვარ მე, რომ მწვალებელი ვარ და ა.შ. ერთ-ერთ წერილში ისიც კი იყო ნათქვამი, რომ დოროთეი დბარი ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ტერიტორიაზე მწვალებლურ საქმიანობას ახორციელებს. რუსეთის ეკლესიას მართლაც რომ სურდეს ჩვენი დახმარება, ამას ძალიან მარტივად გააკეთებდა. ღიად ვიტყვი, რომ როდესაც ჩვენ აფხაზური ეკლესიის საკითხის გარკვევა დავიწყეთ, მსოფლიო საპატრიარქოდან გაირკვა, რომ საქართველოსა და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიები ყველაზე დიდი მოკავშირეები არიან. ისინი ერთად მოქმედებენ დღეს ჩვენ წინააღმდეგ ყველა მიმართულებით. 2011 წლის ივნისში მოსკოვში მიტროპოლიტ ილარიონს მე და მამა ანდრეი ამპარი შევხვდით. ამ შეხვედრაზე დავსვით საკითხი, მზად არიან თუ არა ისინი, გადაწყვიტონ აფხაზეთის საეკლესიო საკითხი და როგორ აპირებენ ამის გაკეთებას. მიპასუხეს, რომ მათ აქვთ ე.წ. ორმაგი იურისდიქციის იდეა ანუ იურიდიულად საეკლესიო თვალსაზრისით აფხაზეთი ყოველთვის იქნება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის შემადგენლობაში და დროებით გადაეცემა რუსეთის ეკლესიას მმართველობაში. მაშინ მე მათ ვუთხარი, როდესაც ერომანეთში ამ საკითხზე მოლაპარაკებებს დაიწყებდნენ, არ დავიწყებოდათ, რომ არსებობს მესამე, აფხაზური მხარე, რომელიც თქვენს მოლაპარაკებებს არ დათანხმდება. ერთი თვის შემდეგ ეს ე.წ. ორმაგი იურისდიქციის თემა განიხილეს რუსეთისა და საქართველოს პატრიარქების შეხვედრაზე და იგი მეტი არ გაგრძელებულა. რუსეთისა და საქართველოს ეკლესიები ფარულ მოლაპარაკებებს აწარმოებენ. რას ნიშნავს ეს? ისინი არასოდეს ეპატიჟებიან აფხაზეთის წარმომადგენლებს. გამოდის, რომ ისინი ჩვენ გარეშე განიხილავენ ჩვენი ეკლესიის ბედს. საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლებთან აფხაზეთის სასულიერო პირებს არავითარი ურთიერთობა და მოლაპარაკებები არ აქვთ. აფხაზური მხარე ამ მოლაპარაკებების ჩატარებას ქართული მხარის პირისპირ ეწინააღმდეგება და მოლაპარაკებების გამართვას მხოლოდ მსოფლიო საპატრიარქოს მონაწილეობით მიიჩნევს შესაძლებლად, – აღნიშნა დბარმა.



რუსეთის პატრიარქი კირილი ჩვენს ილია II-ს რამდენჯერმე შეხვდა. ყოველი შეხვედრისას პატრიარქი კირილი აღნიშნავდა, რომ რუსეთი აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციას აღიარებს.

ანქვაბის მიმართვაზე რუსეთის საპატრიარქომ კომენტარი გუშინ გააკეთა.

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის საპატრიარქო მიიჩნევს, რომ აფხაზეთის ეკლესიის საკითხი კანონიკურ საფუძველზე და აფხაზი ხალხის ნების გათვალისწინებით უნდა მოგვარდეს.

– რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია დიდი ხნის განმავლობაში ყველანაირად ეხმარება აფხაზეთის მართლმადიდებელ მოსახლეობას იქ საეკლესიო ცხოვრების განმტკიცებაში. აფხაზეთში რთული ეკლესიური საკითხის საბოლოო გადაწყვეტა კიდევ გარკვეულ დროს მოითხოვს. აუცილებელი კონსულტაციები ამ საკითხზე მიმდინარეობს. აფხაზეთის ეკლესიის მოწყობის საკითხის გადაწყვეტა გრძელვადიან პერსპექტივაში საეკლესიო კანონების მკაცრად მიდევნების გარეშე შეუძლებელია. ეს გადაწყვეტილება, შეუძლებელია, თავად აფხაზი ხალხის ნებას არ ითვალისწინებდეს, – განუცხადეს „ინტერფაქსს“ მოსკოვის საპატრიარქოში.

ანზორ აბრალავა: „მერაბიშვილს საქართველო თავის კანტორად მიაჩნდა“

სასულიერო პირებს ჰქონდათ სრულიად ბუნებრივი, ადამიანური რეაქცია

შორენა კოწოწაშვილი

ანზორ აბრალავა 17 მაისის აქციის გამო სასულიერო პირების დაპატიმრებას დაუშვებლად მიიჩნევს და უკმაყოფლებას აფიქსირებს იმის გამო, რომ დღეს საქართველოში პატრიოტიზმი და მორალი დასჯადია.

რას ურჩევს ყოფილი დეპუტატი ლაშა ბაქრაძეს, არის თუ არა პოლიტიკიური რეპრესიების მსხვერპლი ვანო მერაბიშვილი და როგორ დაასრულებს სააკაშვილი თავის მმართველობას? ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს მოძრაობა „სოლიდარობის“ ლიდერთან, ტექნიკური უნივერსიტეტის სრულ პროფესორ ანზორ აბრალავასთან.

– ბატონო ანზორ, 17 მაისის აქციამ კიდევ ერთხელ გამოკვეთა, რომ საზოგადოების ის ჯგუფი ეკლესიას უპირისპირდება. მაინც რა აჩვენა „ლგბტ“ აქციამ და მომხდარი საქართველოს დასავლურ სტრუქტურებს, ნატოს უფრო დააშორებს?

– მართლაც ისე ხდება საკითხის წარმოჩენა, რომ თითქოს ეს იყოს მთავარი პრობლემა. დავიწყოთ იქედან, რომ ასეთი ორიენტაციის ადამიანები არსებობენ და მათ არასდროს უგრძვნიათ აგრესია. ისინი ჩვეულებრივ იყვნენ, უბრალოდ დღეს ისინი გააქტიურეს. ჩემი აზრით, ევროპული ორიენტაცია არც ერთ სექსუალურ ორიენტაციას არ უნდა უკავშირდებოდეს. ეს პრობლემა სხვა ქვეყნებშიც არის. მაგალითად, პარიზში გამოვიდა 300 ათასი კაცი. ეს არის ჩვეულებრივი რეაქცია. საქართველოშიც იყო ამის მძაფრი რეაქცია, რადგან საქართველოში დაიწყო ამის ღიად პროპაგანდა და დემონსტრირება. სამწუხაროდ, საქართველოში კარგა ხანია პატრიოტიზმი და მორალი გახდა დასჯადი. ადამიანები, ვინც ამ ორი ფუნდამენტის გარშემო არიან კონცენტრირებული, რატომღაც უნდათ, რომ თავის მართლების რეჟიმში გადაიყვანონ. ეკლესია არის ჩვენი სახელმწიფოებრივი განვითარების ერთ-ერთი მთავარი საყრდენი. ჩვენ ამ გზით მოვაღწიეთ დღევანდლამდე და არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ მოძღვრებიც ადამიანები არიან და მათაც აქვთ ბუნებრივი რეაქცია. რატომღაც სეფესიტყვას ამბობს ვინმე ჩერგოლეიშვილი, ბოკერია. სამწუხაროდ, უმრავლესობაშიც არიან ასეთი ადამიანები. აგრესია ამ მცირე ჯგუფის მიმართ არასდროს გამომიხატავს, მაგრამ, აგრესიამ შეიძლება შეიძინოს მძაფრი ხასიათი.

– საპარლამენტო უმრავლესობის ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ იმ დღეს სასულიერო პირები ბრბოს მოუძღოდნენ. თქვენ ესწრებოდით ამ აქციას და სწორად გაკეთდა შეფასება ,,ბრბო“?

– მე მართლაც ვესწრებოდი იმ აქციას და ბრბოს ნამდვილად ვერ ვხედავდი. მე ვხედავდი ადამიანებს, რომლებსაც ჰქონდათ მძაფრი პროტესტი. მე მიმაჩნია, რომ მღვდლები, რომლებიც ამ აქციაში მონაწილეობდნენ, მათ ჰქონდათ ადამიანური რეაქცია, ისინი ხედავდნენ, რომ აქ არის ადამიანის პრობლემა, რომელიც უკავშირდება ჩვენს პერსპექტივას, ჩვენი სახელმწიფოებრიობის პერსპექტივას. სახელმწიფო ცხოვრობს ორი მარეგულირებელი ფუნქციის ფარგლებში: ეს არის კანონი და მორალი. მიმაჩნია, რომ სახელმწიფოში, სადაც მორალური პრინციპები უფრო სჭარბობს და ადამიანები ამით არეგულირებენ ურთიერთობებს, უფრო სრულყოფილია იმიტომ, რომ კანონი მაინც ძალას ემყარება, მორალი – შეგნებას. ჩვენი გადარჩენის საკითხი არის მორალში. მორალი ქრისტიანული ხასიათისაა, რომელიც არის ძალიან ტოლერანტული. საქართველოში არასოდეს ყოფილა რელიგიური ნიშნით დევნა, ანტისემიტიზმი. ეს ქართული გარემოსთვის უცხოა. რატომღაც უნდათ, რომ ეს პრობლემა წარმოაჩინონ, თუმცა კარგად ვიცი, რატომაც უნდათ. ეს არის გრანტების მოზიდვის საშუალება, ფულის გათეთრების საშუალება. არასამთავრობების ძალიან დიდი ქსელი ამით საზრდოობს.

– ითქვა, რომ 17 მაისის „ლგბტ“ აქცია ნაციონალების მიერ იყო ორგანიზებული. გამოდის, ქვეყნის გარედან მოზიდული გრანტებისთვის ძაბავს საპარლამენტო უმცირესობა ვითარებას?

– რა თქმა უნდა, ფული ისეთი რამ არის, რომელიც ხშირად ადამიანს სინდისისაგან ათავისუფლებს. ფულის გამო ხშირად იმას ლაპარაკობენ, რაც შინაგანად არ სჯერათ.

– პოლიტიკოსების მხრიდან შეფასებებში ძირითადად ითქვა, რომ ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლება, რომ შეილახა ადამიანის უფლებები და ა.შ. თუმცა ნაკლებად საუბრობენ იმ პრობლემაზე, რამაც ამდენი ადამიანი გამოიყვანა ქუჩაში სასულიერო პირებთან ერთად – გარყვნილების პროპაგანდა. პრობლემის ჩაკვლა უნდათ?

– რა თქმა უნდა, ამას ცდილობენ. უნდათ პრობლემა ცალმხრივად დაანახონ. ეს ყველაფერი სერიოზულად არის მიმართული ეკლესიის დისკრედიტაციისკენ. უნდათ მსოფლიოს აჩვენონ, თითქოს ჩვენი ეკლესია არის ძალმომრეობითი. ვიმეორებ, სასულიერო პირებს ჰქონდათ სრულიად ბუნებრივი, ადამიანური რეაქცია. კატეგორიულად ვემიჯნები იმათ, ვინც ცდილობენ, რომ დასვან მღვდლების პასუხისმგებლობის საკითხი. საკითხი პირიქით უნდა დადგეს, ძალადობას ეწევა ის ხალხი, ვისაც სურდა, რომ ქვაშვეთის ეკლესიის წინ, სადაც წინა დღეს დაასვენეს ავღანეთში დაღუპული ჩვენი საუკეთესო ახალგაზრდები, აქცია იქ გაემართათ. სამწუხაროდ, დღეს ისეთ რაღაცეებზე ვმსჯელობთ, რაც არის სასაცილო იმ ფონზე, როცა ქვეყანას ტერიტორიები აქვს დაკარგული, აფხაზეთი და სამაჩაბლო დასაბრუნებელია და ბევრი მნიშვნელოვანი პრობლემა აქვს.

– რადგან ტერიტორიულ პრობლემას შევეხეთ, გავრცელდა ინფორმაცია, რომ კათოლიკოს პატრიარქი მსოფლიო პატრიარქთან ერთად აპირებს სოხუმში ჩასვლას. ამ ფონზე რამდენად სახიფათოა ეკლესიაზე შეტევა?

– ეკლესიას სახელმწიფოს განვითარებაში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. მე ვთვლი, რომ ყველა ნაბიჯი, რომელიც მიმართული იქნება კონფლიქტის მოგვარებისაკენ, არის

გამართლებული. აქ ფართო არჩევანის საშუალება არ არის და განსაკუთრებული მნიშვნელობა ეკლესიას ეკისრება. სწორედ ამიტომ არის მიმართული ასეთი დიდი დარტყმა ეკლესიისაკენ. ვიცით, რომ არაერთხელ იყო მცდელობა დისონანსი შეეტანათ ეკლესიის სინოდში, არაერთი შეტევა იყო მთლიანად საზოგადოებაზე, მრევლზე. ინგრეოდა საქართველოში ეკლესიები, იჭერდნენ მღვდლებსა და მრევლს. ეს ხომ ჩვენს თვალწინ მოხდა. დღეს ამ ადამიანებმა იგივეს გაკეთების რეალური შესაძლებლობები დაკარგეს და ახლა იდეოლოგიას იყენებენ. პირდაპირ ვამბობ, ჩორგოლეიშვილი, ბოკერია, ჭიაბერაშვილი და მათი მსგავსნი არიან საქართველოს ნომერი პირველი მტრები. ქვეყანა ამ შავი ჭირისგან საბოლოოდ უნდა გათავისუფლდეს. ჩერგოლეიშვილი ,,რეზონანსში“ წერს, სადაც პროტესტს გამოთქვამს 17 მაისის აქციაზე, რომ სააკაშვილმა მათ უგანა და წავიდა იმის წინააღმდეგ, რაზეც დგას ნაციონალური მოძრაობა. ე. ი. ნაცმოძრაობის იდეოლოგია ასეთ მარგინალურ ურთიერთობებზე დგას. მე პირადად ასეთი ადამიანების უფლებების დაცვად მათი მკურნალობა მიმაჩნია და არა მათი ქმედების და ცხოვრების წესის ტირაჟირება. ეს არის სამარცხვინო ურთიერთობა, რა თავისუფლებას ითხოვენ? მე ასეთი საქართველო არ მინდა. არ მინდა საქართველოს მომავალი ასეთი ადამიანების ხელში იყოს. მე პირადად იმ ევროპას ვეკუთვნი, 300 ათასი კაცი რომ გამოვიდა საფრანგეთში ასეთი ურთიერთობების, ერთსქესიანთა ქორწინების წინააღმდეგ. ჩერგოლეიშვილს და სხვებს უნდათ მაინც და მაინც იმ მარგინალურ ევროპელებს მიგვაკუთვნონ.

– პრეზიდენტის გუნდში თვლიან, რომ მერაბიშვილის და ჭიაბერაშვილის დაპატიმრებით ხელისუფლებამ 17 მაისის აქცია გადაფარა..

– არაფერი გადასდაფარად არ მომხდარა. მაინტერესებს რა გადაფარავს 26 მაისს, 17 მაისს რომ თავი დავანებოთ. რა გადაფარავს იმ კრიმინალურ ურთიერთობებს, რაც საქართველოში იყო, იმ წართმეულ ქონებას, დაღუპულ ადამიანებს, აბუჩად აგდებულ საზოგადოებას.

– ჭიაბერაშვილის დაპატიმრება დიპლომატებმაც გააპროტესტეს და მას თავდებში დაუდგნენ.

– ასეთი დიპლომატები ყოველთვის გამოჩნდებიან. მე სულაც არ მსიამოვნებს, რომ მერაბიშვილი და ჭიაბერაშვილი ციხეში იყვნენ. ციხეს როგორ მოვაცდენ მათ გამო. ესენი იმადაც არ ღირან, რომ ციხეში იჯდნენ, უბალოდ სხვა გამოსავალი არ არის. ციხეში შეიძლება იჯდე კაცი ღირსებისთვის. ესენი ზიან ყველაფერი ცუდი საქციელისთვის, არაკაცურისთვის. ტელეეკრანიდან რომ ძალით ვაუკაცობენ, სასამართლო დარბაზში როგორი გასაცოდავებული ისხდნენ. ხომ ყველამ ვიცით, რომ ესენი ქუჩაში თავისუფლად ვერ დადიან. სააკაშვილის თანაგუნდელებს უნდოდათ, რომ ყველა ციხეში ყოფილიყო და რამდენიმე ათეული კაცი ყოფილიყო ყველაფრის პატრონი. მოდით ვთქვათ, სააკაშვილის ნაქებ რეფორმაზეც. დღეს თავისივე დანიშნული პროკურორები არ მოსწონთ, ე. ი. ცუდად ჩაუტარებიათ რეფორმა. რითი იწონებდნენ თავს? ეს არის ალოგიკური ხალხი, წონასწორობიდან ამოვარდნილი.

– პრეზიდენტი და მისი თანაგუნდელები პოლიტიკურ დევნაზე და რეპრესიებზე საუბრობენ.

– არანაირი პოლიტიკური რეპრესიები ეს არ არის. ეს არის ბრძოლა კრიმინალის წინააღმდეგ. ნებისმიერი პატიმარი შეიძლება გამოაცხადოს რომელიმე პარტიამ პოლიტიკურ ლიდერად. ის პოლიტპატიმარი იქნება?! ვანო მერაბიშვილის მიმართ არის მარტივი შეკითხვები, საკითხი ასე უნდა დადგეს და ამოცანა უნდა გამარტივდეს. ვინ დაგეგმა 26 მაისს მიტინგის ამ ფორმით დარბევა, ვინ გასცა დარბევის ბრძანება, რომელი ქვედანაყოფები მონაწილეობდნენ და უშუალოდ ვინ მეთაურობდა. საკითხს ასე უნდა შევხედოთ, ამას არ უნ და მიკიბ-მოკიბვა. მერაბიშვილმა არაერთხელ თქვა: რაც ჩემი მინისტრობის დროს ხდებოდა, ყველაფერზე მე ვიღებ პასუხისმგებლობასო. ახლა აგოს პასუხი. ამათ საქართველო თავის კანტორად მიაჩნდათ. ყველა გამოსვლაზე კომენტარს მერაბიშვილი აკეთებდა, მე ვიცი მართვაო. რა განათლება აქვს, რა იცის ამ უბედურმა? რომ ამბობს სოფლის მეურნეობა ჩავარდაო, რა იცის მერაბიშვილმა სოფლის მეურნეობის? სოფლის მეურნეობასთან მხოლოდ იმ კუთხით აქვთ შეხება, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტებს ჭამენ. გაიხსენეთ, დედალ ძროხაზე და მამალ ძროხაზე როგორ ლაპარაკობდნენ. რა გამოცდილებით იწონებენ თავს, ამათ მხოლოდ კრიმინალური გამოცდილება აქვთ. მარტივად შევხედოთ. დღეს რა შედეგიც არის მათი პირადი ცხოვრების, ეს არის მათი გამოცდილების შედეგი. ნიჭიერი ადამიანები ასე არ ასრულებენ თავიანთ ცხოვრებას. ადამიანურად ისინი მართლა მეცოდება, მაგრამ სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, ისინი უმკაცრესად უნდა დაისაჯონ, სხვანაირად არ შეიძლება.

ვიქტორ დომუხოვსკი გარდაიცვალა

65 წლის ასაკში პოლონეთის დედაქალაქში, ვარშავაში საქართველოს პირველი პრეზიდენტის დროს ხელისუფლების უზენესი საბჭოს დეპუტატი ვიქტორ დომუხოვსკი გარდაიცვალა. ამის შესახებ გარდაცვლილის მეუღლე რუსუდან კიკალეიშვილი „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდის საშუალებით იუწყება. რუსუდან კიკალეიშვილი არ გამორიცხავს, რომ ვიქტორ დომუხოვსკი საქართველოში გადმოასვენონ და თბილისში დაკრძალონ.

ვიქტორ დომუხოვსკი – უზენაესი საბჭოს წევრი თბილისის ოქტომბრის №7 საარჩევნო ოლქიდან; „მრგვალი მაგიდა -თავისუფალი საქართველო“, საქართველოს ეროვნულ-ლიბერლური კავშირი, იურიდიული კომისიის წევრი, პატიმართა უფლებების ქვეკომისიის თავმჯდომარე; 1990 წ. უზენაესმა საბჭომ თითმფრინავის გამტაცებელთა საქმის საგამოძიებო საპარლამენტო დროებითი კომისიის თავჯდომარედ დანიშნა.

1991 წლის 15 ნოემბერს თვითმფრინავის საქმესთან დაკავშირებით, ვიქტორ დომუხოვსკიმ დაკითხა ედუარდ შევარდნაძე. ვიქტორ დომუხოვსკი 1948 წლის 4 თებერვალს, ქალაქ ქუთაისში დაიბადა. განათლება უმაღლესი – დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 1973 წლიდან საქართველოს რესპუბლიკის მეცნირებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი. საქართველოს მეტალურგთა თავისუფალი კავშირის გამგეობისა და დარბაზის წევრი.

ივერონი

შსს-მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება ამოიღო

სამართალდამცველებმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შენახვა-შეძენა-მოხმარების ფაქტზე საქართველოს მოქალაქე დააკავეს. ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებაშია ნათქვამი.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს დეტექტივების განყოფილების თანამშრომლებმა 1971 წელს დაბადებული, წარსულში ნარკოდანაშაულისთვის ნასამართლევი დავით ჩ. დააკავეს. სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას „სუბუტექსის“ აბის ნატეხი, ხოლო მისი ავტოფარეხის ჩხრეკისას 46 აბი ამოიღეს. დაკავებულის ბინის ჩხრეკისას კი „სუბუტექსის“ აბის 2 ნატეხი და საინექციოდ გამზადებული სამედიცინო შპრიცია ამოღებული, რომელშიც ექსპერტიზის დასკვნით, 0,0003 გრ ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინი“ აღმოჩნდა.

ნარკოლოგიურმა შემოწმებამ დავით ჩ-ს ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების ფაქტი დაუდგინა“, – ნათქვამია განცხადებაში.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შენახვა-შეძენა-მოხმარების ფაქტზე (სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 273-ე მუხლით) მიმდინარეობს.

პირველი

თამაზაშვილის საქმეში ბრალდებულ პოლიციელებს 5-დან 8 წლამდე პატიმრობა ემუქრებათ

მთავარმა პროკურატურამ გენერალ თამაზ თამაზაშვილის დაკავებისა და ჩხრეკის ოპერაციაში მონაწილე ექვსი ყოფილი სამართალდამცველი დაკავა.

პროკურატურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის, ხათუნა პაიჭაძის ინფორმაციით, მტკიცებულებათა ფალსიფიკაციის, განზრახ უკანონო დაკავებისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებით დაკავებულები არიან შსს-ს ყოფილი თანამშრომლები – გოჩა ბაღათრიშვილი, გოჩა ჩიტაია, ზაზა ჭაია, გრიგოლ კვინიკაძე, ვლადიერ გამრეკლიშვილი და გივი გრავჩენკო.

„გამოძიებით დადგინა, რომ 2011 წლის 11 ოქტომბერს აღნიშნულმა პირებმა თბილისში კოსტავას გამზირზე მდებარე საცხოვრებელი კორპუსის ეზოში, ჩხრეკისა და დაკავების კანონიერი საფუძვლების არარსებობის მიუხედავად, ფალსიფიცირებული მტკიცებულებების საფუძველზე, პირადი ღირსების შეურაცხყოფით, უკანონოდ დააკავეს პოლიციის გენერალი თამაზ თამაზაშვილი. დაკავებული პირების მიერ ჩადენილი დანაშაული ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, თავისუფლების 5-დან 8 წლამდე აღკვეთას ითვალისწინებს“, – განაცხადა ხათუნა პაიჭაძემ.

დაკავებულები გუშინწინ ღამით დიღომში მდებარე პოლიციის სამმართველოში გადაიყვანეს. მათ ბრალს დღეს წაუყენებენ.

ყოფილმა პოლიციელებმა დაკავებამდე პროკურატურასთან პრეს-კონფერენცია გამართეს და უწყება ზეწოლაში დაადანაშაულეს.

მედიანიუსი

საქართველოში ცვალებადი ამინდი დღესაც შენარჩუნდება

საქართველოში ცვალებადი ამინდი დღესაც შენარჩუნდება. როგორც „მედიანიუსს“ გარემოს დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნულ სააგენტოში განუცხადეს, დასავლეთ საქართველოში დროგამოშვებით ღრუბლიანობის მატება, ზოგან ხანმოკლე წვიმა და ელჭექია მოსალოდნელი. იქროლებს ცვალებადი მიმართულების ქარი 8-13 მეტრი/წამში. ჰაერის მოსალოდნელი ტემპერატურაა დაბლობში +24-+29; მთაში +20-+25; მაღალ მთაში +18-+23 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში დროგამოშვებით ღრუბლიანობა მოიმატებს. უმეტეს რაიონებში მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა ელჭექით. შესაძლებელია სეტყვაც. იქროლებს ცვალებადი მიმართულების ქარი 8-13 მეტრი/წამში. ჰაერის მოსალოდნელი ტემპერატუტრაა ბარში +23-+28; მთაშიო +19-+24; მაღალ მთაში +15-+20 გრადუსი სითბო.

თბილისში მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა ელჭექით. იქროლებს ცვალებადი მიმართულების ქარი. ჰაერის მოსალოდნელი ტემპერატურაა +26 გრადუსი სითბო.

მედიანიუსი

შსს მერაბიშვილის ყოფილი მოადგილის დაკავებას არ ადასტურებს

შინაგან საქმეთა სამინისტრო შს ყოფილი მინისტრის, ვანო მერაბიშვილის მოადგილის გია ლორთქიფანიძის და რამდენიმე ყოფილი პოლიციელის დაკავებას არ ადასტურებს. როგორც ,,მედიანიუსს" შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესამსახურიდან აცნობეს, მათ აღნიშნული პირები არ დაუკავებიათ. არსებული ინფორმაციით, შესაძლოა ლორთქიფანიძე და რამდენიმე ყოფილი პოლიციელი პროკურატურამ დააკავა, თუმცა აღნიშნული ინფორმაციის პროკურატურაში გადამოწმება ვერ ხერხდება.

შეგახსენებთ, რომ გავრცელებული ინფორმაციით, დაახლოებით ორსაათიანი სპეცოპერაციის შედეგად სამართალდამცავებმა ვანო მერაბიშვილის ყოფილი მოადგილე გია ლორთქიფანიძე და რამდენიმე ყოფილი პოლიციელი დაკავეს.

მედიანიუსი

საქართველოს პრეზიდენტს დამოუკიდებლობის დღე ილჰამ ალიევმა და ალექსანდრ ლუკაშენკომ მიულოცეს

აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს დამოუკიდებლობის დღე მიულოცა. ამის შესახებ ინფორმაციას აზერბაიჯანული სააგენტო ავრცელებს.

მისალოცწერილში აღნიშნულია, რომ საქართველოს და აზერბაიჯანს მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა და კეთილმეზობლური ურთიერთობა აკავშირებთ.

ალიევი ასევე აღნიშნავს, რომ დღეს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა დინამიურად და ყოველმხრივ ვითარდება.

„ჩემი და აზერბაიჯანელი ხალხის სახელით, გულითადად გილოცავთ თქვენ და მოძმე ქართველ ხალხს ეროვნულ დღესასწაულს - საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს. აზერბაიჯანს და საქართველოს მრავალწლიანი მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობები აკავშირებს. დღეს ეს ურთიერთობები დინამიურად და ყველა მხრივ განვითარებულია და სტრატეგიული პარტნიორობის დონეს მიაღწია",- ნათქვამია მისალოცწერილში.

ალიევი სააკაშვილს ჯანმრთელობას და საქმიანობაში წარმატებას, საქართველოს კი- მშვიდობას და კეთილდრეობას უსურვებს.

საქართველოს პრეზიდენტს დამოუკიდებლობის დღე ბელორუსის პრეზიდენტმა ალექსანდრ ლუკაშენკომაც მიულოცა. ამის შესახებ ბელორუსის ლიდერის პრესსამსახური იუწყება.

„ბელორუსის რესპუბლიკა გულწრფელად დაინტერესებულია საქართველოსთან მრავალმხრივი, ურთიერთსასარგებლო კავშირის დამყარებით"-ნათქვამია მისალოცწერილში.

მედიანიუსი

სააკაშვილი გენერალ-მაიორ ვოლტერ მილერს შეხვდა

საქართველოს პრეზიდენტი ავღანეთში, ჰელმანდის პროვინციაში სამხედრო ბაზაზე „ლეზერნიკი" „რეგიონალური სარდლობა, სამხრეთ დასავლეთის" მეთაურს, გენერალ-მაიორ ვოლტერ მილერს შეხვდა.

ოფიციალური ინფორმაციით, გენერალ-მაიორმა მილერმა კიდევ ერთხელ გამოხატა მწუხარება ქართულ ბაზაზე ტერორისტული თავდასხმის დროს ქართველი ჯარისკაცების გარდაცვალების გამო და აღნიშნა, რომ ამერიკული მხარე დიდად აფასებს ქართველთა ძალისხმევას აისაფის მისიაში.

მისი თქმით, ქართველ ჯარისკაცებს უმნიშვნელოვანესი წვლილი შეაქვთ საერთო უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში. ამერიკელი სამხედრო მაღალჩინოსნების შეფასებით, ქართული სამხედრო კონტიგენტი განსაკუთრებული სიმამაცითა და პროფესიონალიზმით გამოირჩევა.

შეხვედრისას, მხარეებმა აისაფის ფარგლებში მიმდინარე სამხედრო ოპერაციებთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს.

ქართული მხრიდან შეხვედრას ესწრებოდა პარლამენტარი გიორგი ბარამიძე, გაერთიანებული შტაბის უფროსის მოადგილე პოლკოვნიკი არსენ ცუხიშვილი და უმაღლესი სამხედრო წარმომადგენელი ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში, პოლკოვნიკი ალექსანდრე კიკნაძე.

მედიანიუსი

ბადრი ბიწაძე: „ისეთი სისასტიკე, რაც მერაბიშვილმა 26 მაისს ჩაიდინა, საქართველოს ისტორიაში არავის გაუკეთებია"

„დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერის ნინო ბურჯანაძის მეუღლის, სასაზღვრო პოლიციის ყოფილი უფროსის ბადრი ბიწაძის განცხადებით, ისეთი სისასტიკე, რაც ვანო მერაბიშვილმა 2011 წლის 26 მაისს ჩაიდინა, საქართველოს ისტორიაში არავის გაუკეთებია.

ამის შესახებ ბიწაძემ რუსთაველის გამზირზე განაცხადა, სადაც „სახალხო კრების" წევრებმა და 2011 წლის 26 მაისის აქციის მონაწილეებმა მდუმარე აქციას გამართეს.

„ვანო მერაბიშვილი არის პირველი დამნაშავე იმაში, რაც მოხდა 2011 წლის 26 მაისს. იმ დღეს რაც გააკეთა სპეცრაზმმა ვანო მერაბიშვილის ხელმძღვანელობით, ასეთი სისასტიკე არავის გაუკეთებია. გამოძიება ამას ყველაფერს დაადგენს. მე მგონია, რომ უკვე დადგენილიც არის და სათანადო შეფასებას მისცემს", – განაცხადა ბიწაძემ.

მედიანიუსი

ელიზბარ ჯაველიძე: „რესპუბლიკელები ივანიშვილს მალულად ებრძვიან"

თამარ ნინიძე

ინტერვიუ სახალხო კრების ერთ-ერთ ლიდერ ელიზბარ ჯაველიძესთან

– მერაბიშვილის დაკავებასთან დაკავშირებით გამოითქვა ასეთი მოსაზრება, რომ ეს იყო 19 მაისს პოლიტპატიმართა შეკრების და საზოგადოების ზეწოლის შედეგი. იზიარებთ ამ მოსაზრებას?

– როცა საზოგადოება და პოლიტპატიმრები სპორტის სასახლეში შევიკრიბეთ, სამართლიანობის აღდგენას ვითხოვდით. ამას ითხოვს საქართველოს მოსახლეობის 95%. ეს კარგად უნდა გავაცნობიეროთ. ჩემი აზრით, მერაბიშვილი კარგა ხანია დაკავებული უნდა ყოფილიყო არა იმაზე, რის გამოც დააპატიმრეს, ფინანსური კომბინაციები მაქვს მხედველობაში, არამედ იმისათვის, რომ შუბლზე სისხლი უსვია, ამ სისხლს ეგ ვერასოდეს ჩამოირეცხავს. თუ სამართლიანობის აღდგენის პროოცესი არ გაგრძელდა, მაშინ ხალხი თავად აღასრულებს სამართალს და არ გამოვრიცხავ, რომ უარესი მოხდეს.

– საზოგადოება არ ენდობა სასამართლოს, აქვს ეჭვი, რომ სააკაშვილის მიერ კონტროლირებადი სასამართლო მერაბიშვილს გაანთავისუფლებს იმ მოტივით, რომ პროკურატურას არასაკმარისი მტკიცებულებები აქვს. არის ამის საშიშროება?

– საშიშროება ყოველთვის არის, მაგრამ შეიქმნა ახალი საბჭო და მოსამართლეები ხვდებიან, რომ არ შეიძლება სააკაშვილის დაკრულზე ცეკვა. ამიტომ შეეცდებიან შედარებით ობიექტური განაჩენი გამოიტანონ. მერაბიშვილის საქმის ერთ ან ორ თვეში არსებითი განხილვა მაინც შედგება და იმ ციხეში მოხვდება, სადაც ხალხს აწამებდნნ ცოცხებით.

– 17 მაისი აქციასთან დაკავშირებით ბოკერიას ცოლმა, ჩერგოლეიშვილმა მიხეილ სააკაშვილს წუწკი უწოდა, იმიტომ, რომ სააკაშვილმა გაავრცელა განცხადება სადაც აკრიტიკებდა ლგბტ პირების დამცველების აქციას მაშინ, როცა წინა დღეს მთელი საქართველო ავღანეთში გმირულად დაღუპულ ჯარისკაცებს გლოვობდა.

– უბედურება ის გახლავთ, რომ ბოკერიას ცოლი გამოდის და ზნეობაზე გვეღაპარაკება და ადამიანებს აფასებს. მას შეუძლია ყველაფერი უწოდოს საკაშვილს. მაგან თავის ქმარს მიხედოს, მაგის ქმარი არის იდეოლოგი იმ რეჟიმისა, რომელმაც დააქცია საქართველო. როცა ციხის ბუნტი მოაწყვეს, პირველი ბოკერია შეიჭრა იქ და მის მოწყობილად ნათლავენ ციხის ბუნტს,



რათა ამოეწყვიტათ იქ პატიმრები და მერე ის წესრიგი დაემყარებინათ, რომელიც დაამყარეს, ცოცხებითა და ხელკეტებით რომ აუპატიურებდნენ ხალხს. ალბათ მალე ბოკერიასაც და მასაც მოუხდებათ შებრძანება ციხეში და იმ ციხეში მას ალბათ გაუპატიურება მე ვიცი, არ ეწყინება.

– სახალხო კრებამ ნინო ბურჯანაძე წარადგინა საპრეზიდენტო კანდიდატად. რა იყო თქვენი მოტივაცია ამ გადაწყვეტილების მიღების დროს?

– ქვეყანას დღეს სჭირდება ნინო ბურჯანაძისნაირი პოლიტიკოსი, ეს არის ერთადერთი მოტივაცია, მას შეუძლია პრინციპულად დადგეს და თავისი აზრი გაატაროს და დაიცვას, ასევე პარლამენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის უნდა იყოს იხეთი ადამიანი, რომელსაც შეუძლია, დაბალანსოს ეს ურთიერთობა და არა ისე, როგორც განაცხადა მარგველაშვილმა, რომ ის პლასტელინია და სადაც მიაწებებენ, იმ ფორმას იღებს. ასევე პრეზიდენტს უნდა შეეძლოს ყველასთან საუბარი, როგორც რუსეთთან, ისე ევროპასთან, ამერიკასთან და აზიასთან. სწორედ ასეთ ადამიანად მიმაჩნია ქალბატონი ნინო. თუ ქალბატონი ნინო გაიმარჯვებს ეს ოცნებისთვისაც კარგი იქნება. მისი ჩამოცილება პოლიტიკიდან არის დანაშაული, რადგან სხვა ასე პრინციპულად მებრძოლი და მოაზროვნე ადამიანი მე არ მეგულება. ეს გააკეთეს რესპუბლიკელებმა, რომლებიც მალულად ებრძვიან ივანიშვილს და მალულად უდებენ კვანტებს, მალე ესეც გამჟღავნდება, დავით ზურაბიშვილი განათლების მინისტრის მოადგილეა, რვა თვე იყო მარგველაშვილი განათლების მინისტრი და ერთი ნაბიჯით წინ არ წაწეულან, მხოლოდ სახელმძღვანელოები გაიაფდა, ეს კარგი საქმეა. ამათი რეფორმის იდეოლოგი ზურაბიშვილია, ამიტომ სხვა მხრივ იქ საქმე წინ არ წაწეულა. მას მართლმადიდებლობის დასამარება უნდა. ეს არის უწიგნური, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს განათლებასთან. ერთადერთი მისი დამხახურება ის არის, რომ სააკაშვილის წიგნის რედაქტორი იყო, უნდა ნახოთ, რა ქართულით არის ეს წიგნი დაწერილი.

– ხომ არ იქნება ბურჯანაძის საარჩევნო კამპანიის მთავარი დევიზი სამართლიანობის აღდგენა, ვინაიდან ვნახეთ, რომ „ქართული ოცნება" აჭიანურებს ამ პროცესს და ხალხი დაიღალა?

– ალბათ ერთ-ერთი ეს იქნება, თუმცა მის ნაცვლად ვერ ვისაუბრებ, სახალხო კრება ამას ითხოვდა, მარტო კრება კი არა სრულიად საქართველო ამას ითხოვს და არ გვინდა პური, წყალი, მაგრამ გადაგვირჩინეთ ეროვნება, ცნობიერება რომ ქართველები ვართ, დღეს ნებისმიერი ქართველი ღირსებაჩაკლულია. გასვიანის წერილი იყო ალბათ წაიკითხეთ, რიოგორ დააპატიმრა სააკაშვილმა მთელი ოჯახი და როგორ აწამებდა, ამას არავინ აპატიებს ნაციონალებს. მარტო ამის გამო უნდა გასამართლდეს საკაშვილი. ახლა ამბობენ, რომ პრეზიდენტია და ხელს ვერ ახლებენ, არა, უნდა დაიჭირო ასეთი პრეზიდენტი, ჰაეაგის სასამართლოზე უნდა წარადგინო. თუ ამას ჩვენ არ გავაკეთებთ, ჰაეაგის სასამართლოში ბევრი საჩივარია შეტანილი და იქ იქნება განხილული. ხმა არავის ამოუღია ამერიკაში, როცა 26 მაისს ჩაგვხოცეს. ამერიკის პოლიტიკა არ გახლავთ ადამიანის უფლებების დაცვა. ეს შემოგდებულია, რომ მცირე ერს მენტალიტეტი შეუცვალოს და მთავარია ამერიკულად იაზროვნო და იცხოვრო.

– საინტერესო წინასაარჩევნო კამპანია გველოდება. თუ ადრე ერთი გამოკვეთილი ლიდერი გვყავდა და მას ურეიტინგო ფიგურები უწევდნენ მეტოქეობას, დღეს უფრო ძლიერი კანდიდატები უპირისპირდებიან ერთმანეთს.

– მე ძალიან მიყვარს ბატონი შალვა, მაგრამ თავისი ბოლო საქციელით ნულზე დაიყვანა რეიტინგი. იმთავითვე ლანძღავდა ივანიშვილს. რაც უნდა იყოს ივანიშვილმა იმდენი სიკეთე გაუკეთა ქართველ ერს, იმდენი ტაძარი შეაკეთა, იმდენი სკოლა გაარემონტა, რომ მარტო ამ სიკეთის გამო უნდ აფასებდე ადამიანს. ახლა ჩვენზეა დამოკიდებული, რომ ნაციონალური შავი ჭირის მოვაშოროთ საქართველოს. ხალხი, თუ სამართლიანობა არ აღდგება პარლამენტში, მივარდება ცოცხებით და ხელკეტებით და გამოყრის იქიდან ამათ.

„სექსის მასწავლებლად ვერ გამოვდექი და სკოლიდან გამომიშვეს"

როლანდ ხოჯანაშვილი

„ახალი თაობის" იმერეთის ბიურო

როცა ჭიათურაში ჩავდივარ, ვცდილობ, რომ უმწეოთა სასადილოში წუთებით მაინც შევიარო, ბენეფიციარები მოვიკითხო გულით და უგულოდ ვიკითხო: სასადილოს მესვეური ხომ არაფერს გაკლებთ?! ისე, თუ არ შევალ უმწეოებთან, მათგან რომელიმე გზაში მაინც შემეჩეხება და მოიკითხავს: შენ ჩვენი ბიჭი არ ხარ? ბიჭის დაძახებისას გულში 40 წელს მიტანებულს მწარედ მკბენს ბიჭობა-ჭაბუკობის გახსენება, მერე ნაძალადევად გავუღიმებ და ვეტყვი: კი, თქვენი ვარ... მერე ისიც მახსენდება, საფეთქლები გათეთრებული რომ მაქვს, თუმცა რახან ამათთვის ბიჭი ვარ, გულს ვიმშვიდებ–ალბათ დრო ჩემთვის შედარებით ნელა მიდის-მეთქი. გუშინაც ჭიათურაში რამდენიმე ბენეფიციარმა მიცნო, ერთი დრამატული თეატრის წინ, სკვერში, უზარმაზარი ხის ჩრდილს შეფარებოდა. ჩანდა, რომ დანაყრებულიყო და მწვავე სხივებს დამალული რაღაცას თავისთვის, მიტოვებულად, ფიქრობდა. მიწისქვეშა გადასასვლელი, რომლითაც ალბათ მარტო მე ვსარგებლობ იმ დანიშნულებით, რომლითაც შექმნეს, ახალი გასუფთავებული იყო და ცხირაბზუების გარეშე შევედი ,,მიწისქვეშ", მე თქვენ გეტყვით და ჭიათურლებს გაგვიკვირდება მიწისქვეშ სიარული! უცნაური იუმორი გვაქვს იმერლებს, მწარე და მიზანში გამრტყმელი. ერთ ჩასასვლელში გრანდიოზული ასოებით აწერია: აქ ფსამდა ფილიმონი! (ვინ იყო ეს ფილიმონი, ვერ გავარკვიე) და მეორე ჩასასვლელში ასომთავრულით სენტენცია მიუწერიათ: თუ კაია, მიაფსი მამაშენს! არ ვიცი, ამ წარწერების გამოა თუ ქალაქის დასუფთავების სამსახურის სიმარჯვე, მაგრამ მიწისქვეშა გადასასვლელი თავის ფუნქციას ასრულებს, თუ მოინდომებს კაცი მის გამოყენებას. რაღად გავაგრძელო სიტყვა და მიწისქვეშა გადასასვლელიდან ამოსვლისას კიდევ ერთი უმწეო ქალი შევაკრთე–ჩანდა, რომ არავის ამოსვლას ელოდა მიწისქვეშეთიდან. ,,ჩემს მოხუცებთან" მისვლისას იმერული ზრდილობა ორივე მხარემ მოვიხმარეთ და ,,პაჟალუსტა" ფორმებით ფრიად ენისმომფხანველ საქმიანობას მივეცით თავი. შარშანდელ წელთან შედარებით 10 ადამიანით მეტი დამხვდა უმწეოთა სიაში. 110 ადამიანის ულუფა მზადდება ყოველდღე და 110 წყვილი თვალი სიხარულჩამქრალი უყურებს მომავალს. ერთი ქალბატონი მეუცხოვა, ის აქამდე ბენეფიციართა შორის არ მინახავს.იზოლდა ქურცაძე სასიამოვნო მოსაუბრეც აღმოჩნდა და ზედმიწევნით კრიტიკულიც. ჩვეულებრივი დიალოგი ინტერვიუს ფორმატში გადავიდა და აქვე გთავაზობთ (მინდა აქვე დავძინო–ლეპტოპი რომ ჰქონოდა და არასამთავრობო ორგანიზაცია ქალბატონ იზოლდას, ნამდვილად მიიკუთვნებდა ექსპერტის წოდებას).

– ჭიათურის №1 სკოლა წარმატებით დავამთავრე, მერე მაღაროზე დავიწყე მუშაობა რიგით მაღაროელად, სულ ბოლოს კი მაღაროს ლაბორატორიის გამგეც. სამთოელობასთან ერთად ვახერხებდი, რომ დასვენების დღეს (ორშაბათს) ქალაქის პირველსა და მეექვსე სკოლებში ხაზვის მასწავლებლად მემუშავა. ბოლო პერიოდში, ხაზვა რად გვინდა, სექსი უნდა ვასწავლოთო და სკოლიდან ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე გამომიშვეს სრულიად დაუფასებლად. სექსის მასწავლებლად მე ვერ ვივარგებდი, მაგის ნიჭი რომ დამყოლოდა, გაუთხოვარი არ დავბერდებოდი...

– რახან განათლებაზე დაიწყეთ საუბარი, რა აზრის ხართ განათლების სისტემაზე?!

– მარგველაშვილი განათლებული კაცია, მინდა შევხვდე, როგორც განათლების მინისტრსა და ვიცეპრემიერს. მინდა ვკითხო, რად უნდა სკოლას პოლიცია-მანდატური, რას აკეთებს სკოლაში ადმინისტრაცია და პედაგოგიური პერსონალი? ადრე თუ ვახერხებდით გაკვეთილის ჩატარებას მათ გარეშე, ახლა რატომ ვერ ხერხდება? რომ ამბობენ, წიგნის უფასოდ გადაცემა საბჭოთა კავშირში დაბრუნებაო, ჩემი გამოცდილებით გეტყვით: საფრანგეთში მომიწია ერთი პერიოდით ცხოვრებამ. ნათესავების შვილებს ვასწავლიდი ქართულს და მეექვსე კლასამდე ყველა ბავშვს წიგნი უფასოდ ეძლეოდათ. ისინიც საბჭოურ ეპოქაში ცხოვრობდნენ?! ჩაცმასაც უნდა მიექცეს ყურადღება. მოსწავლისა და მასწავლებლის ჩაცმულობა მისახედია. მოსწავლეებზე რომ ლაპარაკობენ, როგორ აცვიათო, ის მოსაწონია, რომ მასწავლებელს ზემოდანაც დამოკლებული რომ აქვს ტანსაცმელი და ქვემოდანაც? იყოს გულამოღებული კაბა, ბატონო, მაგრამ მე-12 კლასელები დიდი და საცოლო ვაჟები არიან და კი უნდა მიხვდეს მასწავლებელი, რომ მასწავლებლის მოღიაღებული მკერდის შემყურე მოსწავლე ვერაფერს ისწავლის.

– როგორც ჩანს, ბიძინას ხელისუფლება მოგწონთ...

– ეს კაცი მეიმედება, მაგრამ თუ არ შეცვალა რადიკალურად რაშე, ნაციონალებმა 9 წელი გაძლეს, ეგ ვერ გაძლებს 9 თვეს. ხალხს აღარ შეუძლია ამდენის მოთმენა.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

„სექსის მასწავლებლად ვერ გამოვდექი და სკოლიდან გამომიშვეს“

დასაწყისი მე-5 გვერდზე

– მაინც რა არ მოგწონთ ახლა?!

– ბევრი რამეა შესაცვლელი. სოფელში ჩემს მშობლებს ჰქონდათ მიწის ნაკვეთები და მე რომ ეს მიწა გავიფორმო, თითო ნაკვეთისათვის 300 ლარი უნდა გადავიხადო. 4 თასი კვადრატული მეტრი მიწა მაქვს და რამდენიმე ნაჭრად არის გაბნეული. სად მაქვს ახლა მე მაგდები 300 ლარი? გასაგებია, რომ ქართველებიც ბევრია საზღვარგარეთ და ემიგრანტებს სჭირდებათ დაფასება, მაგრამ ჩინელზე უფრო ადვილად უნდა ვიმტკიცებდე ჩემს ქონებას. (ახლა, ჩვენს ქალაქში თუ გაივლი, ნახავ, რომ ცენტრში ჩინელებს აქვთ მაღაზია გახსნილი და მამა ჩინელს გიორგი წერეთელი დაურქმევია, ხოლო ახალშობილი მარიამის სახელს ატარებსო, იქნებ დაელაპარაკო და გაიგო, მართლა წერეთლების გვარს ატარებენ ეს ჩინელები?!) მიწის დახვნა რომ დაგვიანდა, ამაზე ლაპარაკი აღარაა საჭირო. გაზაფხულზე კი არა, შემოდგომაზე უნდა დახნულიყო, ახლა დათესილი სიმინდი ამოვა თუ არა, ღმერთმა უწყის. ტრაქტორებიც არასაკმარისი იყო და დაგვიანდა ამიტომ. სასაყვედუროდ არ გვაქვს საქმე მაინცდამაინც, ამდენი შემწეობა გლეხს, არ მახსოვს, მიეღოს, მაგრამ რახან აკეთებ, დალოცვილო, ბარემ დროზე გააკეთე! ახლა საპრეზიდენტო არჩევნებისთვის საარჩევნო კომისიების ჩამოყალიბება დაიწყო და ყოფილი ნაციონალები გუნდ-გუნდად ეტმასნებიან „ქართულ

ოცნებას“, არადა ეგენი არ იყვნენ, ბიძინას წყევლის მეტს რომ არაფერს აკეთებდნენ? მე რომ ივანიშვილი ვიყო, მაგ გამყალბებლებს საარჩევნო კომისიებს არც გავაკარებდი. ცალკე სალაპარაკო თემაა მაღაროები კიდევ!

– ვიცი, რომ ჯერ ვერავინ გაარკვია მაღაროების საქმე. ჭიათურმანგანუმი ჯორჯიანმანგანეზად გადაკეთდა და ისეთი რამეებიც მოხდა, რომ ნამდვილად არ იქნებით კმაყოფილი...

– ცხოვრებაში არ დამიწერია საჩივარი, მაგრამ ორი რამე არ მინდა ვაპატიო ჯორჯიანმანგანეზის ხალხს. ვიყავი „ჭიათურმანგანუმის“ აქციონერი, მქონდა 500 აქცია და მათხოვრულ 7 ლარად არ გავყიდე. ახლა სადღაა ამ აქციების ძალა? კარგი, ჯანდაბას, არაფერს ვამბობ თუნდაც 500 აქციაზე, მაგრამ სად წავიდა ჭიათურმანგანუმის ლაბორატორიების კუთვნილი დაახლოებით 2 კილოგრამი პლატინა?! ავტომატიანი ხალხი რომ მორბოდა და მიჰქონდა მარგანეცი აქიდან, მაშინ არ ვეპუებოდი გაყაჩაღებულ იარაღიანებს და მაინტერესებს, სად წავიდა პლატინა?! ეგ ხომ რკინის ჯართი არაა და ფასიც დიდი ადევს! პოლიციაც გასაწმენდია და ჭიათურის ტრესტიც. კი მაგრამ, ერთი მაღაროს მუშებისოდენა ხელფასი რომ ერთ კაცს აქვს დანიშნული, ეს სადაური სამართალია?! კომუნისტების დროს მაღაროს ხელმძღვანელებზე მეტი მუშებს ჰქონდათ ხელფასი. ახლა თანამედროვე ჯიპები ადმინისტრაციას, მუშას სიკვდილის საფრთხის ქვეშ მუშაობა! ახლა „ტრესტში“ პროფესიონალები და სპეციალისტები აღარ არიან. ადრეც ასე იყო და ახლაც ასეა: იწყებენ მუშაობას ყავის სმით და აგრძელებენ ბოზობით. ხელოვნურად გააკოტრეს ქალაქი, რომელიც ოქროს ხიდებით უნდა დამშვენებულიყო, იმდენი სიმდიდრე გაიზიდა აქიდან! კაკო გურჯიძეს რომ ჩამოჰკიდა პატრიარქმა წმინდა გიორგის მედალი, ყველამ სახე ვიბრუნეთ გვერდზე! მაგრამ ამბობენ, სწორედ წმინდა გიორგი მიხედავს ჭიათურაში ყველაფერს! ისე, როგორ მოგწონთ, ეკლესიას რომ აშენებენ აქ და მაღაროელებს დაუკითხავად რომ აჭრიან ფულს?! იქნებ მუშას ბევრად მეტი უნდა, რომ გადარიცხოს და ნებას რატომ არ გამოაჩენინებენ?! ისე, რატომ არავინ მიხედავს ჭიათურის მანგანუმის საკითხს? თუმცა, რომ დაიჭირონ და 20 ათასიანი გირაოთი გამოუშვან გარეთ, ეგ რა სამართალია? ახლა რომ კაკანებენ, მერაბიშვილი არ უნდა დაეკავებინათო, უფრო ადრე რატომ არ დააკავეს, ეს მაინტერესებს! უზენაესი სასამართლოს მსაჯული ვიყავი 12 წელი და ვიცი, რასაც ვამბობ. ცენტრალურმა ხელისუფლებამ თბილისის იქითაც უნდა გაიხედოს, რა ხდება! დაპირებით ადრეც ბევრს გვპირდებოდა მიხეილ სააკაშვილი, მაგრამ რა გააკეთა?! ისე, როცა მას ჭიათურაში შევხვდი და დასაქმება ვთხოვე, დამპირდა და დაავალა ადგილობრივ ხელისუფლებას, მაგრამ არაფერიც არ გაუკეთებიათ! 6 წელი მატყუებდა მამუკა გოგატიშვილი, ჩვენი დეპუტატი, რომ დამასაქმებდა! ახლა ამდენი ნაწვალები და ნაშრომი დათრგუნული მოვდივარ აქ უფასო სადილისთვის! მიხედონ ხელისუფლებამ ყველა რეგიონს, თორემ ხალხს ვეღარ შეაჩერებენ. ვანოს დაჭერა რომ მოეწონათ, თქვენ ხომ არ გგონიათ, რომ კაცის ციხეში გაშვება მოეწონათ? არა! სამართალი და კანონი ყველასთვის ერთნაირი უნდა იყოს. ეს დაინახა ხალხმა და ეს გაუხარდა.

– ადგილობრივ ხელისუფლებაზე რას იტყოდით?

– აქ ახალი ხელისუფლება ახალგაზრდულია ძალიან, ალბათ ექნებათ შეცდომებიც. ვაფრთხილებ მათაც: ყავის სმით იწყებდნენ ბევრი და ბოზობით ასრულებდნენ კარიერას. ასე არ ქნას ახალმა ადგილობრივმა ხელისუფლებამაც. მე მაინც ბიძინას მოიმედე ვარ...

მერაბ კოსტავას 74 წელი შეუსრულდებოდა



გუშინ საქართველოს ეროვნულ გმირს, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერს მერაბ კოსტავას 74 წელი შეუსრულდებოდა.

მერაბ კოსტავა 1939 წლის 26 მაისს თბილისში, ოლღა დემურიასა და ივანე კოსტავას ოჯახში დაიბადა. საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი მერაბ კოსტავა ხშირად იყო რეპრესირებული, დაპატიმრებული, გადასახლებული. ბოლოს, 1987 წელს იგი გადასახლებიდან დაბრუნდა და ზვიად გამსახურდიასთან ერთად განაგრძო ბრძოლა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის.

მერაბ კოსტავა წერდა ლექსებს, ფილოსოფიურ, თეატრალურ, ლიტერატურულ ესეებს, თარგმნიდა ცნობილი მწერლების ფილოსოფიურ ნაწარმოებებს. ლიტერატურული მოღვაწეობისათვის მინიჭებული აქვს ორი – დავით აღმაშენებლის და მწერალთა კავშირის პრემიები.

1989 წლის 13 ოქტომბერს მერაბ კოსტავა საეჭვო ვითარებაში ავტოავარიაში დაიღუპა. იგი მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონშია დაკრძალული.

პირველი

კიევის ცენტრში გეიაღლუმი არ შედგა

ჩვენ გვინდა ევროპა, მაგრამ არ გვსურს ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა! — აცხადებენ უკრაინელი ნაციონალისტები

25 მაისს მთელი უკრაინა ერთგვარი შეშფოთებით ელოდა. ამ დღეს კიევში გეიაღლუმის ჩატარება იყო დაანონსებული. შარშან ანალოგიური ღონისძიების ჩატარების მცდელობას მასობრივი ჩხუბი მოჰყვა. ცემა-ტყეპის განმეორების ალბათობა წელსაც დიდი იყო. უკრაინელი ნაციონალისტები ხომ ხმამაღლა აცხადებდნენ, რომ დედაქალაქში ცისფერების პარადს არ დაუშვებენ.

– ჩვენ გვინდა ევროპა, მაგრამ არ გვსურს ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა! – განაცხადა პატრიოტული ორგანიზაცია „სვობოდას“ ლიდერმა უკრაინის პარლამენტის დეპუტატმა ოლეგ ტიაგნიბოკმა.

აღსანიშნავია, რომ კიევში გეიპარადის ჩატარებას ყველა პოლიტიკური ძალა უარყოფითად შეხვდა, თუმცა მიდგომა განსხვავებული იყო. რეგიონალები თვლიდნენ, რომ ქვეყანაში უამრავი პრობლემაა და ცისფერთა აღლუმზე ყურადღების გამახვილება სასაცილოა. საყურადღებოა კომპარტიის პოზიცია. მათმა ლიდერმა პეტრო სიმონენკომ განაცხადა:

– ამერიკა მთელ მსოფლიოში ცხოვრების გარყვნილი წესის პროპაგანდას ეწევა! ძალები, რომლებიც ჰომოსექსუალთა დაცვის ლოზუნგებით გამოდიან, ამერიკული გრანტებით იკვებებიან! მართლმადიდებლობა ერთადერთი ძალაა, რომელიც ვაშინგტონის სატანურ გეგმებს უპირისპირდება! აშშ-ც აქტიურად იბრძვის მართლმადიდებლობის უმთავრესი ფორპოსტის, რუსეთის წინააღმდეგ! თუკი გვსურს გადავრჩეთ, მოძმე რუსეთთან ერთიანი ფრონტი უნდა შევქმნათ!“

აღსანიშნავია, რომ ამას ამბობს არა რელიგიური ექსტრემისტი, არამედ კომუნისტების, ანუ მებრძოლი ათეისტების, ლიდერი. თუმცა, თუკი ყველაფერს გულდასმით გავაანალიზებთ, გასაოცარი არაფერია. რაკი კომუნისტური იდეალები გაკოტრდა, ლენინ-სტალინის დროშის ქვეშ უმეტესწილად ხანდაზმული ადამიანები იკრიბებიან. იდეოლოგიის გადახალისებაც აუცილებელი გახდა. ბატონმა სიმონენკომ გამოსავალი მოძებნა: ერთ-ერთ მიტინგზე მან გრანდიოზული აღმოჩენა გააკეთა, აქაოდა ლენინის იდეალები ადრეული ქრისტიანობის იდეალებია, სტალინი კი ღრმად მორწმუნე ადამიანი იყოო.

– რელიგიურ ექსტრემისტებსა და კომუნისტებს ერთი პატრონი ჰყავთ. ესაა კრემლი! – ამტკიცებს ტიაგნიბოკი.

„სვობოდა“-ს ლოდერმა აღნიშნა, რომ დღევანდელ ევროპაში არიან ისეთები, რომლებიც ე.წ. „სექსუალური ტოლერანტობის“ ლოზუნგით გამოდიან, მაგრამ ისეთებიც ბევრია, ვინც ამას ეწინააღმდეგება. ტიაგნიბოკმა თქვა, რომ ევროპაში გეიაღლუმები მართლაც ტარდება, მაგრამ ესაა არა ნორმა, არამედ დასავლური ცხოვრების ჩრდილოვანი მხარე. მან ასევე ხაზი გაუსვა იმას, რომ გეიაღლუმების მიმართ ერთგვაროვანი პოზიცია არ არსებობს, რომ ცისფერების გამოსვლებს მთელს მსოფლიოში უდიდესი პროტესტები ახლავს და ხშირად საქმე ხელჩართულ შეტაკებამდეც კი მიდის.

– არსებობს დემო-კოსმოპოლიტური ევროპა, რომელიც ჰომოსქსუალებს იცავს. ამავე დროს არსებობს კონსერვატიული, ეროვნული იდეალების ერთგული ევროპაც. იგივე შეიძლება ითქვას აშშ-ზეც. მე ქედს ვიხრი გენერალ მაკარტურის, ჯონ სინგლაუბის, ბარი გოლფუოტერის, ჯონ ედგარ ჰუვერისა და რონალდ რეიგანის ამერიკის წინაშე! – ამბობს თავის ტელეინტერვიუში ტიაგნიბოკი.

„სვობოდას“ ლიდერი თვლის, რომ უკრაინაში ცისფერების აღლუმითა და ქუჩებში ცემა-ტყეპის გაჩაღებით ყველაზე მეტად რუსეთია დაინტერესებული.

– დასავლეთის ქვეყნების ელჩები, ბუნებრივია, ძალადობას დაგმობენ და განაცხადებენ, რომ გამოხატვის თავისუფლება ყველას, მათ შორის სექსობრივი უმცირესობის წარმომადგენლებს, უნდა ჰქონდეთ, – ამბობს ტიაგნიბოკი, – – უბრალო მოქალაქეც ამას დასავლეთის მიერ ჰომო-სექსუალისტთა მხარდაჭერად აღიქვამს, რასაც ანტი-დასავლური განწყობილებები უნდა მოჰყვეს.“

უკრაინაში უდიდესი რეზონანსი მოჰყვა „სვობოდას“ აქტივისტისა და პარლამენტის დეპუტატის ილიენკოს გამოსვლას. მან განაცხადა, რომ მოსკოვში შემუშავებულია „უკრაინის ამოყირავების“ გეგმა და ამ მიზნით დიდძალი თანხაცაა გამოყოფილი.

– ისინი, ვინც ჰომოსექსუალთა უფლებებს იცავენ, მოსკოვიდან იმართებიან, – განაცხადა დეპუტატმა, – მართალია, დასავლეთისაგან გრანტებს იღებენ, მაგრამ რატომღაც არავინ ლაპარაკობს იმაზე, რომ პარალელურად მოსკოვთანაც აქვთ კავშირები და იქიდანაც ფინანსდებიან! ასევე მოსკოვიდან მართვადია მეორე მხარე, რომელიც „ტრადიციებსა და მართლმადიდებლური ღირებულებების დაცვის“ ლოზუნგით გეიაღლუმებს არბევს და აცხადებს: აი, დასავლეთი, ამას რუსეთი გვირჩევნია, ბოლო-ბოლო ქრისტიანული ქვეყანაა, პირჯვარს ერთნაირად ვიწერთ!

დეპუტატმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა იმ ორგანოების უმოქმედობაზე, რომელთაც „მეხუთე კოლონის“ განეიტრალება ევალებათ:

– არავისათვის საიდუმლო არაა, რომ ცისფერებს, რომლებიც გეი-აღლუმებზე გამოსვლას თანხმდებიან, გულუხვად უხდიან! ასევე მოსყიდულნი არიან ე.წ. „ექსპერტები“ და „უფლებადამცველებიც“, რომლებიც ცისფერებს იცავენ. ფულს იღებენ ისინიც, ვინც ვითომცდა მართლმადიდებლობის დაცვის ლოზუნგის საფარქვეშ ანტიამერიკულ, ანტიუკრაინულ პროპაგანდას ეწევა! ამრიგად სამშობლოს ღალატი ბევრისათვის მომგებიან ბიზნესად გადაიქცა! ორგანოები კი, რომელთაც ასეთი ხალხის განეიტრალება ევალებათ, უმოქმედობას იჩენენ. უშიშროება რომ თავის სიმაღლეზე იყოს, ყველაფერი ჩუმად, წყნარად მოგვარდებოდა, – ამბობს დეპუტატი.

რაც უფრო ახლოვდებოდა 25 მაისი, ვითარებაც მით უფრო იძაბებოდა. ანტიუკრაინული პროვოკაციები გახშირდა. ბრიუსელში გააქტიურდნენ ძალები, რომელთაც უკრაინის ევროინტეგრაცია არ სურთ. ევროპარლამენტის რამოდენიმე დეპუტატმა უკრაინასთან დაახლოების შეჩერება მოითხოვა. მიზეზი მარტივია: უკრაინაში კორუფციის დონე მაღალია, ირღვევა ადამიანის უფლებები, ყვავის „ჰომოჰობია“ და ა.შ. ევროპარლამენტარები მიუთითებდნენ უკრაინის უმაღლესი რადის მიერ მიღებულ კანონზე, სადაც ნათქვამია, რომ ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა იკრძალება. უკრაინელი კოლეგების პასუხმა, რომ კანონპროექტი მხოლოდ პირველ კითხვაშია მიღებული, ეფექტი არ იქონია. „უკრაინა ევროსტანდარტებისაგან ისევე შორსაა, როგორც მთვარე დედამიწისაგან! – გაისმა პასუხად. უნდა აღინიშნოს, რომ დეპუტატები, რომლებიც ასეთ „პრინციპულობას“ იჩენდნენ, თავიანთ გამოსვლებში არაერთგზის აღნიშნავდნენ: „რუსული ბაზარი ჩვენთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია, რუსულ გაზსაც ალტერნატივა არა აქვსო!“

– მათ უკრაინაში არსებული რუსული აგენტურა გუნდრუკს უკმევდა, – თვლის ოლეგ ტიაგნიბოკი, – – ერთნი გეიაღლუმის ჩატარებას მხარს უჭერდნენ, აქაოდა ევროპაში ასეა მიღებულიო, მეორენი გააფთრებით ამტკიცებდნენ, ცოდვის პროპაგანდა დაუშვებელია, ევროპა მეძავია და ამას ერთმორწმუნე რუსეთი გვირჩევნიაო.“

25 მაისს წინ ფრიად ბობოქარი მოვლენები უძღოდა. იანუკოვიჩის გუნდმა სცადა ოპოზიციისათვის ინიციატივა წაერთმია და ევროპის დღეს კიევში ე.წ. „ანტიფაშისტური მიტინგი“ მოაწყო. როგორც ცნობილია, ამ დროს კიევის ქუჩაში ხელჩართული შეტაკებაც მოხდა ამ დროს ჟურნალისტი ქალი სცემეს. 25 მაისს ყველა უფრო მასშტაბურ ჩხუბს ელოდა. მოსკოვიდან მართვადი ძალები ამის ორგანიზებას გულმოდგინედ ცდილობდნენ.

– საქმე მხოლოდ იმაში როდია, რომ გეიაღლუმს უკრაინელთა უმეტესობა პირად შეურაცხყოფად აღიქვამს. მის წინააღმდეგ გამოდიან ძალები, რომლებიც ერთმანეთთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ არიან დაპირისპირებულნი. უწინარეს ყოვლისა, ესაა ნაციონალისტური „სვობოდა“ და კაზაკთა ის ნაწილი, რომელიც პრორუსულადაა განწყობილი. შესაბამისად რეალურია პერსპექტივა, რომ ცისფერთა აღლუმის ალაგმვისას ამ ძალებს შორისაც ხელჩართული ჩხუბი გაიმართოს,“ – იტყობინებოდა რადიო „თავისუფლება“, – სვობოდას ბევრად მეტი მომხრე ჰავს ვიდრე „კაზაკებს“. შესაბამისად შეტაკებისას კაზაკები ძალზე დაზიანდებიან. გამორიცხული არაა სისხლისღვრაც. რა მოხდება ამის შემდეგ?“

უხილავი ხელი ყოველნაირად ცდილობდა მოვლენები სწორედ ამ სცენარით წარემართა. უკრაინის ხელისუფლება ურთულეს ვითარებაში აღმოჩნდა. ერთი მხრივ, გეიპარადის ხელაღებით აკრძალვა ევროპასთან პრობლემებს შექმნიდა, მეორე მხრივ, შემდგომი უმოქმედობაც აღარ შეიძლებოდა. ხელისუფლებამაც გამოსავალი მოძებნა. კიევის სასამართლომ 25 მაისს დაგეგმილი აქცია აკრძალა. მიზეზი შემდეგი იყო: 25-ში კიევის დღე აღინიშნება, შესაბამისად ქალაქის ცენტრში საზეიმო ღონისძიებების გარდა არ შეიძლება არანაირი მასობრივი აქციის ჩატარება. პარალელურად გეიაღლუმის ორგანიზატორებთან დაიწყო დიალოგი. შედეგად ისინი დათანხმდენ, რათა თავიანთი აქცია დახურულ შენობაში ჩაეტარებინათ. ვითარება თითქოს განიმუხტა, თუმცა ბევრს ეს ხელს არ აძლევდა.

– ვიღაც-ვიღაცებმა ვითარების კვლავ დაძაბვა სცადეს. გეიაღლუმის მონაწილეებს დიდძალ თანხას შეჰპირდნენ და ყოველმხრივი მხარდაჭერა აღუთქვეს, – ამტკიცებს ტიაგნიბოკი.

გეიაღლუმის ორგანიზატორებმაც პარადის ჩატარება გადაწყვიტეს. სად და როდის შეიკრიბებოდნენ ისინი, ეს ბოლო დრომდე საიდუმლოდ რჩებოდა. 25 მაისს კიევის ცენტრში პრორუსულად განწყობილი კაზაკები გამოჩნდნენ. „ამერიკა ცისფერების აღლუმს აწყობს, ჩვენ, მართლმადიდებლები, ამას არ დავუშვებთ,“ – აცხადებდნენ ისინი. უეცრად გავრცელდა ინფორმაცია, რომ ცისფერები ქალაქგარეთ, დოვჟენკოს სახელობის კინოსტუდიასთან, იკრიბებოდნენ. „მართლმადიდებლობის დამცველნიც“ იქით გაქანდნენ:

– მასობრივი გეიაღლუმის ნაცვლად მათ 50-მდე ადამიანი დახვდათ, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“, – მათ შორის იყო ზოგიერთი ევროდეპუტატი და მიუნჰენის მერი. ამ უკანასკნელს ხელში ეჭირა პლაკატი: „მიუნჰენი კიევის დაძმობილებული ქალაქია!“

გეიაღლუმის მონაწილეთა შორის მიუნჰენის მერის ხილვამ ვითარება დაძაბა. გაისმა შეძახილები: რას ჩამოეთრიე?! რაო, მიუნჰენში ცოტა პრობლემაა, თუ რა?! შეტაკების თავიდან აცილება მხოლოდ სპეცდანიშნულების რაზმის დახმარებით გახდა შესაძლებელი. ომონის გამოჩენამ აღლუმის მონაწილეთ მხნეობა შთაბერა და მათ მსვლელობა დაიწყეს. „მართლმადიდებლებმა“ სცადეს ამისათვის ხელი შეეშალათ. ერთერთმა მათგანმა აღლუმის მონაწილეთა მიმართულებით შუშხუნა გაუშვა. ცისფრებმა უკან დაიხიეს და თავი დოვჟენკოს სახელობის კინოსტუდიას შეაფარეს. შემდგომში ისინი იქიდან ავტობუსებით გაიყვანეს.

– როცა „სვობოდას“: აქტივისტები შემთხვევის ადგილას მივიდნენ, ყველაფერი უკვე დამთავრებული იყო, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

ამრიგად 25 მაისს კიევში რუსეთის მიერ დაგეგმილი პროვოკაცია ჩაიშალა. უკრაინის ხელისუფლებამ მიაღწია იმას, რომ ქალაქის ცენტრში არც მასიური ცემა-ტყეპა შედგა, არც ევროპასთან პრობლემები წარმოიშვა. თუმცა იანუკოვიჩის გუნდმა გამარჯვებას მხოლოდ საგარეო ფრონტზე მიაღწია. ცისფერთა მსვლელობა მართალია ქალაქგარეთ, მაგრამ ასე თუ ისე, მაინც ჩატარდა. იანუკოვიჩს ამას ბევრი გაუხსენებს.

– პროვოკაციები უკრაინის წინააღმდეგ გაიზრდება, – თვლის ოლეგ ტიაგნობოკი, – ყურადღება გამახვილდება იმაზე, რომ ევროპასთან დაახლოება თურმე ჩვენს მართლმადიდებლურ ფასეულობებს საფრთხეს უქმნის. გაიზრდება მათი რიცხვი, ვინც ვითომცდა ამერიკის გრანტებით დაფინანსებული, ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდას გააჩაღებს, შესაბამისად ისინიც გააქტიურდებიან, რომლებიც აშშ-ს იმპერიალიზმის „სატანურ გეგმებს“ დაუპირისპირდებიან და „მართლმადიდებლურ რუსეთთან ერთიანობის“ ქადაგებას დაიწყებენ“.

კარგად ორგანიზებულ-დაფინანსებული ძირგამომთხრელი აქციების გასანეიტრალებლად კომპლექსური ღონისძიებების გატარებაა აუცილებელი. შესძლებს ამას უკრაინის ხელისუფლება?

ნიკა თევზაძე

ვაჟა ეგრისელი: „ეგრისელად ჩემ შემდეგ 13 კაცი იწოდებოდა“

გულიკო ბალაძე



საქართველოში 70 წლის წინ დაიბადა პოეტი, რომელსაც 15 ათასი პოეტური ქმნილება აქვს შექმნილი. არ ვიცი, მსოფლიოში კიდევ თუ მოიძებნება პოეტი, რომელმაც ამდენი ლექსი დაწერა. ვაჟა ეგრისელი (დოლბაია) დღეს ორმოცდაათამდე წიგნის ავტორია. მისი თითოეული წიგნი ათასათასზე მეტ გვერდს მოიცავს. ვაჟა ეგრისელი ვაჟა-ფშაველას და გალაკტიონის პრემიიის ლაურეატია. თარგმნილი და ცალკე წიგნად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ქვეყნების ორმოცდაათამდე ახალგაზრდა პოეტის ათასგვერდიანი, 2 ათასამდე ლექსის მომცველი ერთტომეული „იქმენ ნათელი“. გამოსცა ხუთტომეული „კოლხური ფსალმუნები“. მისი პოეტური ნიჭი არცაა გასაკვირი, რადგან ვაჟა ეგრისელი ალიო მირცხულავას დიშვილია.

ვაჟა ეგრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მონოგრაფიაა დაწერილი და ცალკე წიგნებად გამოცემული. მისი შემოქმედება შეაფასა ათასამდე ქართველმა და უცხოელმა მწერალმა, მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ თავის წიგნში სტატიასა თუ წერილში. მათ შორის, არიან უცხოელებიც. მისი ლექსები თარგმნილია მრავალ ენაზე.

პოეტი იგონებს მწერალთა კავშირში მისი ლექსების პირველ პრეზენტაციას, რომელიც მისმა ბიძამ ალიო მირცხულავამ მოუწყო და მღელვარებისაგან ლექსებს რომ ვერ კითხულობდა.

– მწერალთა კავშირში ჩემი ლექსების განხილვა მოეწყო. მღელვარებისაგან ვერ წავიკითხე ჩემი ლექსები. შესანიშნავმა პოეტმა ალაზი ხაიაურმა წაიკითხა ჩემი 30-მდე ლექსი. მან ნონეშვილივით კარგი წაკითხვა იცოდა. გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ მიმოხილვაში წერია, რომ ახალგაზრდა პოეტის ვაჟა დოლბაიას ლექსები მოწონებული იქნა. ამ განხილვაზე ორი პოემა წავიკითხე. როგორია, პირველი კურსის სტუდენტი ვარ, თანაც კავშირგაბმულობის ინსტიტუტის და მწერალთა კავშირში ლექსების განხილვას მიწყობენ, – იგონებს პოეტი.

– ბატონო ვაჟა, თავიდანვე ფილოლოგიურზე რატომ არ ჩაბარეთ?

– ერთმა გოგომ გამაბრაზა და იურიდიულზე გადავედი. ერთ მოხუცე გოგოს ვუყვარდი... მე რომ უნივერსიტეტში ვაბარებდი, იმ პერიოდში ბიძაჩემი ჩინეთში იყო.

– ალიო მირცხულავა?

– დიახ. იმ წელს იურიდიულზე ვაბარებდი., ოთხი ხუთიანი და ერთი ოთხიანი მივიღე გერმანულში. სოფელში ნასწავლი გერმანული ვიცოდი. ლექტორმა მითხრა, თუ იტყვი გერმანულად სწორად, როგორ არის „კაცი და ბავშვი მუშაობენ“, ოთხს დაგიწერო. ვუთხარი, ხუთი მინდა-მეთქი. ხუთზე მე არ ვიციო. ვუთხარი, როგორც იყო და ოთხი დამიწერა. ვერ მოვხვდი უნივერსიტეტში 25 ქულა უნდოდა. ქართულშიც ოთხიანს მიწერდნენ. ვუთხარი, რომ ხუთიანი მინდოდა. აკაკი ურუშაძე იყო კათედრის გამგე და მითხრა, ხუთიანზე მე არ ვიცი, ბიძიაო. მე ვიცი ხუთიანზე, პოეტი ვარ-მეთქი. რა პოეტი ვიყავი. შემდეგ ხელმძღვანელთან, სოლომონ ხუციშვილთან მივედი. გამომცდელმა უთხრა, ცუდი ბიჭი არ არის, მაგრამ დროის გარემოება და ადგილის გარემოება შეეშალაო. ცხადია, არ შემშლია. ამ კაცმა მკითხა, ვაჟა ფშაველა იციო? რომ დავცხე ჩქარ-ჩქარა, ნახევარი ვერ გაიგონა, გადაირია კაცი. ამის მერე ყველა ჟურნალსა და გაზეთში ბეჭდავდნენ ჩემს ლექსებს.

– ამდენი ლექსი როგორ დაწერეთ?

– მე დავიბადე ხობის რაიონის სოფელ ხორგაში. ჩემს ოჯახში ყველა ლექსს წერდა. როგორც იცით, ალიო (მაშაშვილი. მაშა მის დედას ერქვა) მირცხულავა ჩემი (დედის ძმა) ბიძა იყო. ჩემი ორივე და ლექსებს წერდა. მე მე-9-ე შვილი ვარ (7 ძმა და 2 და ვიყავით) და ყველაზე უმცროსი. უფროსი ახლა გარდაიცვალა – დევნილი ვალერიან დოლბაია. ჩვენ გვქონდა კოლხური ხის სახლი.

– ახლა გაქვთ და ჩადიხართ?

– დიახ, ახლა ძმა იქ დავასაფლავეთ. ეს იყო მეგრული ოდა-სახლი ბიწკინტებზე. ქვის ბოძები ჰქონდა. ფანქარი თუ ნახშირი ყველას ეკავა ხელში და ლექსებს აწერდა კედლებზე, ფანჯრებზე, რაფებზე, კარებზე, საფეხურებზე და თუ მიწვდებოდნენ ჭერზეც კი. მთელი სახლი აჭრელებული იყო ლექსებით. დედაჩემი ფეოდოსია, ალიო მირცხულავას და გახლდათ. 13 დედმამიშვილი იყო. მათგან ბევრი პროფესორი, დოქტორი და აკადემიკოსია. ერთ-ერთი ყველაზე ღირსეული აკადემიკოსი და ფიზიკოსი გახლდათ ალიო მირცხულავას ძმა იონა მირცხულავა. მან ნახევარგამტარები გამოიგონა. იონა მირცხულავა სწავლობდა პეტერბურგში. დედაჩემს დაუმთავრებია ფოთის გიმნაზია და ძმას პეტერბურგში წაუყვანია. იქ მამაჩემს შეუყვარდა დედაჩემი. დედაჩემის ოჯახი შედარებით მდიდარი იყო. მამაჩემი კი გლეხი იყო, თანაც ისინიც 11 დედმამის შვილი გახლდნენ. მამაჩემმა მოიტაცა დედაჩემი. დედაჩემმა პეტერბურგიც მიატოვა და მოსკოვიც. მანა ბრიოსოვის სახელობის ინსტიტუტი დაამთავრა და ლექსებსაც წერდა. მეც იგივე ინსტიტუტი დავამთავრე, მაგრამ ჩემ დროს უკვე მოსკოვის გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტად იწოდებოდა.

– პირველი ლექსი როდის დაწერეთ?

– მე-5 კლასში ვიყავი, როცა პირველი ლექსი დავწერე. ჩემი უფროსი ძმა წაიყვანეს ომში. ომი დამთავრდა და ძმა ომიდან არ გამოუშვეს. ირანში მსახურობდა.

– ხომ მითხარით, სტალინს ახლდა თეირანშიო?

– დიახ. ახლახანს გარდაიცვალა. წერილში გვწერდა, მოიწერეთ, რომ გამომიშვანო. უფროსი ვიღაც აფხაზი იყო ჩხოტუა და იმას მივწერე: „ვალოდიას ელოდება, ჩვენს ჭიშკართან რომ დგას ნუში, კაპიტანო, გეხვეწები, ჩემი ძმა აქეთ გამოუშვი“. თეირანში იდგა ქართული დივიზია და ჩემი ძმა იქ მსახურობდა.

– წერილი ჩავიდა თეირანში?

– ჩავიდა და კაპიტანმა მომწერა, აუცილებლად გამოვუშვებო. 2 წელი არ გამოუშვია. სკოლა კარგად დავამთავრე. 16 წლის ვიყავი თბილისში რომ წამოვედი. მამაჩემი სასტიკი წინააღმდეგი იყო, ერთი შვილი სახლში მაინც დამიტოვეთო. დედაჩემმა თქვა, გაგიშვებ და ყველაფერს გაგიმზადებ – გოჭს, ინდაურს და ალიოსთან მიდიო. თბილისი არ ვიცი-მეთქი. ჩემი ძმა ვალერიანი ჩამოვიდა სოხუმიდან და წამომყვა თბილისში ალიო მირცხულავასთან. ბიძაჩემმა მკითხა, სად გინდა ჩაბარებაო. მაშინ ტელევიზორი არ იყო, ახალი შემოსული გახლდათ რადიო და კავშირგაბმულობის ინსტიტუტში ჩავაბარე.

– პირადად ალიო მირცხულავაზე რას გვეტყვით?

– ხობის რაიონში ალიოს სახელობის სკოლაა, სადაც უზარმაზარი შეხვედრები ეწყობოდა. ბიძაჩემი ყოველთვის მამხნევებდა. წერე, წერეო.

– თქვენი ლექსები მოსწონდა?

– მე სულ სხვანაირ ლექსებს ვწერ. ამიტომ ალიოს უთქვამს, წერე კლასიკურად, როგორც მე ვწერო. ალიო კლასიკოსი პოეტი იყო. მისი ჰიმნით „სამშობლო“ დილის რადიოგადაცემები იწყებოდა. „ალისფერია შენი მიდამო, ეგ შენი დროშაც ალისფერია, შენი სიცოცხლე არის სტალინი, შენი მარჯვენა არის ბერია“. მე მომღერალი ვიყავი და ამ სიმღერას სკოლაში ვმღეროდით. 1960 წელს მწერალთა კავშირში ლექსების განხილვა მომიწყო. როგორია? იმ დროს, როცა ცოცხალია გიორგი ლეონიძე, იოსებ გრიშაშვილი, მაშაშვილი, ბესარიონ ჟღენტი, სერგო ჭილაია ყველა დიდი კორიფე, მე სოფლიდან ჩამოსული ახალგაზრდა გამოვდივარ და ლექსებს ვკითხულობ.

– ეგრისელი რატომ დაირქვით?

– 1966 წელს ჟურნალ „მნათობში“ დავბეჭდე პოემა „მტკვარი“ და მივანერე ვაჟა ეგრისელი. ნონეშვილი იყო ლიტერატურული გაზეთის რედაქტორი. ვიღაცამ მითხრა, როგორ ბედავ შენ ეგრისელის მიწერას, ეგრისი იცით რას ჰქვიაო? როგორ არ ვიცი-მეთქი. ვაჟა-ფშაველამ ჩარგლის ერთი პატარა სოფლის, ფშავის სახელი დაირქვა. შენ კი შავი ზვიდან კასპიის ზღვამდე ეგრისი იყო და ამ სახელის დარქმევას ბედავო? მას შემდეგ ისევ დოლბაიას ვაწერდი. მათ მეტი იცოდნენ. მაშინ ამდენი არ ვიცოდი. 1987 წელს გამოვიდა ჩემი წიგნი და დავაწერე ვაჟა ეგრისელი. მას შემდეგ ხუთტომეული გამოვიდა და მასაც ვაჟა ეგრისელს ვაწერ.

– ე.ი. ეს გვარი დაიმკვიდრეთ.

– დიახ, ამას აღარაფერი შეცვლის. 3 ათასი წლის წინათ ყოფილა ჯაკუ ეგრისელი, მითიური კაცი. ეგრისელად ჩემს შემდეგ 13 კაცი იწოდებოდა. ზაურ მაისაია, სოსო ჭუმბურიძე და სხვები ეგრისელად იწოდებოდნენ, მაგრამ ყველამ მიატოვა, 1000-1500 გვერდიანი ტომები რომ გამოვიდა. ახლა მხოლოდ მე ვიწოდები ეგრისელად.

– ყველაზე მეტად თქვენი რომელი ლექსი მოგწონთ? რაღაც ნაწყვეტი წაგვიკითხეთ.

– ამ წიგნებში შეტანილია „კოლხური ფსალმუნები“. რეზო მიშველაძემ თქვა, როგორ უნდა გაბედოს კაცმა, რომ დავით მეფსალმუნის შემდეგ, წიგნს „ფსალმუნები“ დაარქვასო. ჩემი არის „კოლხური ფსალმუნები“. იმიტომ არ მოგცეს შარშანწინ პრემია „კოლხური“ რომ დაარქვი, „ქართული“ დაგეწერაო. კოლხური ქართული არ არის, კაცო?! კოლხეთი ქართულია და საქართველოა.

– ცხადია, ნამდვილი საქართველოა.

– ამათ ეს არ უნდათ. მე ვითხარი, რომ „კოლხური ფსალმუნები“ არის ქართული ფსალმუნები. მას შემდეგ დავაარსე გაზეთი.

– ვისი სახელობის პრემია არ მოგცეს?

– რუსთაველის პრემია. მომცეს ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონის პრემია. ახლა დამრჩა რუსთაველისა და შემდეგ ნობელის პრემია. მილიონ 200 ათასი ევროა. რომ მივიღებ ასი ათას ევროს ჩაგირიცხავ.

– ნუ ხუმრობთ ასე. ახლა გაქვთ გალაკტიონისა და ვაჟა-ფშაველას პრემია და კიდევ წარდგენილი ხართ პრემიაზე?

– დიახ, ახლა რუსთაველისა და სახელმწიფო პრემიაზე ერთად ვარ წარდგენილი.

– გენერალი გენერალისიმუსობაზე ოცნებობს? ეს ხუმრობით, მაგრამ, რეალურად, რა შანსები არსებობს?

– არ უნდა ვამბობდე, მაგრამ მსოფლიოს 40 ქვეყანაში ვარ ნამყოფი და ასეთი წიგნები ამისთანა ერთი ტომი არ გამოუცია არავის დედამიწაზე. ამისთანა პოეზია არ არსებობს. ეს არის სხვა პოეზია.

– რას ნიშნავს სხვა პოეზია? რით განსხვავდება თქვენი პოეზია სხვებისაგან?

– მე იურისტი ვარ, მაგრამ ამაზე დღე და ღამ ვმუშაობ. სხვათა შორის, 20 წლის წინ პროფესორი და პოეტი შოთა ლომსაძე წერდა, ვაჟა ეგრისელი სულ სხვა მოვლენაა. არის ხალხური პოეზია. არის, მაგალითად, „ვეფხისტყაოსანი“, გალაკტიონის პოეზია. ჩემი ლექსები სულ სხვაა. ჯერ ერთი, ფსალმუნი რომ დაარქვა... ფსალმუნი არის ლოცვა. დავით მეფსალმუნე იყო 3 ათასი წლის წინ, მაგრამ ის პროზაულად წერდა. ჩემი თითოეული სტრიქონი მეტაფორაა. მეტაფორა პოეზიის ოქროა. ამ წიგნებში არის პრეისტორია, ისტორია, ზესკნელი, ქვესკნელი, ქვასკნელი, გარესკნელი, მთვარე, მზე, მიწა და რაც არსებობს სამყაროში.

– ყოველ დღე წერთ ლექსებს?

– ყოველ დღე ვწერ, მაგრამ ისეც შეიძლება მოხდეს, რომ 5 თვეს არ დავწერო. აი, მაზოლი მაქვს ხელზე. ისეთ ლექსებს არ ვწერ, მიდი, მოდი და გამოდი, გამოდი. ერთმა თქვა, რა არის ეს, მე ვერ გავიგეო. პატიოსანი კაცი ამით დაიწყებს ლექსს, მე რომ დავიწყე?

– პატიოსნებაზე რატომ ამახვილებთ ყურადღებას?

– იმიტომ, რომ გალაკტიონი ამბობდა: „სავსე ქართული პატიოსნებით“-ო. მე ვარ სავსე ქართული პატიოსნებით, რადგან ლექსს „ხალტურა“ არ უყვარს. შეიძლება არც პრემია მოგცენ, პურიც არ მოგიტეხონ, მაგრამ შენი სინდისის წინაშე უნდა იყო მართალი პატიოსნებით. ადრე ლექსები უნდა ყოფილიყო ჩაიზე, ტრაქტორზე. 1600 გვერდიანი ტომეულია და ფსალმუნით იწყება. „გამხსნელი კი არ ჩანს ფარდის, მიტომ ათასწლეულები, კოლხურ ცის ქვეშ მისტირიან ოქროს სწამისს ჯვრის და ვარდის და გრაალის მისტირიან“. ამით რომ დაიწებს კაცი ის როგორია კაცია? ერთსაც გეტყვით – ყველას ჰგონია, რომ ბიბლია ებრაულია, ბიბლია არის ძველკოლხური. ბიბლიას ერქვა ეფუთი და ამასთან დაკავშირებით გეტყვით, რას ვწერ: „როცა სიფრიფანა მწუხრი, სამეგრელოს მთებს და ბორცვებს, ნისლის ვერცხლში შეფუთნიდა, მიკითხავდა დედა ლოცვებს, ოქროდ ნაწერს ეფუთიდან“. ეფუთი – კოლხთა, ქართველთა უძველესი სიბრძნის წიგნია. ბიბლია გადაწერილია ქართულიდან. ამიტომ ეს არის ბიბლიური წიგნი. ამას წაკითვა უნდა. არავის სჯერა, რომ ეს მე-5 ტომი ერთი კაცის დაწერილია. ამიტომ ხუმრობით ვეუბნები, რომ ბიძაშვილები და დეიდაშვილები მეხმარებოდნენ-მეთქი.

ჩემპიონის ბედს მეხუთე მატჩი გაარკვევს

შსს – ოლიმპი 75:82

სუპერლიგის მეოთხე ფინალური მატჩი უაღრესად დაძაბული და ემოციურ გამოდგა. გია კაზანჯიანის დარიგებულმა „ოლიმპმა“ აკადემიელების დამარცხება მოახერხა და ანგარიში 2:2 გახადა. გამომდინარე აქედან, დამატებითი, მეხუთე მატჩიც გაიმართება, რომელიც ჩემპიონს გამოავლენს, ამიტომ დაძაბულს და დრამატულს უნდა ველოდოთ.

ახლა კი რაც შეეხება, ფინალური სერიის მე-4 დაპირისპირებას, აქ მატჩის ბოლო მეოთხედი განსაკუთრებით დაძაბული გამოდგა. თუმცა დაძაბულობა ანგარიშს კი არა პარკეტზე მომხდარი შეხლა -შემოხლა უფრო ძაბავდა. აკი გაანცხადა მე-3 მატჩის შემდეგ გია კაზანჯიანმა, აკადემიელებმა ბინძური თამაში დაგვიპირისპირეს, რაზეც მსაჯებმა თვალი დახუჭეს და იგივე ბინძურ თამაშს ვითამაშებთ აწი ჩვენცო. და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ „ოლიმპის“ კალათბურთელებმა ბოლო პერიოდში 3 ტექნიკური ჯარიმა მიიღეს და სამი წამყვანი მოთამაშის გარეშეც დარჩნენ, გამარჯვებამდე მისვლა მაინც მოახერხეს.

მესამე მეოთხედის დასრულებამდე 4 წუთით ადრე, მიხეილ ბერიშვილმა საჯარიმოები ჩააგდო და „ოლიმპი“–61:42 დააწინაურა, დარბაზში მყოფთა უმეტესობამ საქმე ალბათ მოთავებულად ჩათვალა, თუმცა აკადემიელებს შანსი გამოუჩნდათ – პრევიტმა 2 სამიანი ჩააგდო, დეონტა ვონმაც ზუსტად დააგვირგვინა გარღვევა და აკადემიელების ჩამორჩენა 10 ქულამდე დაიყვანა – 52:62.

ბოლო მეოთხედი ოლიმპელი მარტინას ანდრიუკაიტისის 3-ქულიანით გაიხსნა და „ოლიმპი“ კიდევ უფრო კომფორტულ სიტუაციაში აღმოჩნდა, თუმცა ვითარება მალევე შეიცვალა. ჯერ იყო და სტეფან მილოშევიჩმა მე-5 პერსონალური მიიღო და ამაზე აღშფოთებულმა ტექნიკური ჯარიმაც დაიმსახურა, შემდეგ ლევან ფაცაციამ ჯარიმა და პლუს ტექნიკური მიიღო, რის შემდეგაც პრევიტმა ზუსტად შესრულებული 3 საჯარიმოთი აკადემიელთა ჩამორჩენა 7 ქულამდე შეამცირა – 67:74. ეს მოხდა თამაშის დასრულებამდე 5 წუთით ადრე და რამდენიმე წამში მეტოქესთან შელაპარაკების გამო, ოლიმპიელთა კაპიტანმა მიხეილ ბერიშვილმა ტექნიკური მიიღო და მოედნიდან გავარდა. ბერიშვილსა და მილოშევიჩთან ერთად პერსონალურების გამო კაზანჯიანის გუნდმა აკაკი დვალიშვილიც დაკარგა. „ოლიმპი“ რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა – ფაქტობრივად არც ერთი მეფარე აღარ დარჩათ და უკანახაზელთა ინდივიდუალობის იმედად დარჩნენ. ამ მომნეტისთის, ოლიმპიელები სულ რაღაც 6 ქულით იყვნენ წინ. თავის მხრივ ეს ხელ შსს-ს აძლევდა, მაგრამ...

ბოლო 4 წუთი ოლიმპელებმა ასეთი განახევრებული შემადგენლობით ჩაატარეს და რომ გაიმარჯვეს – მარტინას ანდრიუკაიტისის 3-ქულიანის, ლევან ფაცაციას ზუსტი გარღვევის და დარენ მურის საჯარიმოების დამსახურება იყო. „შსს-აკადემიამ“ ბოძებული შანსით ვერ ისარგებლა და უკანასკნელ წუთებში რამდენიმე შეცდომა დაუშვა, რითაც მოგების შანსი გადაიწურა.

„ოლიმპის“ შემადგენლობაში 22 ქულით ბომბარდირი მური გახდა, 18 ქულით და 7 მოხსნით დაასრულა შეხვედრა ლევან ფაცაციამ, ხოლო ირაკლი მიქელაძემ ფინალური სერიის თავის პირველ მატჩში 12 ქულა მიითვალა.

„შსს-აკადემიას“ 25 ქულით დეონტა ვონმა ულიდერა, 16 ქულით დაასრულა შეხვედრა პრევიტმა, ილია ლონდარიძის ანგარიშზე კი ორმაგი დუბლი – 13 ქულა და 10 მოხსნა დაგროვდა.

მატჩის შემდეგ

გია კაზანჯიანი (ოლიმპი):

– ვულოცავ ჩემს გუნდს გამარჯვებას. როგორც ვიწინასწარმეტყველეთ, ხუთთამაშიანი სერია გამოდგა. რაც შეეხება შეხვედრას, როგორც გუშინ, დღესაც ბინძური თამაში იყო, თითქოს წინ ვიყავით, თუმცა ბოლო წუთებამდე არ იყო გარკვეული გამარჯვებულის ვინაობა. ფსიქოლოგიურმა მომენტმაც იმოქმედა, 3 ტექნიკური მივიღეთ, რითაც მეტოქეს დაწვეის და სხვაობის 5-ქულამდე დაყვანის შანსი მივეცით. გადამწყვეტი თამაშისთვის ამაზე სამუშაო გვაქვს. 3 ტექნიკური მივიღეთ და ეს სწორედ იმით იყო განპირობებული, რომ მსაჯობით უკმაყოფილები ვიყავით.

გეორგის კეცელიდისი (შსს აკადემია):

– გულწრფელად ვულოცავ „ოლიმპს“ გამარჯვებას. ამ გუნდთან თამაში ყოველთვის მსიამოვნებს, არ აქვს მნიშვნელობა ვიგებთ თუ ვაგებთ, ტაქტიკური ბრძოლა მიდის და ეს სასიამოვნოა. სერიის გათანაბრებით მხოლოდ ფანები იქნებიან ბედნიერები, რადგან კიდევ ერთ ძალიან საინტერესო თამაშს იხილავენ. გუნდებმა კი ბევრი რამ გადავიტანეთ, აღელვებულები და დაღლილები ვართ. თავიდან კონცენტრაცია დაკარგა ჩვენმა გუნდმა, თუმცა ძალების მობილიზება მოვახდინეთ და მეტოქეს მივუახლოვდით, გადამწყვეტი მომენტი იყო, როცა 5 ქულამდე დავიყვანეთ სხვაობა და რეიმონდმა იოლი ბურთი ვერ ჩააგდო. შეიძლებოდა სხვა შედეგი დამდგარიყო. „ოლიმპის“ გამარჯვება საბოლოოდ იმანაც განაპირობა, რომ მეტოქის დაკარგვებიდან მათ 17 ქულა ჩააგდეს, ჩვენ კი მხოლოდ – 4. ამ თამაშშიც, პირველ და მეორე პერიოდში სამქულიანების დაუჯერებლად კარგი პროცენტი ჰქონდათ, მაგალითად 65 პროცენტი დღეს. რაც შეეხება მსაჯობას, უკვე ორი სეზონია საქართველოში ვარ და არასდროს, მით უმეტეს წაგებული თამაშების შემდეგ, შედეგი მსაჯებისთვის არ დაბიბრალებია, პასუხისმგებლობას ყოველთვის ჩემს თავზე ვიღებ. წაგება არც მოთამაშეების, არც მსაჯების, არც კალათის და ბურთის ბრალია, არამედ პასუხისმგებელი მე ვარ. მსაჯებზე წაგების გადაბრალება ყველაზე იოლი გამართლებაა.

ირაკლი მიქელაძე (ოლიმპი):

– პირველ რიგში, ვულოცავ ჩემს გუნდს გამარჯვებას. დღეს ჩვენთვის ბოლო შანსი იყო, შეცდომის დაშვების უფლება არ გვქონდა და მოვახერხეთ კარგი თამაშით სასურველი შედეგის მიღება. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ბოლო თამაშში ჩემპიონობა მოვიპოვოთ.

დეონტა ვონი (შსს აკადემია):

– მინდა მივულოცო „ოლიმპს“ გამარჯვება. დღეს ძალიან კარგად ითამაშეს და უფრო აგრესიული თამაში აჩვენეს, ვიდრე წინა მატჩში. ჩვენ თამაშის შუაში შევძელით მოწინააღმდეგესთან დაწევა, თუმცა გვიანი იყო. მათ უფრო თავდადებულად ითამაშეს და გაიმარჯვეს კიდეც.

მ. ჟ.

თბილისში სამხრეთკავკასიური ფესტივალი ჩატარდება

ეკა ირემაშვილი

2-დან 9 ივნისის ჩათვლით, თბილისში თანამედროვე ცეკვისა და ექსპერიმენტული ხელოვნების სამხრეთ-კავკასიური ფესტივალის პირველი ღონისძიებები ჩატარდება. როგორც ფესტივალის დირექტორი თამუნა გურჩიანი განმარტავს, ფესტივალის თბილისში ჩატარების იდეა 2012 წელს გაჩნდა და ის თანამედროვე ცეკვისა და ექსპერიმენტული ხელოვნების განვითარების და შემოქმედებითი პლატფორმის შექმნას ემსახურება. ფესტივალის ინიციატორები და ორგანიზატორები არიან შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო და „პლატფორმა ცვლილებებისთვის“.

– შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო არის შვეიცარიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნაწილი და შვეიცარიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს წარმოადგენს. მისი მანდატით განსაზღვრულია, რომ შვეიცარიის სახელით იმოქმედოს და თავისი წვლილი შეიტანოს გლობალური ტრანსფორმაციებისა და განვითარების პროცესებში. ის მხარს უჭერს კულტურის სფეროში პროექტების განხორციელებას როგორც შვეიცარიაში ასევე სხვა პარტნიორ ქვეყნებში, ვინაიდან კულტურა ქვეყნების განვითარების პროცესებში ერთ-ერთ ძირითად და მნიშვნელოვან როლს თამაშობს. რაც შეეხება „პლატფორმა ცვლილებებისთვის“, ის ქართული არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომლის მიზანია კულტურის როლის, როგორც სოციალური ცვლილებებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორის გაძლიერება სამხრეთ კავკასიის რეგიონში, დიალოგისა და ინტერაქციის გაღრმავება ხელოვანებს შორის საერთაშორისო დონეზე ინოვაციურ სახელოვნებო პრაქტიკაზე და მრავალფეროვან პრეზენტაციის ფორმებზე დისკურსის გაფართოებით. ფესტივალის მხარდამჭერები არიან შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო და თბილისი მერია. ფესტივალის პარტნიორია ევროპის სახლი, – აცხადებს ფესტივალის დირექტორი.

მისივე თქმით, ფესტივალის პროგრამა აერთიანებს ორ ძირითად მიმართულებას – თანამედროვე ცეკვასა და ექსპერიმენტულ ხელოვნებას.

– ფესტივალის პირველი გამოშვება 18 თვეზე იქნება გაშლილი. იგი გაიხსნება 2013 წლის 2-9 ივნისს თანამედროვე ცეკვისა და ექსპერიმენტული ხელოვნების პროგრამით, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი, რუსი, შვეიცარიელი, ფრანგი, ავსტრიელი და ხორვატი მოცეკვავეები, ქორეოგრაფები და თანამედროვე ცეკვის ფესტივალების წარმომადგენლები; პარალელურად ჩატარდება გრაფიტის/სთრით არტის 3-დღიანი ფესტივალი. მის ფარგლებში თბილისის ყოფილი იპოდრომის ტერიტორიაზე ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი მხატვრები ბელგიელ, ქართული წარმოშობის გრაფიტის ხელოვან ზუკა მიქაბერიძესთან ერთად ახალ მიწისქვეშა გადასასვლელს მოხატავენ. შემდეგ, 2013 წლის სექტემბერში, ჩატარდება ცნობილი ქართველი ქორეოგრაფის, ბალეტმეისტერისა და პედაგოგის, გიორგი ალექსიძისადმი მიძღვნილი პირველი კონფერენცია. 2013 წლის 1-14 დეკემბერი დაეთმობა ექსპერიმენტული ხელოვნების გამოფენებს, 2014 წლის 24-28 თებერვალს კი გაიმართება დოკუმენტური ფილმების ჩვენება სამხრეთ კავკასიის საბალეტო ტრადიციების შესახებ, რითაც პატივს მივაგებთ კლასიკურ ბალეტს, რომლის გარეშე ვერც თანამედროვე ცეკვა განვითარდებოდა, – ამბობს ფესტივალის ხელმძღვანელი.

თანამედროვე ცეკვისა და ექსპერიმენტული ხელოვნების პროგრამის ფარგლებში სამი ქორეოგრაფი, ქართველი მარიამ ალექსიძე, სომეხი რიმა პიპოიანი და აზერბაიჯანელი ხელოვანი საბინა შიხლინსკაია წარდგებიან პრემიერებით. 2 ივნისს კი წარმოდგენილი იქნება შვეიცარიელი მოცეკვავისა და ქორეოგრაფის ჟილ ჟობენისა და მისი კომპანიის ნამუშევარი „სპაიდერ გალაქსი“.

შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო „პლატფორმა ცვლილებებისთვის“ და თბილისი მერია უკვე ახმაურებს თბილისის თანამედროვე ცეკვისა და ექსპერიმენტული ხელოვნების სამხრეთკავკასიური ფესტივალის პროგრამას:

2 ივნისს 20 საათზე სამეფო უბნის თეატრში წარმოდგენილი იქნება სომეხი, აზერბაიჯანელი და ქართველი ქორეოგრაფების სპექტაკლები – რიმა პიპოიანის სპექტაკლი დანტეს ნაწარმოებების ვარიაციებზე, საბინა შიხლინსკაიასა და სამარაველოვა-კერნერის პერფორმანსი და მარიამ ალექსიძის სპექტაკლი V&V.

2 ივნისს 22 საათზე სამეფო უბნის თეატრში პიანისტი ნინო ჟვანია შეასრულებს ჯონ კეიჯის, კარლჰაინზ შტოკჰაუზენის, ლუიჯი ბერიოს, მაკა ვირსალაძისა და ეკა ჭაბაშვილის ნაწარმოებებს.

3 ივნისს ფესტივალი ევროპის სახლში გადაინაცვლებს, სადაც მოეწყობა დებატები მდიდარი საბალეტო ტრადიციის მქონე ქვეყნებში თანამედროვე ცეკვის და პერფორმანსის ხელოვნების განვითარების პერსპექტივებზე ზაგრების/ნიუ იორკისა და ტოკიოს ქუერ ფესტივალის დამაარსებლის ზვონიმირ დობროვიჩის, ქართველი ქორეოგრაფის მარიამ ალექსიძის, ჟურნალისტ დავით ბუხრიკიძისა და აზერბაიჯანისა და სომხეთის კულტურის სამინისტროების წარმომადგენელთა მონაწილეობით. ამავე დღეს, საღამოს, ვერის ბაღში გათამაშდება ღელა ჭინჭარაულის პერფორმანსი „ღია ცის ქვეშ“ ჯგუფ „არბალეტის“ და ანსამბლ „ქართველოს“ მონაწილეობით.

3-4 ივნისს ყოფილი იპოდრომის ტერიტორიაზე მოეწყობა გრაფიტის ფესტივალი, 4 ივნისს ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის ქორეოგრაფიული სასწავლებელი უმასპინძლებს ტატიანა ფატეევას მასტერკლასს თანამედროვე ცეკვის საშემსრულებლო ტექნიკაში სასწავლებლის სტუდენტებისა და მოყვარულებისთვის.

5 ივნისს ევროპის სახლში დაგეგმილია ხელოვანების, გრაფიტის შემსრულებლების და სტუდენტების შეხვედრა ზუკა მიქაბერიძესთან, ასევე გრაფიტის ისტორიის შესახებ ფილმის ჩვენება.

9 ივნისს ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში ჩატარდება ტატიანა ფატეევას მასტერკლასი თანამედროვე ცეკვის საშემსრულებლო ტექნიკაში ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასის მოცეკვავეებისთვის. ამავე დღეს გაიმართება აარონ ჩარლზის მასტერკლასი კლუბურ ცეკვაში: ჰაუსი. ფესტივალს კი დაასრულებს სამეფო უბნის თეატრში ჟილ ჟობენის (ჟენევა) დასის სპექტაკლი „სპაიდერ გალაქსი“, რომელსაც ქორეოგრაფიც დესწრება.

ცეკვის კრიტიკოსი ჟურნალისთვის „ბალეტი“ (მოსკოვი), ავტორი წიგნისა „რუსული თანამედროვე ცეკვა. დიალოგები“ და „თანამედროვე ცეკვა პოსტ-საბჭოთა სივრცეში“ კატერინა ვასენინა ფესტივალის მნიშვნელობაზე ასე საუბრობს:

– ფესტივალი საუკეთესო სივრცეა ნებისმიერი ჟანრის ხელახლა გააზრებისთვის. ფესტივალი ეს არის ადგილი, სადაც ერთმანეთს ხვდებიან, ცვლიან ინფორმაციას, უყვარდებათ, ახალი იდეებით ივსებიან, ერთმანეთისგან სწავლობენ. თანამედროვე ცეკვა ძალიან ღია, ძალიან ლიბერალური, მრავალი ჟანრის გამაერთიანებელი და ამავდროულად, გამორჩეული ხელოვნებაა. ქორეოგრაფიული ენის ნაზავი, რომელიც ამ ფესტივალზეა წარმოდგენილი, ბევრი ფაქტორითაა განპირობებული. უპირველესად ყოვლისა, ეს არის საზოგადოების მზადყოფნა, რომ ამგვარი ექსპერიმენტის აზრი და მნიშვნელობა გაიაზროს და მხარი დაუჭიროს. ფესტივალი ბიძგს აძლევს შემოქმედებით ქორეოგრაფებს, ახლებურად გაიაზრონ ადგილობრივი კულტურის ტრადიციები და განავითარონ თანამედროვე სოციალური გარემოს გათვალისწინებით. ინიციატივა, რომ ჩატარდეს თბილისის ფესტივალი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყნის: სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს საოცრად მრავალფეროვანი და საინტერესო ტრადიციული კულტურის გათვალისწინებით. ეს ტრადიციები თითქმის ხელუხლებელი წყაროა შთაგონებისთვის და ავთენტური მასალის ორიგინალური გამოყენებისთვის და ჯერ კიდევ უცხო ხილადაა დარჩენილი თანამედროვე ცეკვის სამყაროსთვის. კავკასიისთვის თანამედროვე ცეკვის სამყაროში ადგილის დამკვიდრების და საკუთარი თავის წარმოდგენის საუკეთესო გზა სწორედ თანამედროვე ცეკვის ტრადიციულ კულტურასთან დაკავშირება იქნება. ეს ფესტივალი ამის საუკეთესო საშუალებაა! გისურვებთ ყველაფერს საუკეთესოს ამ დროული და ძალიან მნიშვნელოვანი ფესტივალის ორგანიზებისას!

ეროვნული არქივი ქართველოლოგიის საზაფხულო სკოლას მოაწყობს

ეკა ირემაშვილი

საქართველოს ეროვნული არქივი შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით 17-23 ივლისს მოაწყობს ქართველოლოგიის საზაფხულო სკოლას „საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921)“.

პროექტის პრეზენტაცია ეროვნული არქივის საგამოფენო დარბაზში გაიმართა, სადაც წარმოდგენილი იყო პირველი რესპუბლიკის პერიოდის ფოტო და დოკუმენტური მასალა. ღონისძიებაში მონაწილეობდა იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე დავით ჯანდიერი, რომელმაც პირველი რესპუბლიკის პერიოდის ისტორიის კვლევის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

– ეროვნული არქივი ინახავს პირველი რესპუბლიკის პერიოდის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტებს, რომლის შესწავლა ქართველი და უცხოელი მეცნიერების ცოდნას საქართველოს 1918-1921 წლების ისტორიის შესახებ კიდევ უფრო გააღრმავებს, – განაცხადა ეროვნული არქივის ხელმძღვანელმა თეონა იაშვილმა.

საზაფხულო სკოლის სამეცნიერო ხელმძღვანელმა, საისტორიო ცენტრალური არქივის დირექტორმა ანტონ ვაჭარაძემ პრეზენტაციისას აღნიშნა, რომ ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებს 15 მსმენელი, მათ შორის უცხო ქვეყნის – 10 და საქართველოს 5 მოქალაქე.

– პროექტის მიზანია უცხოელი და ქართველი მონაწილეებისათვის საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული ყოფის გაცნობა, ასევე უცხოელ მეცნიერთა ინფორმირება საქართველოსა და კავკასიის რეგიონის შესახებ ეროვნულ არქივში დაცულ, 1918-1921 წლების დოკუმენტებზე, ლევილისა და ჰარვარდის კოლექციებში არსებული მასალების მნიშვნელობის წარმოჩენა რეგიონის ისტორიის კვლევისათვის, უცხო ქვეყნის სამეცნიერო წრეებში საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ ცნობადობის ამაღლება და ქართველ და უცხოელ მეცნიერთა შორის კონტაქტების გაღრმავება, – განმარტა საზაფხულო სკოლის სამეცნიერო ხელმძღვანელმა, საის-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.



საბანკო რეკვიზიტები:
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის სარეგის დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000

თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხოგის ღვთისმშობლის სარეგის დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

განცხადებები

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მოგიხსნით ნეგატიური ზემოქმედებით გამოწვეულ პრობლემებს ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვი-ანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, აფორიაქებას, დაძაბულობას, შებოჭილობას, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423

ბაიერნმა და რობენმა ფინალის პრობლემა დაძლიეს

დორტმუნდი – ბაიერნი 1:2

ლონდონი. უემბლი. 86.298 მაყურებელი

0:1 მანჯუკიჩი (60), 1:1 გიუნდოგანი (68პ), 1:2 რობენი (89)

დორტმუნდი: ვაიდენფელერი, პიშჩეკი, სუბოტიჩი, ჰუმელსი, შმელცერი, ბენდერი (შაჰინი 90), გიუნდოგანი, კუბა (შიბერი 90), როისი, გროსკროიტცი, ლევანდოვსკი

ბაიერნი: ნოიერი, ლამი, ბოატენგი, დანტე, ალაბა, მარტინესი, შვაინშტაიგერი, რობენი, მიულერი, რიბერი (გუსტავო 90), მანჯუკიჩი (გომესი 90)

სენსაცია არ შედგა – ფავორიტად შერაცხულმა მიუნხენის „ბაიერნმა“ ჩემპიონთა ლიგის ფინალი მოიგო, ამასთან, სრულიად დამსახურებულად.

ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე სანახაობრივი ფინალი ბოლო წლების განმავლობაში. „დორტმუნდი“ პირველ ტაიმში გაცილებით მეტს უტევდა, საკმაოდ შექმნა მომენტები, თითქმის ყველა კომპონენტში ჯობდა „ბაიერნს“. სენსაციის სუნიც იდგა, მაგრამ მიუნხენელთა შემადგენლობაში კარგად თამაშობდა მანუელ ნოიერი, რომელიც თანაგუნდელების გამოფხიზლებას ელოდებოდა. ამასვე ელოდებოდა ჰაინკენსიც, ხოლო „დორტმუნდი“ მომენტებს მანამდე ანაივებდა, სანამ ბავარიელებმა მატჩში გარდატეხა არ შეიტანეს.

„ბაიერნს“ გამარჯვება არიენ რობენმა მოუტანა და ესეც სიმბოლურია – ის ხომ წინა წაგებული ფინალის ანტიგმირი იყო, როდესაც „ჩელსის“ კარში პენალტი ვერ გაიტანა, მაგრამ „ბაიერნს“ კვლავ სჯეროდა მისი და ჰოლანდიელმა ეს დაუფასა კიდეც.

როგორც აღვნიშნეთ, საწყისი წუთები „დორტმუნდისა“ იყო. იურგენ კლოპის შეგირდები აშკარად უფრო ორგანიზებულად მოქმედებდნენ, სახიფათო მომენტებს ქმნიდნენ და ნოიერს თამაშში ჩართვა 4-ჯერ მოუხდა.

„ბაიერნმა“ პირველი სახიფათო მომენტი 26-ე წუთზე შექმნა, როდესაც მანჯუკიჩის თავური ვაიდენფელერმა შესანიშნავი რეაქციით მოიგერია. ამას კუთხურის მოწოდება და უკვე ხავი მარტინესის სახიფათო თავური მოჰყვა, მაგრამ ამჯერად, ბურთი კარს აცდა.

ტაიმის დარჩენილ ნაწილში, არიენ რობენი მეკარესთან პირისპირ 2-ჯერ გავიდა, მაგრამ ვაიდენფელერს ვერცერთხელ აჯობა.

მე-2 ტაიმი „ბაიერნის“ უპირატესობით დაიწყო და მე-60 წუთზე ანგარიშიც გაიხსნა. მარცხენა ფლანგიდან შეტევის დროს, რიბერიმ რობენი კარგი პასით მოძებნა, ჰოლანდიელმა ძალიან ჭკვიანურად იმოქმედა და მეკარის მოტყუების მიუხედავად, მახვილი კუთხიდან დარტყმას კარის გასწვრივ პასის გაკეთება ამჯობინა, რასაც მანჯუკიჩის მიერ იოლი ბურთის გატანა მოჰყვა.

„დორტმუნდმა“ მალევე უპასუხა – მარცხენა ფლანგიდან როისი საჯარიმოში შევიდა, მაგრამ დანტემ ფეხი მუცელში უთავაზა – პენალტი, რომელიც გიუნდოგანმა ზუსტად შეასრულა.

მატჩი „ბაიერნის“ უპირატესობით გაგრძელდა და 71-ეწუთზე, მიუნხენელებმა ძალიან სახიფათო მომენტი შექმნეს. მიულერი საჯარიმოში შევიდა და მეკარე მოატყუა, რასაც მახვილი კუთხიდან მის მიერ საპირისპირო ძელთან მყოფი რობენს პასი გაუკეთა, მაგრამ თავგანწირვით ითამაშა სუბოტიჩმა და მისი გუნდი აშკარა გოლისგან იხსნა. მალევე, საქმეში ჩართვა ვაიდენფელერს მოუხდა, რომელმაც ალაბას ძლიერი დარტყმა მოიგერია.

88-ე წუთზე, მიუნხენელებმა კარგი კომბინაცია გაითამაშეს და ძლიერად უკვე შვაინშტაიგერი ურტყამდა, მაგრამ ვაიდენფელერი კვლავ უშეცდომო იყო.

89-ე წუთზე საჯარიმოს წინა ხაზთან, რიბერიმ ჭკვიანური პასი გაუკეთა რობენს, რომელმაც სისწრაფეში დაჩაგრა დორტმუნდელთა მცველები და ვაიდენფელერთან პირისპირ გასულმა ჰოლანდიელმა ბილიარდის სიზუსტით გათვლილი დარტყმით 12 წლიანი პაუზის შემდეგ, „რეკორდმაისტერმა“ ევროპის საუკეთესო გუნდის წოდება მოაპოვებია.

„ბაიერნმა“ ჩემპიონთა თასი მეხუთედ მოიგო, რითიც ის „ლივერპულს“ გაუთანაბრდა, ხოლო იუპ ჰაინკესი გახდა მე-4 მწვრთნელი, რომელმაც ჩემპიონთა თასის მოგება ორ სხვადასხვა გუნდთან ერთად შეძლო.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – არიენ რობენი

ძალიან გაგვიჭირდა რობენის არჩევა, შეგვეძლო დაგვესახელებია ვაინდერფელერი, მაგრამ უფრო ფრენკ რიბერი იმსახურებდა, რომელიც გაცილებით სარგებლიანი იყო. თუმცა, რობენმა გააკეთა საგოლე პასი და 1 წუთით ადრე გაიტანა უმნიშვნელოვანესი გოლი, რომელმაც მოედანზე ყველა სხვა ქმედება გადაფარა.

მატჩის შემდეგ

იუპ ჰაინკენსი:

– პირველ ტაიმში თამაშში კარგად ვერ ჩავერთეთ, ამიტომ შესვენებაზე კორეკტივების შეტანა მომიწია. პირველი 20 წუთი მივხდით თუ რა რთულია ფავორიტის როლი. ყველაფერს, რასაც მივაღიწეთ ამ სეზონში, მართალია ის ჯერ დასრულებული არაა, რადგან წინ გერმანიის თასის ფინალი გველის, უბრალოდ წარმოუდგენელია. ბუნდესლიგაში არასდროს იყო მსგავსი გუნდი, რომელის ასეთ მაღალ დონეზე თამაშობდა. 25-ქულიანი სხვაობით იგებდა ჩემპიონატს და ამავე დროს ყველა რეცორდს ხსნიდა. სეზონის დაწყებიდან, ჩვენ ვუმატებდით, გუნდური სულისკვეთება მოვიპოვეთ და ერთად დაუღალავად ვმუშაობდით. ეს ახალი გამოცდილება იყო ჩემთვის. ჩვენ გვყავს 22-23 ტოპ-კლასის პროფესიონალი და მათ ყველას შეუძლია პირველ გუნდში თამაში. როცა ასეთი კალიბრის ფეხბურთელები გყავს ძალიან მაგარია, რაც ჩვენი წარმატების განსაკუთრებული მიზეზია. რა თქმა უნდა ძალიან გახარებული ვარ. ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება სამწვრთნებელო კარიერის ყველაზე ნათელი მომენტია. გაატარო ამ ტურნირში სამი სეზონი და აქედან ორჯერ მოიგო – მგონი ასეთი რამე ყველასთან არ ხდება. ასევე მესმის, იმედგაცრუება, როცა ფინალს ასე აგებ, თუმცა კარიერაში აღმასვლა და დაღმასვლა ხშირად არის. ამის ხარჯზე შეგიძლია უფრო ძლიერი გახდე. ჩვენ შემოგვხედეთ. გასულ წელს ფინალი წავაგეთ, მაგრამ არ შევეგუეთ. უფრო მეტი ვიმუშავეთ და აი შედეგი. სრულიად შესაძლებელია, რომ ევროპაში ახალი ერა იწყება. ახლა „ბაიერნის“ ერა იწყება.

იურგენ კლოპი:

– ჩემს ფეხბურთელებს ვუთხარი, რომ ჩვენ დავბრუნდებით. შეიძლება ეს არ იყოს ისევ „უემბლი“, მაგრამ ჩვენ ფინალში კვლავ ვითამაშებთ. აი, ეს ვუთხარი ჩემს გუნდს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ძალიან კარგად ვითამაშეთ და მომენტებიც გვქონდა ანგარიში ჩვენს სასარგებლოდ მაინც ვერ მივიყვანეთ. ფინალში თამაშს ხარისხს აზრი არ აქვს, მთავარია ტაბლო თუ რა ეწერება იქ. „ბაიერნს ვულოცავ გამარჯვებას. ჩვენ კი აუცილებლად დავბრუნდებით ფინალში და უკვე შანს ხელიდან აღარ გავუშვებთ. ფაქტია, რომ ჩემმა გუნდმა ფინალურ მატჩში თამაში დავიმსახურა და ეს დღეს დავამტკიცეთ. მშვენიერი ამინდი იყო, ყველაფერი მაღალ დონეზე გახლდათ მომზადებული, მხოლოდ შედეგით ვარ უკმაყოფილო.

არიენ რობენი:

– ეს იყო თანაბარი თამაში. ჩვენ ბრწყინვალე მომენტები შევქმენით, შანსები მეტოქესაც ჰქონდა. რაც მოხდა იმას ჯერ ვერ ვაცნობიერებ. ახლა მხოლოდ ემოციების მოზღვავება მჭირს. ჯერ კიდევ არ მჯერა ეს ყველაფერი.

მარიო გიოტცე:

– ბოლომდე დაცლილი ვარ. ძალიან ახლოს ვიყავით ტიტულთან. ბოლო წუთებზე გაშვებულმა გოლმა დიდი დარტყმა მოგვაყენა. რაღა უნდა ვილაპარაკო ამაზე, თუმცა კარგი თამაში ვაჩვენეთ, გვინდოდა მოგება, მაგრამ ვერ მოვიგეთ. მგონია, ყველა მიხვდა, რომ „ბაიერნი“ დღეს დაუმარცხებელი სულაც არ იყო. მეტოქე პატივისცემით მოგვექცა, როგორც ამას ვიმსახურებთ. ეს პირველ ტაიმში გამოჩნდა, მაგრამ მოვრჩეთ ამაზე. ტიტული ვერ მოვიგეთ, მხოლოდ ამას აქვს მნიშვნელობა.

სანიკიძე და მარკოიშვილი ფინალისკენ მიიწევენ

გამარჯვებით დაიწყო იტალიის ჩემპიონატის ნახევარფინალური სერია ვიქტორ სანიკიძის „სიენამ“. სიენელების მეტოქე რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებული „ვარეზეა“, რომელიც სანიკიძის გუნდმა სტუმრად 80:72 დაამარცხა და ოპონენტს მოედნის უპირატესობა აართვა.

მატჩი მეტად დაძაბული გამოდგა და ბოლო მეოთხედამდე თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა. გადამწყვეტი ათწუთიანის წინ ანგარიში 52:52 იყო, თუმცა ბოლო პერიოდში სიენელებმა იყოჩაღეს, პერიოდი 28:20 მოიგეს და ნახევარფინალური სერია გამარჯვებით დაიწყეს.

სანიკიძე სასტარტო ხუთეულში არ ყოფილა. ქართველმა ფორვარდმა 17 წუთი ითამაშა და სიენელებს 4 ქულა და 6 მოხსნა შესძინა. ვიქტორმა 2-დან 2 ორქულიანი ჩააგდო, 1 საჯარიმო კი ააცილა.

სერია 4 გამარჯვებამდეა, მორიგი მატჩი კი 28 მაისს ისევ ვარეზეში გაიმართება.

თურქეთის ჩემპიონატში ნახევარფინალურ სერიაში ჩაება მანუჩარ მარკოიშვილის „გალათასარაი“. სტამბოლელებმა იზმირის „პინარ ქარშიაქას“ უმასპინძლეს და საბოლოოდ ანგარიშით 70:54 დაამარცხეს.

ნახევარფინალური სერია 3 გამარჯვებამდეა, „გალათასარაის“ კი, როგორც რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებულს, მოედნის უპირატესობა აქვს. სტამბოლელთა გამარჯვებაში მნიშვნელოვანი წილი დაიდო ქართველმა უკანახაზელმა. მარკოიშვილი სასტარტო ხუთეულში არ ყოფილა, თუმცა მოედანზე 29,22 წუთი გაატარა და პირად ანგარიშზე 11 ქულა, 3 მოხსნა და 1 ჩაჭრა ჩაიწერა. მანუჩარმა 7-დან 4 ორქულაინი და 4-დან 1 სამიანი ჩააგდო.

სერიის მომდევნო მატჩს, 27 მაისს, კვლავ „გალათასარაი“ უმასპინძლებს, რის შემდეგაც, სერია იზმირში გადაინაცვლებს.

19-წლამდელებმა ფავორიტთან ფრედ ითამაშეს

ინგლისი – საქართველო 1:1

0:1 ფანცულაია (8), 1:1 კლეიტონი (38)

ინგლისი: პიკფორდი, ჩამბერსი, ლეი, ტურნბული, ბრაუნინგი, ოკონელი, კლეიტონი (ჯემპბელი 73), ბეიკერი, აკპომი, ჰარიოტი (ვებსტერი 86), პერსონი (დოუსონი 8)

საქართველო: თებიძე, მთივლიშვილი, სანდოხაძე, ნ.ჭანტურია, უბილავა, სამუშია (მარკოზაშვილი 57), ენდელაძე, არაბული (კაპ), ცნობილაძე (დვალი 83), ფანცულაია (კაჭარავა 90), ზივზივაძე

გაძევება: პიკფორდი (7)

საქართველოს 19-წლამდე ნაკრებმა ელიტრაუნდის პირველი შეხვედრა ინგლისის ნაკრებთან გამართა და ჯგუფის ფავორიტად დასახელებულ მეტოქესთან ქულები გაიყო.

საქართველოს ნაკრებისთვის ყველაფერი ძალიან კარგად დაიწყო. უკვე მე-7 წუთზე, მატჩის მთავარმა არბიტრმა მოედნიდან ინგლისელთა მეკარე ჯორდან პიკფორდი გააძევა. ზუსტად ერთ წუთში კი, ქუთაისის „ტორპედოსა“ და საქართველოს ნაკრების თავდამსხმელმა გიორგი ფანცულაიამ ჩვენი გუნდი დააწინაურა – 1:0.

სამწუხაროდ, ანგარიშის შენარჩუნება ვერ შევძელით, მიუხედავად იმისა, რომ მეტოქე ათი კაცის შემადგენლობით თამაშობდა. 38-ე წუთზე წონასწორობის აღდგენა მაქს კლეიტონმა შეძლო.

მეორე ტაიმში, განსაკუთრებით, ბოლო წუთებში ქართველი ფეხბურთელები დიდ სათამაშო უპირატესობას ფლობდნენ, თუმცა, მეტი გოლის გატანა ვეღარ შეძლეს. ძალიან კარგი მომენტი ჰქონდა თემურ მარკოზაშვილს, რომლის დარტყმის შემდეგაც ბურთი ხარიხას მოხვდა.

რაც შეეხება ჩვენი ჯგუფის მეორე შეხვედრას, იქაც ფრე დაფიქსირდა. შოტლანდიამ და ბელგიამ 2:2 ითამაშეს. ბურთების უკეთესი სხვაობით კი, პირველ-მეორე ადგილებს ბელგია და შოტლანდია ინაწილებენ.

ბზის თასი ლელომ ჩაიბარა

ლელო – არმია 16:10

თბილისი. შევარდენი. 2.000 მაყურებელი

ლელო: ირაკლი ყიასაშვილი, ირაკლი გეგენავა, ლექსო გუგავა (ნონო ანდღულაძე), თორნიკე ცერცვაძე, ალექსანდრე ნიჟარაძე (ზურაბ ზაალიშვილი), ლაშა ხმალაძე, გიორგი კაჭარავა; ბაჩანა გოგიშვილი, რევაზ ბელქანია (დავით ხიდეშელი), ნიკა პატარაია (გიორგი სანიკიძე), ბექა ნიკოლაიშვილი, სანდრო ქოიავა, ელგუჯა სურგულაძე, ლევან დარასელია, გიორგი ჭყოიძე

1 ლელო: ყიასაშვილი

1 გარდასახვა: ყიასაშვილი

3 ჯარიმა: ყიასაშვილი

არმია: ბახვა კობახიძე, ალექსანდრე ტუჩაშვილი, გიორგი ჯიმშელაძე (გიგა გაგოშვილი), ირაკლი ჩხიკვაძე, გიორგი შკინინი, გიორგი ელიზბარაშვილი (მამუკა ნინიძე), რამაზ ჯინაშვილი; გიორგი ზაქაშვილი (გოგა კაკოვინი), შალბა მამუკაშვილი, დავით გურგენიძე, ილია სურგულაძე (მამუკა ცხადაძე), ლაშა აზალაძე, გიორგი თხილაიშვილი, ბექა ბიწაძე, ხვიჩა ბუჯიაშვილი

1 ლელო: შკინინი

1 გარდასახვა: კობახიძე

1 ჯარიმა: კობახიძე

საქართველოს მორაგბეთა 23-ე ეროვნული ჩემპიონატის ფინალურმა მატჩმა ძალიან დიდი ინტერესი გამოიწვია და ტრიბუნებმა მისული მაყურებელი ვერ დაიტია. თამაშმა სრულად გაამართლა მოლოდინი და გულშემატკივარი კარგი სანახაობა იხილა, რომლის გამარჯვებულიც თბილისის „ლელო“ გახდა, რომელმაც მეტოქეს ჩემპიონის „ბზის თასი“ ჩამოართვა.

მატჩს მარტყოფის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანსიონატის აღსაზრდელებიც დაესწრნენ. მორაგბეებმა თავიანთი ხელფასებიდან, პანსიონატში მცხოვრები ბავშვების მატერიალური ბაზის შევსების მიზნით, ყოველთვიურად თანხების შეგროვება გადაწყვიტეს. არმიელები პანსიონატის აღსაზრდელებს სხვადასხვა საყოფაცხოვრებო და პირველადი აუცილებლობის ნივთებს შეუძენენ.

მატჩის დასაწყისში ორივე გუნდმა ფეხით თამაშზე გააკეთა აქცენტი და მეტოქის შეცდომის იმედად იყო. „ლელოდან“ ირაკლი ყიასაშვილი და ლაშა ხმალაძე ცდილობდნენ რაც შეიძლება შორს დაეკიდათ ბურთი, ხოლო „არმიადან“ ბახვა კობახიძე და გიორგი ელიზბარაშვილი. თუმცა, უკანახაზელები არ ცდებოდნენ და თავიანთ საქმეს ჩინებულად უძღვებოდნენ.

10 წუთიც არ იყო გასული, საქმეში ნერვები რომ ჩაერთო და მოედნის კიდეზე ჩხუბი ატყდა, საპირისპირო მხარეს თამაში გაგრძელდა და „ლელომ“ ჯარიმის დარტყმის უფლება მიიღო, რომელიც ყიასაშვილმა ზუსტად დაარტყა – 3:0.

„არმია“ ხშირად ჯარიმდებოდა და ეს ძვირად დაუჯდა. ყიასაშვილმა საკუთარი ნახევრიდან, დაახლოებით 55 მეტრიდან ისე დაჰკრა, რომ ჩვენს გვერდით მჯდომა საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მილტონ ჰეიგმა ტაში შემოკრა – 6:0.

ტაიმის შუაში გაწვიმდა და თამაშის მსვლელობას საკუთარი კვალი დაატყო, მაგრამ პირველ ტაიმში ქულის აღება ვერცერთმა გუნდმა ვერ მოახერხა და „ლელო“ შესვენებაზე 6-ქულიანი ჰანდიკაპით გავიდა.

მეორე ტაიმში „არმია“ უფრო მობილიზებული გავიდა მოედანზე, 50-ე წუთზე ჯარიმის შესრულების უფლება მოიპოვა და ბახვა კობახიძემ ჩამორჩენა სამ ქულამდე დაიყვანა. ყიასაშვილს ორიოდე წუთში შეეძლო სტატუსკვოს აღდგენა, მაგრამ ხელსაყრელი პოზიციიდან მოულოდნელად ააცილა. 55-ე წუთზე უკვე კობახიძეს მიეცა ანგარიშის გათანაბრების შანსი, მაგრამ დარტყმა გაუცუდდა, სამაგიეროდ, სამიოდე წუთში ყიასაშვილმა მიზანი გაისწორა და ანგარიში 9:3 გახდა.

მე-60 წუთზე კიდევ ერთხელ ატყდა ჩხუბი და ანჯერად რეფერიმ ორივე გუნდიდან თითო-თითო მორაგბე გაასინბინა.

მალევე „არმიამ“ საკუთარი დერეფანი მოიგო, კარგი მოლი დააყენა, იქიდან გამოსული ბურთი ჩხიკვაძეს მიუვიდა, რომელმაც ორიგინალური პასით ბურთი სისწრაფეაკრეფილ შკინინს გააყოლა, რომელმაც ხაზი გაჭრა და ლელო გაიტანა, ხოლო კობახიძემ გარდასახვით საკუთარი გუნდი დააწინაურა – 10:9. ჰეიგმა ამჯერად ჩხიკვაძის პასი შეაქო ოვაციებით.

თითქოს გარდამტეხი მომენტი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მალევე „ლელოს“ სასარგებლოდ საჯარიმო დაინიშნა. ამასთან ხელსაყრელ სიტუაციაში. ლელოელებს წინ გასასვლელად 3 ქულაც ჰქოფნიდათ, მაგრამ ჯარიმა სწრაფად გაათამაშეს, მარცხენა ფლანგზე რიცხობრივი უპირატესობა მიიღეს და ყიასაშვილმა ლელო გაიტანა, გარდასახვა თავადვე გამოიყენა და მისი გუნდის მიერ მოგროვილი 16-ივე ქულა საკუთარ ანგარიშზე ჩაიწერა.

„არმიამ“ გაიბრძოლა და ბოლო წამებზე ჩათვლის ხაზამდეც მიაღწია, მაგრამ მისი გადალახვა ვეღარ შეძლო და „ლელომ“ მოქმედი ჩემპიონის დამარცხებით „ბზის თასი“ მესამედ ჩაიბარა.

მოამზადა მიხეილ ყორეყოლიანმა

შედეგები

ფეხბურთი

ევროპის ჩემპიონთა ლიგა – ფინალი

დორტმუნდი-ბაიერნი 1:2

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ალკორკონი-ალმერია 0:3
მირანდესი-ლას პალმასი 1:0
უესკა-ხიხონი 2:1
ხირონა-ბარსელონა ბ 1:0
უელვა-კორდობა 2:1

ხესეთი. ჰრემიერლიგა

ამკარი-სენიტი 0:0
დინამო-ვოლგა 0:0
ყუბანი-ანჟი 1:0
ლოკომოტივი-მორდოვია 2:1
როსტოვი-ცსკა 3:0
რუბინი-კრასნოდარი 2:0
სპარტაკი-ალანია 2:0

სპარტაკელთა მეორე გოლი ჯანო ანანიძემ გაიტანა

ტერეკი-კრ.სოვეტოვი 4:1

შვეიცარია. სუპერლიგა

ლოზანა-ლუცერნი 3:0
სიონი-თუნი 0:1

პოლონეთი. ექსტრაკლასი

ლეხია-ბელხატუვი 1:1
ლეხი-პოდბესკიჟიე 0:2

ნორვეგია. ტიპეღიგა

მიოლდე-ჰონეფოსი 4:0
ვალერენგა-რუსენბორგი 1:2

აშშ. მლს

დ.ს.იუნაიტედი-პორტლენდი 0:2
მონრეალი-ფილადელფია 5:3
ნიუ ინგლენდი-ტორონტო 2:0
დალასი-სან ხოსე 1:0
კოლორადო-ჩივასი 2:0
სოლტ ლეიკი-ჩიკაგო 1:1

ბასეიბოლი. სეზონი ა

ვასკუ-პორტუგეზა 1:0
ვიტორია-ინტერნასიონალი 2:2
კორინთიანსი-ბოტაფოგო 1:1

კალათბურთი

ნბა. პლეი ოფი

მემფისი-სან ანტონიო ..... 93:104(ოტ)

სერიის ანგარიში: 0:3

ჩოგბურთი

ხოღან გაჰოსი

კაცები

რაონიჩი-მალისე 6:2;6:1;4:6;6:4
სოზა-სოედა 6:1;6:3;6:2
ანდერსონი-მარჩენკო 6:3;7:5;6:4
კავჩიჩი-დაკვორტი 6:2;6:2;6:2

ქალები

პავლუჩენკოვა-ჰლავაჩკოვა ... 4:6;7:6;6:4
ივანოვიჩი-მარტიჩი 6:1;3:6;6:3
ცეტკოვსკა-პუჩკოვა 6:0;6:2
ერანი-რუსი 6:1;6:2
მორიტა-პუტინცევა 2:6;3:6
უილიამსი ს.-ტატიშვილი 6:0;6:1

ჰოკეი

ნჰლ. პლეი ოფები

ბოსტონი-რეინჯერსი 3:1

სერიის ანგარიში: 4:1

ჩიკაგო-დეტროიტი 4:1

სერიის ანგარიში: 2:3

საგალობლები შენთვის – გურამ ოდიშარიას ახალი კრებული

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ჟენევაში დაგეგმილ ოფიციალურ ვიზიტზე დაიგეგმა მჭიდრო მომავალი კულტურული თანამშრომლობა და როგორც ქართული კულტურის დღეების გამართვა შვეიცარიაში, ასევე საქართველოში შვეიცარიის მასპინძლობა.

თბილისში დაბრუნებულმა გურამ ოდიშარიამ თბილისის განვითარების საკითხებზე ბრიტანელი სპეციალისტები მიიღო. თბილისის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების პრობლემატიკა – ასე ეწოდებოდა შეხვედრას, რომელსაც მინისტრის პირველი მოადგილე მარინე მიზანდარიც ესწრებოდა. ქართული მხარე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის „სეივ“-ის დამფუძნებელს მარკუს ბინეის, ამავე ორგანიზაციის წარმომადგენლებს კლემენტინ სესილისა და ენტონი გიბს, ასევე „თბილისის მემკვიდრეობის ჯგუფის“ დამფუძნებელს პიტერ ნესმითს შეხვდა. შეხვედრაზე განიხილეს თბილისის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების საკითხები და ძველი თბილისის პრობლემატიკა.

– ამ შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა მთელს მსოფლიოში ყველაზე მშვენიერი, მაგრამ უცნობი ქალაქის დაცვა. იცნობენ პარიზს, ვენეციას, მაგრამ არ იცნობენ ქალაქს, რომელსაც აქვს განმაცვიფრებელი არქიტექტურა. ჩვენ აქ ჩამოვედით თბილისის შესახებ წიგნის შესაქმნელად. ეს იქნება დიდი წიგნში, სადაც უამრავი ფოტოგრაფი იქნება თავმოყრილი. წიგნში იქნება განხილული და აღწერილი თბილისის არქიტექტურა. მომდევნო ხუთი წელი იქნება თბილისის განვითარების წლები, რომლებიც თბილისს საინტერესო ქალაქად აქცევს. თბილისს აქვს შესანიშნავი არქიტექტურა, რომელშიც შერეულია დიდი მონუმენტები და ვიწრო ქუჩები, სამეზობლოები. თითოეულ ქუჩას აქვს თავისი მახასიათებელი, რაც თბილისის არქიტექტურას საოცარ ხიბლს აძლევს. საყურადღებოა ისიც, რომ ამავდროულად თბილისში ზოგიერთი ძველი შენობა დიდი ხნით უყურადღებოდაა დარჩენილი, რის გამოც ინგრევა ან ზიანდება. მიკვირს, რომ ზოგიერთი ახალი სამშენებლო პროექტი თბილისის ისტორიულ უბნებში ხორციელდება, – განაცხადა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია „სეივის“ დამფუძნებელმა მარკუს ბინეიმ.

შეხვედრის დასრულების შემდეგ კულტურის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ განაცხადა:

– ბატონი მარკუს ბინეი ძალიან ცნობილი კაცია მთელს ინგლისში. ესენი არიან საქართველოს მეგობრები. მან პირველად შექმნა ორგანიზაცია „გადაარჩინეთ ბრიტანეთი“ და შემდეგ „გადაარჩინე ევროპა“, მეორე ორგანიზაციის ეგიდით, ჩამოვიდნენ მეგობრებთან ერთად. კონკრეტულად, მათ აქვთ თეორიულად შესწავლილი და პრაქტიკული წინადადებები თუ როგორ შეინარჩუნონ ევროპულმა ქალაქებმა თავიანთი სული და განვითარდნენ სამომავლოდ თანამედროვე შენობებით, რომლებიც ჰარმონიაშია ძველთან. მათ მოიტანეს რამდენიმე წიგნი, რომლის მიხედვით, უნდა განხორციელდეს თბილისის განვითარება. ეს ხელს შეუწყობს, რომ ქართველ სპეციალისტებთან ინგლისელმა სტუმრებმა გამართონ შეხვედრები, დისკუსიები და გაუზიარონ თავიანთი გამოცდილება, რათა მათი ერთობლივი ძალისხმევით თბილისი მსოფლიოსთვის საინტერესო გახდეს.

გურამ ოდიშარიამ შეხვედრა მოაწყო საქართველოს სახელმწიფო მინისტრთან დიასპორის საკითხებში კონსტანტინე სურგულაძესთანაც. მინისტრებმა ისაუბრეს უწყებებს შორის ურთიერთობებსა და სამომავლო პერსპექტივებზე; განიხილეს კულტურის სფეროში თანამშრომლობის საკითხები ქართულ დიასპორასთან მიმართებაში; ხაზი გაესვა კახის რაიონის ქართული კულტურის ცენტრის ამოქმედებასთან დაკავშირებით, ახლად შექმნილი ქართულ-აზერბაიჯანული კომისიის გადაწყვეტილებას, რის საფუძველზეც კახში ქართული კულტურის ცენტრი უნდა შეიქმნას.

უწყებების პირველმა პირებმა ასევე იმსჯელეს ლევილის მამულის საქართველოსათვის გადმოცემის საკითხსა და მიმდინარე წლის შემოდგომაზე თეატრალურ ფესტივალში საზღვარგარეთ მოღვაწე ქართული დასების ფესტივალში ჩართვაზე. შეხვედრის ბოლოს, გურამ ოდიშარია და კოტე სურგულაძე შეთანხმდნენ, რომ უახლოეს მომავალში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს შორის გაფორმდება ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო ბენეფიციარებთან შეხვედრებსაც აწყობს. პირველი ბენეფიციარი მუსიკოსი ლიზი რამიშვილია. ეს არის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ახალი პროექტი „სამინისტროს ბენეფიციარების შეხვედრა მინისტრთან“. 15 წლის შემსრულებელი სოჭში გამართულ „იური ბაშმეტის ფესტივალზე“ კონკურსგარეშე მიიწვიეს. ახალგაზრდა მუსიკოსი ფესტივალზე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით წარდგა.

გურამ ოდიშარიამ შემდგომ ბენეფიციარებთანაც გამართა შეხვედრა. შემდეგი პროექტი, რომელიც სამინისტროს მხარდაჭერით ხორციელდება „უსინათლოთა კავშირის“ დაფინანსებაა. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით „უსინათლოთა კავშირის“ კულტურის ცენტრში დასაქმდა 52 ადამიანი, მათ შორის – 44 უსინათლო. მხარდაჭერის მთავარი ამოცანაა, უსინათლოთა საზოგადოებაში ინტეგრირება, მათი პროფესიული განვითარება და დასაქმება. უსინათლოთა კავშირის აქტივობები მოიცავს, როგორც ფოლკლორული ანსამბლების ფუნქციონირებას, ჟურნალ „სინათლის“ გამოცემას, ბიბლიოთეკის მართვას, ხალხურ საკრავთა, ვოკალური, დრამატული, ლიტერატურული, ინგლისური ენის, წრეების არსებობას.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში გაიმართა მაინის ფრანკფურტის ქართულ-გერმანული მუსიკალური ასოციაციის პროექტის ,,საქართველოს სამუსიკო სკოლების მხარდასაჭერად“ პრეზენტაცია. გამართულ კონცერტს დაესწრნენ მაინის ფრანკფურტის ქართულ-გერმანული მუსიკალური ასოციაციის წევრები ნინო ყამბეგაშვილი, მარიამ მალეკი, ჰერმან ეკელი, გაბრიელე გილიტე, ასევე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკი, ქალაქ თბილისის მერიის კულტურის განყოფილების წარმომადგენლები. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს ქალაქ თბილისის მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის სახელობის მე-6 ხელოვნების სკოლის, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის 1-ლი ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლისა და ევგენი მიქელაძის სახელობის თბილისის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის მოსწავლეებმა. მუსიკალური ნაწარმოებები ასევე შეასრულეს ასოციაციის წევრებმა, პიანისტებმა ნინო ყამბეგაშვილმა და გაბრიელე გილიტემ.

– ქართულ-გერმანული ასოციაციის პროექტის მიზანია თბილისსა და საქართველოს რეგიონებში – მცხეთა, გორი, ქუთაისი, ფოთი, სამუსიკო სკოლების მხარდაჭერა, მუსიკალური ინსტრუმენტებისა და სასწავლო მუსიკალური ლიტერატურის უსასყიდლოდ გადაცემა, ასევე უცხოელი პედაგოგების მიერ ღია გაკვეთილების ჩატარება, – აღნიშნა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკიმ.

მისივე თქმით, გერმანელი მუსიკოსების მიერ მოხდება ქართველი ახალგაზრდა ნიჭიერ მუსიკოს-შემსრულებლების შერჩევა და მათი გერმანიაში, კერძოდ, ფრანკფურტში ყოველწლიურ საერთაშორისო კონკურსზე მიწვევა. პროექტის ფარგლებში ასევე დაგეგმილია სამუსიკო სკოლების ქართველ პედაგოგთათვის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით საქართველოსა და გერმანიაში სემინარების ჩატარება.

კონცერტის ბოლოს თბილისის მერაბ კოსტავას სახელობის მე-8 ხელოვნების სკოლასა და თბილისის მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის სახელობის მე-6 ხელოვნების სკოლას საჩუქრად გადაეცათ ელექტრონული ფორტეპიანო და სასწავლო მუსიკალური ლიტერატურა. პროექტი ხორციელდება 24-27 მაისის ჩათვლით და გაგრძელდება რეგიონებში. სტუმრების ვიზიტი დაიგეგმა მცხეთის დავით გამრეკელის სახელობის ხელოვნების სკოლაში, გორის ვანო მურადელის სახელობის სამუსიკო სკოლაში, ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლაში და ფოთის აკაკი ხორავას სახელობის სახელოვნებო სკოლაში პროექტის მხარდამჭერები საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და ქალაქ თბილისის მერია არიან.

კულტურის სამინისტროში შედგა ქართველი პიანისტის ნანა მიქაბერიძის კრებულის „ვოკალური ნაწარმოებები“ პრეზენტაცია და კონცერტი. კრებული კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით გამოიცა. კონცერტს ესწრებოდნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი, მინისტრის მოადგილეები ალექსანდრე მარგიშვილი, ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკი, მანანა ბერიკაშვილი, მინისტრის მრჩევლები, მოწვეული სტუმრები.

– ნანა მიქაბერიძე კლასიკური მუსიკის, ქართული ტრადიციული პიანისტური სკოლის გამგრძელებელია. მისი პედაგოგები იყვნენ სახელგანთქმული მუსიკოსები ნოდარ გაბუნია და თეიმურაზ მათურელი. 1992 წლიდან ნანა მიქაბერიძე, როგორც სოლისტი-პიანისტი, არაერთ საერთაშორისო კონკურსსა და ფესტივალში მონაწილეობდა. 2000 წლიდან მიწვეული იყო ქალაქ მილანში ჯუზეპე ვერდის სახელობის კონსერვატორიაში კონცერტმაისტერად. 90-იანი წლებიდან მუშაობს კომპოზიციაში. იგი ავტორია მთელი რიგი ვოკალური ნაწარმოებებისა, რომელთა ნაწილიც 2012 წელს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელშეწყობით გამოიცა, – ითქვა შეხვედრაზე.

საღამოს უძღვებოდა საქართველოს სახალხო არტისტი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი ელდარ გეწაძე. საკონცერტო პროგრამაში წარმოდგენილი იყო ნაწარმოებები „მზის კვალი“, კონსერვატორიის სტუდენტების მარიამ როინიშვილის, ნატალია ქუთათელაძისა და ნინო ღაკვეხელიანის შესრულებით, „რისთვის მიყვარხარ?“ (ალუდა თოდუა), „ღამე“ (თბილისის საოპერო თეატრის სოლისტი მარიამ ქობალიანი), „პოეტი“ (თბილისის საოპერო თეატრის სოლისტი ანზორ ხიდაშელი), „ბაზალეთის ტბა“ (მსოფლიო საოპერო თეატრების წამყვანი სოლისტი მზია ნიორაძე), „განწყობილება ფიქრებში“ (თბილისის საოპერო თეატრის სოლისტი გოჩა დათუსანი), „ანგელოზი“ (საქართველოს სახალხო არტისტი მარიცა მაღლაფერიძე), „მადლმა თქვა“ (საქართველოს სახალხო არტისტი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი ელდარ გეწაძე).

ეროვნული არქივი ქართველოლოგიის საზაფხულო სკოლას მოაწყობს

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ტორიო ცენტრალური არქივის დირექტორმა ანტონ ვაჭარაძემ.

საზაფხულო სკოლის მონაწილეებს წამყვანი ქართველი სპეციალისტები 7 დღეში ჩაუტარებენ 23 ლექციას, რომლებიც დაიყოფა 5 მოდულად: საქართველოს პირველი დემოკრატიული ინსტიტუტები; საქართველო და გარესამყარო; საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო ისტორია; ეკონომიკა, კულტურა, რელიგია, ადამიანის უფლებები, პრესა; პერსპექტივები, სამომავლო კვლევის დაგეგმვა. ამასთან, მსმენელთათვის გათვალისწინებულია კულტურული ღირსშესანიშნაობებისა და მუზეუმების დათვალიერება. მონაწილეები გაეცნობიან საარქივო დოკუმენტებს, შესაბამისი პერიოდის აუდიოვიზუალურ მასალას.

პროექტის ფარგლებში ლექციებს წაიკითხავენ ქართველი მეცნიერები – პროფესორები დიმიტრი შველიძე, ოთარ ჯანელიძე, მალხაზ მაცაბერიძე; ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ქეთევან ასათიანი; აგრეთვე, ახალგაზრდა მეცნიერები – ისტორიის დოქტორანტები ბექა კობახიძე, გიორგი გაფრინდაშვილი და დიმიტრი სილაქაძე.

მონაწილეობის მსურველებმა შევსებული სააპლიკაციო ფორმა 5 ივნისის ჩათვლით სპეციალურ ელექტრონულ მისამართზე უნდა გააგზავნონ.

– საზაფხულო სკოლის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია განთავსებულია სოციალური ქსელებში, – აღნიშნა ეროვნული არქივის წარმომადგენელმა თეა ქიმერიძემ.

მისივე თქმით, ეროვნული არქივი კიდევ ერთი კოლექციით გამდიდრდა, მომღერალმა ანა ბაჯიაშვილმა ეროვნულ არქივს საკუთარი კოლექცია გადასცა.

– საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულს არქივს მომღერალმა ანა ბაჯიაშვილმა ვიდეო, აუდიო ჩანაწერები და ფოტოები გადასცა, რომელიც ასახავს მის მოღვაწეობას საქართველოს სახელმწიფო კაპელასა და ანსამბლებში „იავნანა“ და „კელაპტარი“. ამასთან, კოლექციაშია ანა ბაჯიაშვილს რამდენიმე სოლოალბომი, სადაც პარტნიორობას უწევენ მედუდუკეთა ანსამბლები „ძველი თბილისი“ და „სოინარი“ და მომღერალი ლია ხუნწარია, – აღნიშნა ეროვნული არქივის წარმომადგენელმა.

ეროვნული არქივის გენერალურ დირექტორ თეონა იაშვილთან შეხვედრაზე მომღერალმა აღნიშნა, რომ მისთვის საამაყოა, ათწლეულების განმავლობაში შეგროვილი მასალა შესანახად ეროვნულ არქივს გადასცეს. თავის მხრივ, თეონა იაშვილმა განაცხადა, რომ ანა ბაჯიაშვილის კოლექცია არქივისათვის მნიშვნელოვანი შენაძენია.

– ეროვნული არქივისათვის გადაცემული ვიდეო და ფოტომასალა ასახავს ქართული ანსამბლების გასტროლებს საფრანგეთში, ჰოლანდიასა და გერმანიაში; ანა ბაჯიაშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების ცერემონიალს; ანსამბლ „კელაპტრის“ კონცერტს და სხვა მნიშვნელოვან მოვლენებს, რომლებიც 1999-2003 წლების პერიოდს მოიცავს, – განაცხადა ეროვნული არქივის დირექტორმა თეონა იაშვილმა.

მისივე თქმით, 7 მაგნიტურ ფირზე ჩაწერილია მომღერლის სოლო და ჯგუფური სიმღერები ანსამბლ „კელაპტართან“ ერთად. სახელმწიფო ფილარმონიისა და ანსამბლ „კელაპტრის“ სოლისტი ანა ბაჯიაშვილი ღირსების ორდენის კავალერია, მიღებული აქვს დები იშხნელების პირველი პრემიის ლაურეატის წოდება; არის მრავალი საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატი, მისი მოღვაწეობა სამ ათეულ წელზე მეტს ითვლის.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის თანამშრომლებმა ვარშავაში გახსნილ საერთაშორისო კონფერენციაში „ციფრული ჩანაწერები და საარქივო მასალებზე ხელმისაწვდომობა ინტერნეტის საშუალებით“ მიიღეს მონაწილეობა. საქართველოს ეროვნული არქივის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი ზვიად მელქაძე და ამავე განყოფილების პროგრამისტი ონისე გაბისონია კონფერენციაზე წარსდგნენ მოხსენებით: „საარქივო ჩანაწერებისადმი ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება საქართველოს ეროვნულ არქივში“.

ყოველწლიურ საერთაშორისო კონფერენციაში, რომელიც 24 მაისამდე გაგრძელდა, მონაწილეობდა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის 15-მდე ქვეყნის 40-მდე წარმომადგენელი. კონფერენციის მიზანს საარქივო სფეროში გამოცდილების გაზიარება წარმოადგენდა.

სჯანვოხდი



1. გერმანელი ისტორიკოსი (XIX ს.); 2. ზღვის უკან დახევა; 3. კლავიშებიანი საკრავი; 4. პროგრესის საპირისპირო; 5. გრძელი შალაშინი; 6. ზეთოვანი სითხე საღებავების დასამზადებლად; 7. პიკი პირენეს მთებში; 8. საფუტკრე; 9. ... და თობაგო; 10. ყვავილი; 11. იგივეა, რაც ტროა; 12. მეცნიერებისა და ხელოვნების ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში; 13. ალკოჰოლური სითხე; 14. მდინარე რუსეთსა და ჩინეთში; 15. ნოტიო, ჩახურებული ფქვილი; 16. ... ჩაპლინი; 17. შუქფარი; 18. ცხვრის ნაშიერი; 19. ... ბოლდუინი; 20. ხის ან ლითონის დიდი ცილინდრული ჭურჭელი; 21. ... პაჩინო; 22. „ვანინა ...“; 23. მოვალე (ბუხჰ.); 24. ჯადოქრობა, მისნობა; 25. ტაბლეტი; 26. საოპერო სოლო სიმღერა; 27. ჭადრაკის ფიგურა; 28. საეკლესიო სადესერტო ღვინო; 29. ინგლისური ლუდი; 30. იაპონური თეატრი; 31. ფოტოსურათებს რაშიც ინახავენ.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ფორბსი; 2. გულაბი; 3. ტიუსო; 5. ზული; 6. როდენი; 8. ანიონი; 11. ტაქსოფონი; 13. არაბიკა; 14. დიურერი; 15. ნაცნობი; 19. რალი.

თარაზულად: 1. ფარენგეიტი; 4. ფრიზერი; 7. რუმბულა; 19. სეინერი; 10. შტაბი; 12. პროტესტი; 16. რიტორიკა; 17. მაჯონგი; 18. კრაისლერი; 20. ნებიერი; 21. გაჯი; 22. რექვიემი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. შუმი; 2. ერი; 3. კარაბინი; 4. ჯო; 5. გლიპტიკა; 6. ქაჯი; 7. წირქოლი; 10. გენი; 11. მონუმენტი; 12. კოქტეილი; 13. ყოჩი; 16. ვიტესი; 18. ბოიკოტი; 19. შტორმი; 21. სტელა; 24. ტუნგი.

თარაზულად: 1. შევროლე; 3. კოტეჯი; 8. ალმასი; 9. მაგო; 14. ანეტო; 15. ბოგოტა; 17. ქუჯი; 20. ნამუსი; 22. კროლი; 23. ტრესტი; 25. სკა; 26. ერბო; 27. იკაო; 28. ნოსტალგია.

პაატა ზაქარეიშვილი: „აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების სამხედრო გზით გადაწყვეტა გამორიცხულია“

რეინტეგრაციის მინისტრ **პაატა ზაქარეიშვილთან** ინტერვიუს „გოლოს როსიის“ ვებგვერდი აქვეყნებს. მას შემოკლებით გთავაზობთ.

— ბატონო მინისტრო, როგორ თვლით, რატომ წამოაყენა „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნებზე კანდიდატად გიორგი მარგველაშვილი?

— ერთ-ერთი წარმატებული მინისტრია. ახალგაზრდა, კარგი ანალიტიკოსია, ჩრდილში არასოდეს ყოფილა, საზოგადოება კარგად იცნობს, მინისტრთა კაბინეტში პატივისცემა და ნდობა მოიპოვა. მეორე მხრივ, ის „ქართულ ოცნებაში“არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ ეკუთვნის. მშვიდად მოახერხებს იმ პოლიტიკის გატარებას, რამაც „ქართული ოცნება“ მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე უნდა მიიყვანოს. ვფიქრობ, რომ შემდეგი საპარლამენტო არჩევნები საქართველოში რეალური პოლიტიკური ორთაბრძოლა იქნება.

— არ გეჩვენებათ, რომ საქართველოში მნიშვნელოვანი აღარ არის, ვინ გახდება პრეზიდენტი; პარლამენტში „ქართული ოცნების“, ხოლო პრემიერად ბიძინა ივანიშვილის მოსვლის შემდეგ პრეზიდენტის პოსტი სულ უფრო ფორმალური ხდება?

— საქართველოში პრეზიდენტის თანამდებობა ფორმალურად ითვლება არა ბიძინა ივანიშვილის მოსვლის, არამედ კონსტიტუციის შეცვლის შემდეგ, რაც სააკაშვილმა გააკეთა. მან წინასწარგანზრახულად პრეზიდენტი დაასუსტა და პრემიერ-მინისტრის პოზიციები გააძლიერა. ეს თავისთვის სურდა, საკუთარი გუნდისთვის, სხვებისთვის კი გამოვიდა. რა თქმა უნდა, ახლა ნანობს ამას, მაგრამ უკვე გვიანია. როდესაც სააკაშვილი კონსტიტუციას ცვლიდა, არავინ იცოდა, რომ არსებობდა ასეთი ადამიანი — ბიძინა ივანიშვილი. ასე რომ, პროცესები განვითარდა არა იმ სქემით, რასაც სააკაშვილი გეგმავდა. ახლა პოლიტიკური მართვის სადავეები პრემიერ-მინისტრის ხელშია. ვთვლი, რომ რასაკვირველია, ივანიშვილი როგორც „ქართული ოცნების“ ლიდერი უნდა იყოს პრემიერ-მინისტრი და არა პრეზიდენტი.

— რამდენად მოულოდნელი იყო მარგველაშვილის წარდგენა. ჰყავდა თუ არა „ქართულ ოცნებას სხვა კანდიდატურები?

— სხდომაზე და უმრავლესობის შეხვედრაზეც სხვა კანდიდატი არ წამოყენებულა. ყველამ ერთხმად მხარი დაუჭირა მარგველაშვილის კანდიდატურას. მისი სახელი რამდენიმე კვირით ადრე ფიგურირებდა, ასე რომ, ეს სიახლე და მოულოდნელობა არ ყოფილა.

— ახალი მეთაურისთვის დღის წესრიგის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხად სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის პრობლემა რჩება. როგორ ხედავთ ამ პრობლემის გადაწყვეტას?

— ახალ მთავრობას ერთმნიშვნელოვნად ნათელი ხედვა აქვს, პრობლემის სამხედრო გზით გადაწყვეტა მთლიანად გამოირიცხება. ჩვენ მაქსიმალურად უნდა შევისწავლოთ აფხაზი და ოსი ხალხის ინტერესები, შიშები, პერსპექტივები და ისინი ქართველი ხალხის ინტერესებს უნდა შევუთავსოთ; რათა იგრძნონ, რომ მათი მომავალი უსაფრთხოება და განვითარება შეიძლება დაკავშირებული იყოს საქართველოსთან და არა მხოლოდ რუსეთთან. დღევანდელი მათი ქცევა აჩვენებს, რომ ისინი საკუთარ პერსპექტივებს მთლიანად რუსეთთან ხედავენ. ანუ, ისინი სხვა სახალემწიფოსთან განვითარებას განიხილავენ. რატომ არ შეიძლება ეს საქართველო იყოს? ვფიქრობ, საქართველოს აქვს შანსები აფხაზებს და ოსებს რაღაც სხვა შესთავაზოს, ვიდრე ამას რუსეთი აკეთებს ჩრდილოკავკასიური პოლიტიკის კონტექსტში. ვფიქრობ, საქართველოს ახალ პოლიტიკოსებს აფხაზი და ოსი ხალხის დაინტერესების შანსები აქვთ.

— საქართველოსთვის 2008 წლის ომის შედეგებიდან ყველაზე მძიმე რომელია?

— ყველაზე საშინელი შედეგი, რუსეთის მიერ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებაა. უპირველესად, რუსეთი საკუთარი გადაწყვეტილების მძევლად იქცა, აფხაზებისთვის და ოსებისთვის ცრუ პერსპექტივები შექმნა. შედეგად ისინი უფრო მეტად გახდნენ რუსეთზე დამოკიდებულნი; სანამ ოსებში და აფხაზებში ეიფორია ამოიწურება და ისინი არ მიხვდებიან, რომ ეს არა აღიარება, არამედ დაკაბალებაა. რუსეთი საკუთარ აღიარებას სწრაფად უკან არ წაიღებს, თუმცა ამის გამო კავკასიაში ძალიან ბევრს დაკარგავს. მაგრამ საქართველო თავისი მშვიდობიანი და დემოკრატიული განვითარებით მთელ მსოფლიოს აჩვენებს, რომ საერთაშორისო თანამგობრობამ ნათლად და ერთმნიშვნელოვნად უნდა განახორციელოს არაღიარების პოლიტიკა.

გავა წლები, აფხაზები და ოსები მიხვდებიან, რომ მათ დროში ძალიან ბევრი დაკარგეს. მაგრამ დაკარგეს ქართველებმა და რუსებმაც. ვფიქრობ, რომ ამ აღიარებით ყველანი დროს ვკარგავთ. დარწმუნებული ვარ, რომ საბოლოო შედეგი სულ სხვაგვარი იქნება.

— ერთ ინტერვიუში თქვენ განაცხადეთ, რომ 2008 წლის აგვისტოში სააკაშვილი მოქმედებდა როგორც რუსეთის მარიონეტი. რა გქონდათ მხედველობაში?

— პირველ რიგში, სამხედრო ქვედანაყოფების შეყვანა კოდორის ხეობაში 2006 წელს, მანამდე მას საქართველოს ადმინისტრაცია აკონტროლებდა, ახლა — რუსული. სადაც კი შეეხო სააკაშვილი, საბოლოო ჯამში ყველაფერი რუსეთის ხელში აღმოჩნდა. კოდორის ხეობაში ჯარების შეყვანით ქართულმა მხარემ დაარღვია თავისი საერთაშორისო ვალდებულებები, რომლითაც აკრძალული იყო ყველანაირი სამხედრო ფორმირება კოდორის ხეობაში, გარდა ადგილობრივი მოსახლეობისა. 2006 წლის აგვისტოში ხეობაში შესვლით, ჩვენ დავარღვიეთ ბალანსი და სხვებსაც მივეცით ამის საშუალება. შედეგად, დღეს ამ ტერიტორიას რუსეთი აკონტროლებს.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

TV პროგრამა

ოთხშაბათი
27 მაისი

06.30 დ/ფ „ფერების სამყარო“ **07.30** „ჩვენი დილა“ (პ/ე) **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 03.50** „მოამბე“ **11.00** „საამოთხის ვაშლები“ (პ/ე) **12.45** „პირადი ექიმი“ — მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** „დღეს ორის ნახევარზე“ **15.00** ტ/სერ „ნიკოლა ლე ფლოკი“ **17.00** დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა“ **18.00** „პეპე და მეგობრები“ **19.05** ტ/სერ „სიყვარული და ჟურისძიება“ **21.00** ტ/სერ „ნიკოლა ლე ფლოკი“ **22.00** „დიალოგი დავით პაიჭაძესთან“ **23.00** „კომენტატორი“ **01.30** „საფარი“ **02.00** მხ/ფ „ცვილის ფიგურების სახლი“ (ტიტ.)

08.00 დ/ფ „მსოფლიოს ქალაქები“ — „მადრიდი“ **09.00** მხ/ფ „სულელების ოჯრო“ (კ.ჰადსონი) **11.00** დ/ფ „შტაინერების ოჯახი“ **12.00** მხ/ფ „მის კონგენიალურობა-2“ (ს.ბალოკი) **14.00** „ეპიცენტრი“ (შაბ. გ/ჩვ) **15.00, 17.00, 20.00** „ბრიფინგის დრო“ **16.00** დ/ფ „მეცნიერების ისტორია“ 4 ნაწ. **19.00** „თავისუფალი ტრიბუნა“ **00.00** „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ“ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. „დაუვიწყარი“ **11.20** სერ. „მაფიის ქვრივი“ **12.30** იმედის დღე (პ/ე) **14.40** ფულთან თამაში (გ/ჩ) **16.00** სერ. „დამალული სიმართლე“ **17.50** სერ. „მაგნატები“. **19.05** მთავარი ფაქტორი **21.00** სერ. „მარტოსული“ **22.00** მთავარი ფაქტორი (პ/ე) (გაგრძელება) **23.00** მხ/ფ“ბარიგბაბ“(ს.ბლერი) **01.25** მხ/ფ „ძვის მთლელი“ (ჯ.პაკულა) (ტიტ.) **02.55** მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. „სიყვარული მშვენიერია“ **11.00** სერ. „იდუმალი ქალი“ **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** „შუა დღე“ **15.30** ყველაზე ჭკვიანი **17.00** სერ. „ვნების უფსკრული“ **18.45** სერ. „ცრემლების გვირგვინი“ **20.05** სერ „ერთგულების ძალა“ **22.00** „საქართველოს ვარსკვლავი“ **00.00** შიშის ფაქტორი **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი კლიპები.

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05** საეკლესიო კალენდარი **06.10** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **06.20** დოკ/ფ „ველური ბუნება“ **06.45** მხ/ფ „ლუკას სახარება“ **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** „განთიადი“ **10.00, 18.05, 21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.30** ისტორიის დღიური **10.10, 21.05** პატრიარქის ქადაგება **10.35** ლექსით ქებათა ქება **10.40** კვირიაკე **12.05** მხ/ფ „ფესვები“ **13.30** შუადღე ერთსულოვნებაზე **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** სპექტაკლი - „ბნელ ოთახში“ **16.50** დოკ/ფ „ველური ბუნება“ **17.15** კონცერტი - „ეგარი“ **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.30** ქრისტიანული სწავლება **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.10, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ „სანამ წვიმა გადივლიდეს“ **20.40** ძილი ნებისა **21.20** საღვთისმეტყველო საუბრები **22.25** საუბრები ლიტერატურაზე **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ „იალღობა აჭარაში“ **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ „ბერნარდა ალბას სახლი“

მაესტრო **7.00, 1.00, 3.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმი **8.00, 9.15** მაღვიძარა **9.00** ახალი ამბები **11.00, 14.30, 17.00** მაგთიფანი **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **12.50** თოქ-შოუ „პოლიტმეტრი“ (გამ.) **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.00** „პრესკლუბი“ **16.30** „ღია კარის დღე“ (გამ.) **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **18.05, 2.00, 6.00** თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი“ **19.00** სერიალი „სიყვარული და სასჯელი“ **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00, 1.30, 5.30** „ყოველდღიური აბები“ **22.20, 0.30** მაგთიფანი **23.00, 3.30** თოქ-შოუ „პოლიტმეტრი“

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

საერთაშორისო

რუსეთის დუმის შენობასთან „ლგბტ“-ს აქციის ჩატარების საშუალება არ მისცეს

რუსეთის დუმის შენობასთან სექს-უმცირესობების აქციის ჩატარების მცდელობის გამო **10** ადამიანი დააკავა. აქციის ჩატარების ადგილზე სულ დაახლოებით **20** მდე ადამიანი იყო შეკრებილი. მოსკოვის „ლგბტ“ საზოგადოების ხელმძღვანელი ნიკოლაი ალექსეევი აცხადებს, რომ დუმის შენობასთან დაკავებულია **12** ადამიანი, იმისათვის, რომ მათ ინტერვიუები მისცეს და საკუთარი პროტესტის გამოხატვა სცადეს. აკავებდნენ ასევე გეიაღლუმის მოწინააღმდეგეებსაც.

დუმის შენობასთან დაახლოებით **50** მდე ჟურნალისტი, პოლიციელები და ომონის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ. თავის მხრივ, უკრაინის სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა **10** ადამიანი დაკავეს, რომლებიც „თანასწორობის აღლუმის“ ჩაშლას გეგმავდნენ.

როგორვ ადგილობრივი მედია იუწყება, ახალგაზრდა ადამიანები მილიციის კორდონის გარღვევას ცდილობდნენ, რომელიც სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელთა ირგვლივ იყო გაკეთებული.

ჰეზბოლა სირიელი ამბოხებულების გამარჯვებას არ დაუშვებს

ლიბანის რადიკალური ისლამისტური დაჯგუფება ჰეზბოლა სირიელი აჯანყებულების გამარჯვებას არ დაუშვებს. ამის შესახებ სატელევიზიო მიმართვაში დაჯგუფების ლიდერმა ჰასან ნასრალამ განაცხადა.

„თუ ძალაუფლებას სუნიტები ჩიგდებენ ხელში, ამით ლიბანს დიდი საფრთხე დაემუქრება — როგორც ქრისტიანებს, ასევე შიიტებსა და სუნიტებს. ამიტომ ჩვენი ბოევიკები საბოლოო გამარჯვებამდე იბრძოლებენ“, — განაცხადა ჰასან ნასრალამ.

შეიხი ნასრალა, რომელიც თავის დაჯგუფებასთან ერთად სირიის მოქმედი ხელისუფლების მხარეს იბრძვის აცხადებს, რომ არასდროს დაუჭერს მხარს სირიის ოპოზიციას, რომელსაც მისივე თქმით, ისრაელი და ამერიკის შეერთებული შტატები ეხმარებიან.

ჰეზბოლა ლიბანელ შიიტთა დაჯგუფებაა, რომელიც პოლიტიკურ და შეიარაღებულ ფრთას აერთიანებს. ჩამოყალიბდა **1980**-იანი წლების პირველ ნახევარში, შიიტებით დასახლებული ბიქაას მუჰაფაზაში, ისრაელის ლიბანში შეჭრის საპასუხოდ. მიჩნეულია ტერორისტულ ორგანიზაციად ისრაელისა და მისი მოკავშირის, აშშ-ს, ასევე კანადის მიერ. მხოლოდ შეიარაღებული ფრთა ტერორისტულ დაჯგუფებად მიჩნეულია გაერთიანებულ სამეფოში, ავსტრალიასა და ეგვიპტეში.

ჰეზბოლა ითვლება ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ წინააღმდეგობის მოძრაობად არაბულ ქვეყნებში, ხოლო ყველაზე საშიშ მტრად ისრაელისა და მისი მოკავშირეების მხრიდან.

სამგლოვიარო განცხადებები

ვაჟა ბექაური ოჯახით გულწრფელი მწუხარებით იუწყება ჰიდრომშენებლობის უნიჭიერესი ინჟინრის, სამშენებლო ნორმატიული აქტების ცოცხალი ენციკლოპედიის, თავმდაბალი და უპატიოსნესი ვაჟკაცის, ქართულ ტრადიციულ ოჯახში აღზრდილი და ასევე ღირსეული, საამაყო ოჯახის თავკაცის

გიორგი მოსავლიძის

გარდაცვალებას.

გრიგოლ (გიგა) გაბედავას მონატრება



ჩვენო საყვარელო ძმაო, გიგა!

ორმოცი დღე გავიდა იმ ავადსახსენებელი **2013** წლის **13** აპრილიდან. უშენოდ შევხვდით საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, **26** მაისს.

გვიჭირს და გვიმძიმს უშენობა, გულმოკლულია და სანთელივით ჩამოდნა დედათქვენი, როზა, უშენოდ დატანჯულია შენი ძმა, პაატა, შენი წასვლით გამოწვეულ მწუხარებას ვერ უძლებს შენი მეუღლე, ია და შენი უსაყვარლესი შვილი, მარიამი.

განუზომელია ის ჭირ-ვარამი, რომელიც ჩვენ, შენს თანამებრძოლებს მოგვაყენე უცაბედი, მოულოდნელი განშორებით. შენ ხომ, როგორც ჟურნალისტი, ჩვენი მრჩეველი და დამრიგებელი იყავი.

მშვიდად იძინე, ძმაო, სამუდამო სასუფეველში.

ღმერთი იყოს შენი წმინდა სულის მფარველი.

სრულიად საქართველოს „წმინდა გიორგის სადროშოსა“ და ძალოვან ვეტერანთა ლიგის სახელით ოთარ წოწორია, გია ბერძენაძე, სანდრო ჩაჩაური

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ეთიოპიის დედაქალაქში აფრიკის კავშირის 50 წლის იუბილე აღნიშნეს

აფრიკის ქვეყნების ლიდერებმა ეთიოპიის დედაქალაქ ადის-აბებეაში აფრიკის კავშირის დაარსებიდან **50** წლის იუბილეს იზეიმეს. ინფორმაციას ამის შესახებ ბი-ბი-სი ავრცელებს.

საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელის **54** აფრიკულ სახელმწიფოს აერთიანებს, ადის-აბებეში **1963** წლის **25** მაისს დაარსდა. თავდაპირველად გაერთიანებას ეწოდებოდა აფრიკული ერთობის ორგანიზაცია, ხოლო **2002** წელს ორგანიზაციას აფრიკის კავშირი დაერქვა. გაერთიანების ძირითად მიზანს წევრ ქვეყნებს შორის ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის განვითარება წარმოადგენს. როგორც აღნიშნავს ბი-ბი-სის კორესპონდენტი ეთიოპიაში, ლიდერები ფორუმს საკმაოდ ოპტიმისტური განწყობით შეხვდნენ. ქვეყნების მეთაურების განცხადებით, აფრიკა ბოლო პერიოდში ეკონომიკური ზრდის შესამჩნევ ტემპებს აჩვენებს, ხოლო ის ქვეყნები, რომლებიც განსაკუთრებით მძიმე პირობებში არიან — რუანდა, სიერა ლეონე და სომალი — ნელ-ნელა ივიწყებენ წარსულს და განვითარების გზაზე დგებიან. აფრიკის კავშირში შედის აფრიკის ყველა სახელმწიფო გარდა მაროკოსი, რადგანაც კავშირში გაერთიანებულია დასავლეთი საჰარა, რომელსაც მაროკო თავის ტერიტორიად თვლის. **2009** წლის **20** მარტიდან კავშირის წევრობა დროებით შეუჩერდა მადაგასკარს ქვეყანაში გამეფებული პოლიტიკური კრიზისის გამო. **2012** წელს ორ ქვეყანას შეუჩერდა ასევე დროებით წევრის სტატუსი: **23** მარტს მალის და **17** აპრილს გვინეა-ბისაუს სახელმწიფო გადატრიალების გამო.

რაფაელ კორეა პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას მესამედ შეუდგება

ეკვადორში ჩატარდა პრეზიდენტის ინაუგურაცია — ქვეყნის მეთაურად მესამედ არის არჩეული რაფაელ კორეა, რომლის უფლებამოსილებაც გაგრძელებულია **2017** წლის **24** მაისამდე. პოლიტიკოსმა მოიგო არჩევნები თებერვალში — დააგროვა ხმების **57%**.

ბი-ბი-სის ცნობით, პრეზიდენტის ნდობის რეიტინგია **90%**. ის კვლავაც იძლევა პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური რეფორმების გატარების დაპირებას.

საზეიმო ცერემონიალში, რომელიც გაიმართა ბოლივიის დედაქალაქ კიტოში, მიწვეულნი იყვნენ მრავალრიცხოვანი დელეგაციები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, მათ შორის კორეას მეგობრები — ბოლივიის პრეზიდენტი მორალესი და ვენესუელის — მადურო.

კორეა ნეოლიბერალური ეკონომიკური დოქტრინის წინააღმდეგია და ქვეყანაში ნერგავს განვითარების საკუთარ მოდელს — „ოცდამეერთე საუკუნის სოციალიზმს“. კორეას ხშირად უწოდებენ „ეკვადორელ ჩავესს“, თუმცა იგი გამოირჩევა ნაკლებად რადიკალური შეხედულებებით, ვიდრე მისი გარდაცვლილი კოლეგა. რაფაელ კორეა ეკვადორის რესპუბლიკის პრეზიდენტია **2007** წლიდან. მისი ხელმძღვანელობით ეკვადორი გაერთიანდა „ბოლივარიულ ალიანსში ამერიკისთვის“ **2009** წლის ივნისში. განათლებით ეკონომისტი კორეა, რომელსაც ილინოისის უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული, **2005** წელს მცირე ხნით ფინანსთა მინისტრის პოსტზე მსახურობდა. პრეზიდენტად **2006** წლის ბოლო აირჩიეს და თანამდებობა **2007** წლის იანვარში დაიკავა. მეორე ვადით აირჩიეს **2009** წლის აპრილში, ხოლო ამ პოსტზე მისი ოფიციალური ინაუგურაცია **2009** წლის **10** აგვისტოს შედგა.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

27 მაისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

- აშშ დოლარი — 1,6350
- ევრო — 2,1206
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,4736
- 100 რუსული რუბლი — 5,2209

ამინდის პროგნოზი 27 მაისისთვის

25 აპრილიდან „ახალ თაობასთან“ ერთად

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

ტომი 2

ჩეხური ზღაპრები

უკვე გამოსულია:

ტომი 1. ამერიკული ზღაპრები

გამოსაცემად მზადდება:

ტომი 3. ბრაზილიური ზღაპრები

ტომი 4. ფრანგული ზღაპრები

ასტროპროგნოზი 27 მაისისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ! წარმატებული დღეა

ვერძი – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. ** კურო** – ფული გაქვთ, არაფერი გიჭირთ. **ტყუპები** – არავის ენდოთ, მხოლოდ საკუთარ თავს. **კირჩხიბი** – სახლში დიდი სიხარული გელოდებათ. **ლომი** – ახალ ცხოვრებას იწყებთ და გიხარიათ. **ქალწული** – არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **სასწორი** – საღამო მშვენიერი იქნება. **ღრიანცელი** – ფულის პრობლემა არ გაქვთ, კიდევ იშოვით. **მშვილდოსანი** – ბევრს ფიქრობთ და ცოტას მუშაობთ. **თხის რქა** – კარგი ამბები გელოდებათ, გახარებული ხართ. **მერწყული** – მთლიანობაში ჰარმონიული დღეა, ყველა საქმეს აწესრიგებთ. **თევზები** – ახალი საქმე გაამართლებს, ფული გექნებათ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი

თარაზულად: 1. ონორე დე ...; 5. ცხვრის ნაშიერი; 7. თოფის განიერი ბოლო ნაწილი; 9. წამლების მაღაზია; 10. საღამო ჟამს მისაღები საკვები; 13. დასველებული, დამბალი (ძვ.); 14. ტროპიკული ხილი; 15. უუფლებო ადამიანი; 19. უბედურებებით სავსე ყუთის მფლობელი ქალი ბერძნულ მითოლოგიაში; 20. ცხენთსარბიელი; 21. რაიმე რელიგიის დებულებების სისტემატური გადმოცემა; 22. პატარა სატვირთო-სამგზავრო ავტომობილი.

შვეულად: 1. პატარა წყალხმელეთა ცხოველი; 2. სოფელი ცაგერის რაიონში; 3. ბოსტნეული კულტურა; 4. უშნოდ მაღალი; 6. სატელევიზიო გადამცემი მილაკი; 8. ავსტრალიური შხამიანი გველი; 11. მაგარი, გულიანი კანფეტი; 12. სახელმწიფოს ერთპიროვნული მმართველი; 16. მოხარშული ხორბალი, ტკბილით შეზავებული; 17. პერანგი ფართო, გადახსნილი საყელოთი; 18. ლონდონის მდაბიური მეტყველება.

შეადგინა ოლივერ კოხიამ



მანანა თოდაძე შემოქმედების 35 წლის იუბილეს ზეიმობს

ეკა ირემაშვილი

მომღერალი მანანა თოდაძე შემოქმედების 35 წლის იუბილეს ზეიმობს და ამ თარიღთან დაკავშირებით თბილისში სოლოკონცერტს მართავს.

31 მაისს თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მხარდაჭერით თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება მანანა თოდაძის შემოქმედების 35 წლისადმი მიძღვნილი სოლოკონცერტი. როგორც ცენტრში აცხადებენ, მსმენელისთვის მომზადდა ახალი პროგრამა, ამიტომ კონცერტზე წარმოდგენილი იქნება ახალი სიმღერების პრემიერა.

ათწლიანი პაუზის შემდეგ მომღერალი თბილისელი მსმენელისთვის იმღერებს. მანანა თოდაძე ანსამბლ „ივერიის“ უცვლელი და ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრია. იგი საქართველოდან 14 წლის წინ წავიდა და ამ ხნის განმავლობაში რუსეთში ცხოვრობს. მომღერალს საქართველოდან წასვლა არსებულმა სიტუაციამ აიძულა. ეტაპობრივად მომღერალი ახერხებს და ჩამოდის თბილისში. მან ანსამბლ „ივერიის“ საიუბილეო კონცერტზეც იმღერა და მეგობრების კონცერტშიც ხშირად მონაწილეობს, თუმცა 31 მაისის კონცერტი მისთვის მაინც გამორჩეული და განსაკუთრებულია.

მანანა თოდაძე მსმენელთან შესახვედრად რეპერტუარსაც განსაკუთრებულს არჩევს. მომღერლის სოლოკონცერტზე აჟღერდება ისეთი სიმღერები, რომლებიც ყველა თაობის მსმენელისთვის გამორჩეული და საყვარელია.

მანანა თოდაძემ დათო არჩვაძის ახალი სიმღერა „გაპატიებ“ ჩაწერა და მასზე კლიპის გადაღებაც მოასწრო. სიმღერისთვის ტექსტი ნანა ცინცაძემ დაწერა. კლიპი კი ბაკურ ბაკურაძემ გადაიღო. ამ სიმღერას მომღერალი თავის მონატრებულ თბილისელ მსმენელს დიდ საკონცერტო დარბაზში უმღერებს.

მანანა თოდაძე მოსკოვში საკმაოდ აქტიურად მოღვაწეობს. მას ხშირად ეპატიჟებიან როგორც გრანდიოზულ სოლოკონცერტებზე, ასევე კორპორატიულ საღამოებზე, ხშირად არის სხვადასხვა მუსიკალური ფესტივალის ჟიურის წევრი, მოსკოვში აქვს თავისი საბავშვო სტუდია, სადაც მომავალ თაობებს თავის გამოცდილებას უზიარებს.

ამჯერად მომღერალი კვლავ თბილისშია და თავის ერთგულ მსმენელთან შესახვედრად ემზადება. 31 მაისს მანანა თოდაძესთან ერთად კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ თემურ წიკლაური, ნუგზარ კვაშალი, დათო არჩვაძე, „თეატრალურის კვარტეტი“, ნოდიკო ტატიშვილი, რატი დურგლიშვილი, ლეილა თოდაძე. სპეციალურად ამ კონცერტისთვის მოსკოვიდან ჩამოვლენ იქ მოღვაწე ქართველი მომღერლები ლიკა დოლიძე და გიორგი მელიქიშვილი. კონცერტის მუსიკალური ხელმძღვანელი პიანისტი ნიკა ნიკვაშვილია. მონატრებულ მსმენელს მანანა თოდაძის კონცერტზე დასწრება 10-30 ლარი დაუჯდება.

საგალობლები შენთვის – გურამ ოდიშარიას ახალი კრებული

ეკა ირემაშვილი

წიგნის ფესტივალის ფარგლებში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ თავისი კრებულის „საგალობლები შენთვის“ პრეზენტაცია გამართა.

პოეტის, პროზაიკოსის, დრამატურგის, მთარგმნელისა და სცენარისტის გურამ ოდიშარიას წიგნის „საგალობლები შენთვის“ პრეზენტაცია „ექსპო ჯორჯიას“ მე-11 პავილიონში შედგა. ამ წიგნში გურამ ოდიშარიას მიერ 1978-1991 წლებში დაწერილი პოეტური ნაწარმოებებია შესული. „საგალობლები შენთვის“ – ასე ერქვა დიდი ხნის წინ გამოცემულ პირველ კრებულსაც და დღეიდან ასე ერქმევა პოეტის რჩეულს, სადაც სხვადასხვა დროს დაწერილი ლექსები და პოემებია გაერთიანებული.

– 30-ზე მეტი წლის წინ გამოვიდა ჩემი პირველი კრებული და მასაც ასე ერქვა „საგალობლები შენთვის“. ამ კრებულის შემდეგ გამოიცა კიდევ 9 პოეტური კრებული გამოიცა. აფხაზეთის ომის შემდეგ ლექსი ვეღარ დავწერე, ამიტომ შევკრიბეთ ამ 9 კრებულიდან საუკეთესო ლექსები და დავარქვით „საგალობლები შენთვის“ და მასში ომამდე დაწერილი ლექსებია წარმოდგენილი, – განაცხადა გურამ ოდიშარიამ.

ფართო მკითხველი გურამ ოდიშარიას იცნობს რომანებითა და მოთხრობებით, რომელიც გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, აფხაზეთის ტრაგედიის შემდეგ იწერებოდა. ავტორი აღნიშნავს კიდეც ერთგან: „1992 წლამდე ლექსებს ვწერდი, შემდეგ ომი დაიწყო. ლექსებმაც დამტოვეს...“. საგულისხმო ფსიქოლოგიური ფაქტია როგორც ერთი პოეტის ბედისწერის, ისე ზოგადად ქვეყნის სულიერი მდგომარეობის თვალსაზრისით.

– რით არის ეს წიგნი მიმზიდველი და საინტერესო? – ალბათ, უფრო გამოხატვის ფორმათა მრავალფეროვნებით, განცდებითა და შთაბეჭდილებებით, რომელიც ზღვიან ქალაქში იბადება და მერე ვრცელდება წყლის, ზეცის, მთვარის, სიჩუმის საგალობლებად, უნებლიე ვედრებებად, გაუგზავნელ წერილებად, საბავშვო ბაღისკენ მიმავალი ბავშვის ფიქრებად თუ სექტემბრის დღიურებად... ერთი სიტყვით, თქვენ წინაშეა ომამდე შექმნილი პოეზია, – ასეთი წარდგინება გაუკეთეს გურამ ოდიშარიას კრებულს წიგნის ფესტივალზე.

კულტურის მინისტრი კრებულის პრეზენტაციამდე ჟენევაში იმყოფებოდა. პირველ მოადგილე მარინე მიზანდართან ერთად ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში კულტურის სამინისტროს დელეგაციამ შეხვედრები გამართა ჟენევის კანტონისა და რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდენტთან შარლ ბეერთან, მთავარი საბჭოს (პარლამენტი) პრეზიდენტთან გაბრიელ ბარილიერთან და ქალაქ ჟენევის მერთან რემი პაგანისთან. მინისტრი და მინისტრის პირველი მოადგილე ასევე შეხვდნენ ჟენევის ისტორიისა და ხელოვნების მუზეუმის დირექტორს ჟან-ივ მარენს.

ჟენევაში გაეროს განყოფილებასთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქართველოსა და ლიტვის მუდმივი წარმომადგენლობების მხარდაჭერითა და საერთაშორისო ფონდის პრეზიდენტის მიშელ სონისა და ცნობილი ქართველი პიანისტის ელისო ბოლქვაძის ორგანიზებით, ჟენევაში, გაეროს ოფისში, ახალგაზრდა ქართველი და ლიტველი პიანისტების „სოს ტალანტის“ ლაურეატების კონცერტი „ახალგაზრდობის გასაღები“ გაიმართა. კონცერტს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დელეგაციაც დაესწრო.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ნაკრები სრულად ხვალ შეიკრიბება

საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები მომავალი ამხანაგური თამაშებისთვის მზადებას სფფ-ის ტექნიკურ ცენტრ „ბასაზე“ აგრძელებს. ფეხბურთელები ბაზაზე ჯერ არ ცხოვრობენ და ყოველდღიურ ვარჯიშებზე სახლებიდან დადიან.

ეროვნული ნაკრები სრული შემადგენლობით 28 მაისს შეიკრიბება და ამავე დღეს, თემურ ქეცბაია პრესკონფერენციას გამართავს. ამასთან, მედიას ნაკრების ღია ვარჯიშზე დასწრების საშუალებაც ექნება.

სადღეისოდ, ქეცბაიას განკარგულებაში შემდეგი ფეხბურთელები არიან: ომარ მიგინეიშვილი, როინ კვასხვაძე, გიორგი ლორია, გულვერდ თომაშვილი, გიორგი ფოფხაძე, გურამ კაშია, დავით კვირკველია, ირაკლი მაისურაძე, მერაბ გიგაური, ელგუჯა გრიგალაშვილი, თორნიკე გორგიაშვილი, ირაკლი ძარია და ნიკოლოზ გელაშვილი.

გურამ კაშია:

– ფეხბურთელისთვის სანაკრებო თამაშები ყოველთვის განსაკუთრებულია და მნიშვნელობა არ აქვს ამხანაგურია თუ ოფიციალური – მოტივაცია მაღალია. ვარჯიშები დავიწყეთ იმ ფეხბურთელებმა, ვინც ჩემპიონატი დაასრულა. სავარჯიშო პირობები ძალიან კარგია და ყველანაირად გვაქვს საშუალება, რომ კარგად მოვემზადოთ. ირლანდიისა და დანიის სახით ძალიან ძლიერი და საინტერესო მეტოქეები გვყოლება. რთული მატჩები გველის... ისე, ადვილი არც გვაქვს-ხოლმე და არც ჩვენ მეტოქეებს აქვთ ჩვენთან იოლი თამაშები. აუცილებლად ვნახავთ მეტოქეების თამაშების ვიდეოჩანაწერებს და ანალიზსაც გავაკეთებთ.

დავით კვირკველია:

– ირლანდიის ნაკრების წინააღმდეგ მე ნათამაშები მაქვს. ამ გუნდთან თამაში ჩვენთვის კი არა, ყველასთვის რთულია. განსაკუთრებით მათთან, სადაც საოცარი სტადიონი, გულშემატკივრები და ატმოსფეროა. ჯერ-ჯერობით, არასრული შემადგენლობით ვემზადებით, მაგრამ ბიჭები ნელ-ნელა შემოგვიერთდებიან. ყველანაირად შევეცდებით, რომ ამ ორ თამაშში ჩვენთვის სასურველ შედეგებს მივაღწიოთ. ჩემთვის, თითოეული ასეთი სანაკრებო თამაში და თანაც, ასეთი დონის გუნდებთან ძალიან მნიშვნელოვანია და პროფესიულად საინტერესო. მიხარია, რომ ნაკრების შემადგენლობაში ვარ და ასეთ თამაშებში მონაწილეობის საშუალება მაქვს. აქვე მინდა ვთქვა, რომ ნაკრებში ახალი სახეები უკვე ინტენსიურად ჩნდებიან. მაგალითად, მერაბ გიგაური. რაც მე საქართველოში დავბრუნდი სათამაშოდ, ყოველთვის ყურადღებას ვაქცევდი ამ ახალგაზრდა ფეხბურთელს და ძალიან მომწონს მისი თამაში. რაც მთავარია, ის მთავარმა მწვრთნელმაც შეამჩნია და ნაკრებში გამოიძახა. ეს გიგაურის შანსია და ვუსურვებ, რომ კარგად გამოიყენოს. ახლა, ყველაფერი მასზე დამოკიდებული, თუ როგორ გამოიჩენს თავს. მთავარია, მონდომება...

მ. ჟ.